ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲠᲘᲚᲘ

№6 (213)

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ფასი 1.50 ლარი

1134
2005

ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲚᲐᲫᲔ:
ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲨᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ

#6, 2005

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

რედაქტორ-გამომცემელი
შადიმან შამანაძე

მთავარი რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბარი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახსოვდეს აფხაზეთი!

№6, სექტემბერი, 2005

მასტერკლასი

"დღეს მაყურებელს ტრაგედიის არ სჯერა"
ინტერვიუ მწერალ ლაშა ბუღაძესთან 1

პროზა

ვანო შატბერაშვილი
თეთრი ვირთხა და შაქარა 7

ლევან ორახელაშვილი
ზეთისხილი 21

გიორგი ჩხატარაშვილი
ჯაგა და დიდი სიქველე 30

პოეზია

შოთა იათაშვილი
ლექსები 18

ანა სულხანიშვილი
ლექსები 34

პერსონა

თამარ კოტრიკაძე
ვინ არის ქრისტინე ლავანტი? 36

ქრისტინე ლავანტი
ლექსები 43

ქრისტინე ლავანტი
სიმშვიდე სულის სამკვიდროს კარია 47

ქრისტინე ლავანტი
ჩანაწერები საგიჟეთიდან 49

პირადი წერილები 54

არმინ ვიგოჩნიგი
საუბრები ქრისტინე ლავანტთან 59

იოჰან შტრუცი
შემოქმედების პრობლემატიკა ქრისტინე ლავანტის გვიანდელ ლირიკაში 64

ავადმყოფობა - თუ...?
ჰანს ჰაიდერის ინტერვიუ ქრისტინე ლავანტის ექიმთან და
მეგობართან, ოტო სკრინცისთან 68

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

"დღეს მაყურებელს ტრაგედიის არ სჯერა"

ინტერვიუ მწერალ ლაშა ბულაძესთან

მცირე გაუგებრობის გამო დათქმულ დროზე გვიან შევხვდით ერთმანეთს „ლიტერატურული კაფეს" ქანდარასავით შეკიდულ, პატარა ოთახში. ერთი პირობა საუბრის გადადებაც კი გადავწყვიტეთ, რადგან ლაშას ოპერაში, "დონ კარლოსზე" აგვიანდებოდა; ალბათ ჩემი ცრურწმენისა და გადადებულ საქმეზე არცთუ სასიამოვნო გამონათქვამების გამო, ეს ნაჩქარევი ინტერვიუ მაინც შედგა.

- შენი პირველი ნაბიჯები მწერლობაში "არილს" უკავშირდება. რამდენი წლის წინ იყო ეს?

- ზუსტად მახსოვს, ეს იყო 1997 წელს. დაუვიწყარი მოვლენაა, როცა პირველად იბეჭდება შენი ტექსტი. "არილი" მაშინ გაზეთი იყო. შადიმანს ჯერ პიესა მივუტანე, რომელშიც ძირითადი ტექსტი მოიცავდა რემარკას და დიალოგი, მე მგონი, ოთხი წინადადებით შემოიფარგლებოდა. შადიმანმა მითხრა, გაიხსენე, შექსპირთან ორი სიტყვით არის რემარკა და დანარჩენი ტექსტიაო. მერე მივუტანე სამი მოთხრობა, რომელთაგან ერთი, პიესისმაგვარი, დაბეჭდა "არილმა". ამის შემდეგ მივხვდი, რომ სრულიად სხვა სიბრტყეა, როდესაც შენი ნაწერი დამოუკიდებელი ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას.

- ე.ი. ჩვენთან, ასე ვთქვათ, უკვე ხელგავარჯიშებული მოხვედი. საერთოდ, როდის დაიწყე წერა?

- მანამდეც ვწერდი, ბუნებრივია. ამას ხშირად ვამბობ ხოლმე, ერთ-ერთი მაპროვოცირებელი კომპონენტი, რატომაც დავიწყე წერა, ეს არის კითხვა. ყოველთვის ვკითხულობდი პიესებს, ძირითადად მაინტერესებდა თეატრალური სიუჟეტები, ანუ დიალოგები. მე ვიყავი და დღემდე ასე ვარ, მოკლე მინიშნებების და პიესების ტრფიალი. ვწერდი იმიტომ, რომ ვკითხულობდი. თავისთავად ცხადია, ეს არ იყო პიესები, ეს იყო ექსპერიმენტები, იმის წაბაძვით, რასაც ვკითხულობდი. ეს იყო, პირველ რიგში, ფრანგული კომედია, შემდეგ ფრანგული ან ევროპული დრამატურგია, კომიკური აბსურდული თეატრი და შემდეგ და შემდეგ ამას მოჰყვა სოციალური ავტორები - ბრეხტი და სხვები. რაღაცნაირად ვცდილობდი, რომ მეც თანდათანობით მომეძებნა ადეკვატური ფორმა

და ენა იმის გამოსახატად, რაც მაწუხებდა და მივხვდი, რომ ყველაზე კარგი სფერო იმ პრობლემებზე სალაპარაკოდ, რაც გაღელვებს, რაც მხოლოდ შენი გგონია, არის წერა. ამისთვის არსებობს ფურცელი და კალამი და დანარჩენს უკვე სიუჟეტი თვითონ იზამს.

- გინდოდა, მწერალი გამხდარიყავი?

- არა, არა, ეს ძალიან პათეტიკური განაცხადი იქნებოდა. არც ვიცი, ასე ფიქრობენ თუ არა. უბრალოდ, ალბათ არის საკუთარი თავის რეპრეზენტაციის სურვილი, არის არტისტიზმის ელემენტიც, თუმცა რატომ მაინცდამაინც გამოხატვის ეს და არა სხვა ფორმა.

- თუნდაც ხატვა, არა?

- ჰო, თუნდაც. მით უმეტეს, რომ ვხატავდი ძალიან აქტიურად - ძირითადად კარიკატურებს. ეს იყო კომიქსები, ანუ, შეიძლება ითქვას, ამბები ნახატებით. მაგრამ თავისთავად ცხადია, ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემგან არ დადგებოდა არც პედაგოგი, არც ფიზიკოსი და არც ქიმიკოსი. ჰუმანიტარული საგნები ყოველთვის მიზიდავდა. არ მინდა ვთქვა, - რომ "ჰუმანიტარი" ვიყავი, მაგრამ სკოლის შთაბეჭდილებებს თუ გავიხსენებ, ყველა ტექნიკური საგანი ჩემთვის იყო ტანჯვა და

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამება. ასეთი საგნების გაკვეთილებზე, როგორც ალბათ ბავშვების უმეტესობა, რვეულის ბოლო გვერდს ვავსებდი ხოლმე ნაჯღაბნებით, ნაწერებით და ნახატებით.

შემდეგ უკვე დავინტერესდი თეატრით. ვფიქრობდი რეჟისურაზე, ვატარებდი ექსპერიმენტებს და ვაწვალებდი ჩემს მეგობრებს, მეზობლებს, რადგან მათ უწევდათ თამაში ჩემს დაწერილ და დადგმულ სპექტაკლებში, თუ საერთოდ ამას სპექტაკლები ერქვა. შემდეგ, როდესაც უკვე მივხვდი, რომ ეს საქმე - წერა - ყველაზე მეტად მართობს, ანუ ეს იყო საუკეთესო თავშესაფარი, საუკეთესო ნიშა წაკითხულისა და შთაბეჭდილებების რეალიზებისთვის, როგორც დოვლატოვი ამბობს, უკვე მივხვდი, რომ არ შემიძლია არ ვწერო. ეს დღემდე ასეა და ასეც იქნება ყოველთვის.

- იმის გამო, რომ მწერალი გახდი, რამე ოცნებები ხომ არ დაგრჩა აუსრულებელი?

- არა მგონია, იმიტომ, რომ ხელოვნურად არ მიმიღია ეს გადაწყვეტილება.

- შენ თანაბარი წარმატებით მუშაობ სხვადასხვა ჟანრში. წერ მოთხრობებს, პიესებს, რომანიც ("ბოლო ზარი") მშვენიერი გამოვიდა. სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

- დიდი მადლობა. რაც შეეხება რომანს, სრულიად ახალი სიბრტყე იყო ჩემთვის. არ ვიცი, ეს რომანია თუ დიდი მოთხრობა, მაგრამ ასეთი პროზაული და არადრამატული დიდი ტექსტი პირველად დავწერე. ალბათ კიდევ დავწერ სხვა რომანს და რომანებს, იმიტომ, რომ ეს არის წერის სხვა მდგომარეობა თავისი შესვენებებით, რიტმის ცვლით და ა.შ. რომელიც აქამდე ჩემთვის სრულიად უცხო იყო. ასეთია ყოველ შემთხვევაში ჩემი სუბიექტური განცდა. როდესაც პატარა ტექსტს წერ, ვთქვათ მოთხრობას, უფრო მობილიზებული, უფრო დაძაბული ხარ. რომანში კი ვარირების შესაძლებლობა მეტი გაქვს, თუმცა შეიძლება ვიღაც არ დამეთანხმოს; მაგრამ ყოველთვის ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს პიესების წერა. სამომავლო გეგმებზე რომ მკითხე, დღეს რაღაც ვალდებულებები მაკისრია, რამდენიმე პიესა უნდა დავწერო. სულ ახლახან დავწერე პიესა, რომელიც ორი მოქმედი პირისათვის უნდა დამეწერა, მაგრამ გამოვიდა სამისთვის, თუმცა ერთს ძინავს მთელი სპექტაკლის განმავლობაში და ბოლოს იღვიძებს. ახლა ვწერ უკვე შედარებით დიდ პიესას, იმიტომ, რომ ბევრი პერსონაჟია და ახალგაზრდა მსახიობები უნდა დაკავდნენ.

საერთოდ, არ მინდა, რომ პოეტური ვიყო, მაგრამ პიესა თუ არ იდგმება, სამწუხაროდ, სნეულდება - გაღიზიანებს, ნერვებს გიშლის; ჯერ საწერი მაგიდის პირველ უჯრაში დევს, მერე მეორეში ჩაიტან, მერე სულ ქვემოთ და ბოლოს გადააგდებ, დაივიწყებ ან დაშლი, დასახიჩრებ. ახლა ვიცი, რომ ნამდვილად შესაძლებელია რაღაც დაიდგას, ამიტომაც ვწერ. თუკი არ არის კონკრეტული თეატრის ან რეჟისორის სურვილი, თავს ვიკავებ პიესის დაწერისგან. მაშინ მირჩევნია რომანი დავწერო, რადგან რომანს უფრო ჩემთვის ვწერ.

- როგორ მუშაობ, წერის დროს რა განსაკუთრებული მოთხოვნები გაქვს, როგორი პირობები გჭირდება?

- წერის დროს რაღაც ცრურწმენები ახასიათებთ ხოლმე ადამიანებს. ვთქვათ, ფურცელი არ არის ისეთი ფერის, ან სხვა კალამი დამხვდა და ა.შ. ასეთი რამე არა მაქვს. ეს უფრო არის საკუთარი თავის დაზღვევა ანუ ოინები იმისათვის, რომ გაამართლო შენი სიზარმაცე, - ოღონდ როგორმე არ მიხვიდე ფურცელთან და კალამთან. მე ეს პრობლემები მაინცდამაინც არ მემუქრება, რადგან კარგა ხანია კომპიუტერზე ვბეჭდავ. მანამდე ვბეჭდავდი საბეჭდ მანქანაზე, რადგან აბსოლუტურად არასპორტული ადამიანი გახლავართ:

არც ვიცი რატომ, მაგრამ ოდესღაც გადავწყვიტე ბაკურიანში, ზაფხული იყო, ველოსიპედით ჩამომერბინა გორაზე; პედლები ისეთი სისწრაფით დაბზრიალდნენ, რომ თავი ველარ შევიმაგრე, სამი სალტო გავაკეთე, ამოვყირავდი და ორივე მაჯას ისეთი ძალით დავასკდი, რომ ორივე ხელი გადამტყდა. ამის შემდეგ მაჯა მეღლებოდა ძალიან სწრაფად და კალმისტრით აღარ ვწერ. ერთი კი იყო, როდესაც წერის დროს შევისვენებდი, წავიდოდი სადმე და მერე ტექსტს ისევ მივუბრუნდებოდი, სრულიად სხვა კალიგრაფიით ვიწყებდი წერას, ანუ სხვანაირი მოყვანილობის ასოებით ვწერდი და ეს მაღიზიანებდა. ანუ რაღაც ტიკები მეც მახასიათებს. გადავწყვიტე, რომ ერთი ყალიბი ყველაზე უფრო დამამშვიდებლად მოქმედებს ჩემზე და ჯერ საბეჭდ მანქანაზე დავიწყე ბეჭდვა, მერე კომპიუტერზე. ჯერ ერთი, უფრო სწრაფია. მარკესიც ამბობს, თავის დროზე კომპიუტერი რომ მქონოდა, ათჯერ უფრო მეტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანს დავწერდიო. ანუ ეს სისწრაფეც, მე მგონი, თავისთავად ცხოვრების ადეკვატურია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უფრო ბუნებრივი რიტმია. ვერც წარმომიდგენია, ოც გვერდზე მეტის დაწერა კალმით. რაც შეეხება უშუალოდ წერის პროცესს, ამ დროს პრეტენზიული ნამდვილად არა ვარ. არავის ვთხოვ სახლში, რომ ფაჩუჩები ჩაიცვან, ხმადაბლა ისაუბრონ და აქეთ-იქით არ იარონ.

უფრო კარგი იქნებოდა ჩემთვის და ყველასთვის, რომ შემეძლოს დილაადრიან, გამთენიისას წერა, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ მიზეზთა და მიზეზთა გამო. ბავშვობიდან არცთუ ისე ადრე ადგომას ვარ მიჩვეული. თუმცა არც ისე გვიან ვიღვიძებ, მაგრამ, როგორც წესი, წერას 11-12 საათზე ვიწყებ და დაახლოებით 3 საათამდე ვწერ. ჩემი მეგობრები შეიძლება მაშაყირებენ კიდევაც, რომ როგორც გამებისთვის ვარჯიშობს პიანისტი, მეც ყოველდღე რაღაც უნდა დავწერო, რეჟიმში უნდა ვიყო. თუმცა ასეთი რეჟიმით უფრო ადრე ვცხოვრობდი. ადრე ტიპიური გრაფომანი ვიყავი, ძალიან ბევრს ვწერდი.

– შიშის ფაქტორიც ხომ არ იყო შენი რეჟიმის მიზეზი?

– შეიძლება ასეც არის, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი პაუზის ფასი.

– გიყვარს შენი ნაწარმოებები და თუ უბრუნდები ხოლმე მათ წასაკითხად?

– მიყვარს ცოტა ხმამაღალი ნათქვამი იქნება. წაკითხვას რაც შეეხება, ალბათ ყველა ადამიანი, ვინც წერს, გეტყოდა, რომ რთულია საკუთარი ძველი ტექსტის გადაკითხვა, მაგრამ მე ასე გიპასუხებ: ყველაზე მეტად ის ტექსტი გესიმპატიურება, რომელიც დროში ყველაზე ახლოს არის შენთან, რადგან რომელიც ბოლოს დაწერე, ყველაზე მეტად გგავს შენ, ძალიან დიდ გაუცხოებას ვერ გრძნობ მასთან. ხოლო ორი ან სამი წლის წინ დაწერილი პანდორას ყუთივითაა. არ უნდა გადაშალო წიგნი, თორემ შეიძლება რაღაც საშინელი დემონები ამოფრინდნენ, გაგაბრაზონ და დაგლუპონ კიდეც. მე ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ტექსტი განსაკუთრებით მიყვარს, მაგრამ თავისთავად ცხადია, რაღაც მიწებებულობას ვგრძნობ. ანუ ერთ-ერთი კომპონენტი თვითიდენტიფიცირებისა, იმისა, რომ მე ვარსებობ, და ალბათ ყველასთვის ასეა, არის ჩემი საქმიანობა. შესაბამისად, სარკეში რომ ვიხედები და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ეს მე ვარ, ჩემი საქმიანობის წვლილიცაა.

– ბუნებრივია, გყავს საყვარელი ავტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს შენს შემოქმედებაზე.

– ძალიან ბევრი. ჩამოთვლა ძნელი იქნება. ასეთი ნათქვამიც კი მომისმენია, ერთი კონკრეტული ავტორის აღიარებით, თითქოს სხვა ავტორებს და სხვა წიგნებს უარყოფო. ყოველთვის მაინტერესებს და მიზიდავს ახალი წიგნი, წიგნების მაღაზიებში ყოველთვის იქ მივდივარ, სადაც სიახლეებია. მაგრამ არის ბავშვობისდროინდელი აჩემებული წიგნები, რომლის გადაკითხვაც ყოველთვის არანაკლებ სასიამოვნოა, ვიდრე ახალი კარგი ტექსტის წაკითხვა. ყველაზე საყვარელი დრამატურგი და ალბათ არა მხოლოდ ჩემთვის, არის მოლიერი. ძალიან მიყვარს ეჟენ იონესკოს პიესები; "ქაჩალი მომღერალი ქალი" ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პიესაა. მისი წაკითხვისას მივხვდი, რომ შესაძლოა არსებობდეს სრულიად სხვა კატეგორიის იუმორი. აქამდე არ მეგონა, თუკი საერთოდ შესაძლებელი იყო ასე სიცილი, ასე ხუმრობა, ან ასეთი ტრაგიზმის, შიშის, აპათიისა და იუმორის შეთავსება ერთ პატარა ტექსტში. ასევე ფავორიტებს მიეკუთვნება სტოპარდი თავის "არკადიათი", რომელიც გამოსცა "არეტემ" კრებულში "თანამედროვე ევროპული პიესა". არის კიდევ ასეთი გენიალური ფრანგი დრამატურგი ბერნარ მარი კოლტესი, რომელიც 34 წლის ასაკში შიდსით გარდაიცვალა. მას აქვს პიესა "უდაბნოში დაბრუნება" (სხვათაშორის, ეს პიესაც არის ქართულად გამოცემული), რომელიც ალბათ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის შედევრია. ქართველ ავტორებში განსაკუთრებით მიყვარს მიხეილ ჯავახიშვილი და ცხადია, დავით კლდიაშვილი. მიხეილ ჯავახიშვილთან შეხვედრა ყოველთვის დიდ აღმოჩენებთან არის დაკავშირებული და ძალიან მწყინს, რომ ქართული პროზა არ განვითარდა იმ ტენდენციების კუთხით, რომელიც მოინიშნა მის ლიტერატურაში და შეიძლება ასე ითქვას, წავიდა პათეტიზმის გზით. ანუ ვგულისხმობ იმ ლაკონურობას, იმ მახვილ თვალს, ერთგვარ სოციალურ კრიტიციზმს და ფსიქოლოგიზმს, რომელიც ჯავახიშვილს აქვს (არ მიყვარს ხოლმე ასეთი გაბერილი სიტყვები, მაგრამ სხვაგვარად ვერ ვიტყვი).

– ჩვენთან მიმდინარე ლიტერატურულ

პროცესებზე რა აზრის ხარ?

– ასეთ დროს ყველა შემთხვევაში სუბიექტური ვარ, რადგან ერთი მხრივ, საქმე მაქვს კოლეგებთან, მეორე მხრივ – მეგობრებთან, თან ვარ მკითხველი და ჩვენ ყოველთვის ერთგული ვრჩებით ჩვენი მეგობრებისა და ვაფასებთ ერთგულებისამებრ. ჩამოთვლა არ მინდა, იმიტომ, რომ ძირითადად ერთი და იგივე გვარები და სახელებია. რთულია, მალე, დღეს და ხვალ გამოჩნდეს ვინმე ახალი, უცნობი ავტორი, მაგრამ იმედია, გამოჩნდება. კარგია, რომ დღევანდელი პერიოდიკა, როგორც ამას თავის დროზე "არილი" აკეთებდა და დღესაც ასეთი პათეტიკით განაგრძობს ცხოვრებას, ახერხებს ამ ავტორების ტრიალს. სხვათა შორის, ახალი გვარების და სახელების გამოჩენა პირდაპირი გზითაა დაკავშირებული თვითონ წიგნების გამოსვლასთან და მკითხველების რაოდენობის გაზრდასთან.

– საკუთარ სტილზე რისი თქმა შეგიძლია?

– სტილს, ალბათ, შინაარსი განაპირობებს. შინაარსი განგისაზღვრავს ფორმას და შესაბამისად, დაიბადება სტილი. როდესაც ურთიერთობა გვაქვს პერსონაჟებთან, თუ გვინდა, ისინი მართლა ცოცხლები იყვნენ, ისე უნდა მეტყველებდნენ, რომ მათ დაუჯეროს მკითხველმაც და მაყურებელმაც. ჩემთვის მკითხველთან სასაუბრო ფორმა არის სატირა. თვითონ სტილს რაც შეეხება, ეს ისეთი პროცესია, რომელიც მუდმივად უნდა იხვეწებოდეს. მე ვერ ვიტყვი, რომ პრობლემები არ მექნება. ძალიან რთული ენაა ქართული, მრავალსახოვანი და ისეთ ტექსტში, სადაც, ვთქვათ, ცოცხალი პროცესებია ასახული და აღწერილი, რაღაც ლამაზი სიტყვები ხშირ შემთხვევაში არცთუ იმდენად დამაჯერებლად გამოიყურებიან. შესაბამისად, შეიძლება შეიზღუდოს ენა და არ იყოს ისე ლამაზი, მაგრამ იყოს ძალიან ადეკვატური; ასევე პირიქით – შეიძლება ტექსტი ძალიან ლამაზი, ძალიან მრავალფეროვანი იყოს, მაგრამ იყოს არაადეკვატური.

ვფიქრობ, რომ სტილი მაინც დახვეწის პროცესია, გაარნია, მე როგორი აქტიური ვარ, ჯერ ერთი, როგორც მკითხველი და მერე როგორ მწერალი, ჩამწერი. ჩემთვის, ალბათ, ჯერჯერობით იუმორია ძირითადი განმსაზღვრელი, ძირითადი გასაღები. მე აღვიქვამ რაღაც აქტებს, მე მინდა გამაღიმოს რაღაცამ, რომ მერე გადაეწყვიტო ვინმეს შესახებ ამბის მოყოლა, – არ ვგულისხმობ მაინცდამაინც კომიკურ ამბავს – შეიძლება მძიმე ამბავიც მოყვე. ყოველ შემთხვევაში, მე ჯერჯერობით ტრაგედიას ვერ ვიტევ და თავადაც სკეპტიკურად ვეკიდები ამ ჟანრს საერთოდ. დღეს მაყურებელს ტრაგედიის არ სჯერა. სცენაზე მოყოლილი ტრაგიკული ამბავი არადამაჯერებლად გამოიყურება, იმიტომ, რომ ძალიან დიდი კონკურენცია აქვს ამ ჟანრს რეალობასთან. მაგალითად, ფერდინანდისა და ლუიზას ვნებები შენ აღარ გაღელვებს, როდესაც პირდაპირ ეთერში ხედავ, როგორ იმსხვრევა ორი დიდი ცათამბჯენი ერთ-ერთ დიდ ქალაქში.

– ლაშა, შენ საკმაოდ თამამი, სკანდალური მწერლის სახელიც კი დაიმკვიდრე ("პირველი რუსის" გამო ატეხილ აჟიოტაჟს ვგულისხმობ). საერთოდ, რა ზნეობრივი პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს მწერალმა წერის დროს?

– იმდენჯერ ვილაპარაკე ჩემს დამოკიდებულებაზე ამ ტექსტის მიმართ, რომ კასეტაზე უნდა ჩავიწერო და ტავტოლოგიები რომ არ გამომივიდეს, პირდაპირ ღილაკს უნდა დავაჭირო ხოლმე. თუმცა ეს სწორი შეკითხვაა ზნეობრივ პოსტულატებთან მიმართებაში. თავისთავად, მწერლობა ზოგადად ზნეობის იარაღია, თუმცაღა მწერლის პედაგოგიკასთან მიმართებაში ჩვენთან არის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. იმიტომ, რომ შეიცვალა მწერლის მიმართ მკითხველის დამოკიდებულება, რაკი საერთოდ შეიცვალა მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის ფორმა. ანუ რას ვგულისხმობ: თუკი პათეტიკურად არ მოგეჩვენება ჩემი აზრები, მე-19 საუკუნეში, სხვაგან, მწერლობის გარდა, არანაირი ეროვნული იდენტიფიკაციის შესაძლებლობა არ იყო. ერთადერთი, ქართული მწერლობა იდგა ზოგადად ქართველობის, ეროვნული თვითმყოფადობის დარაჯად, კალამი იყო იარაღი. ანუ სად არის საქართველო? – შეიძლება ითქვას, აი, აქ – ილიასთან, აკაკისთან და ა.შ. ანუ მწერალი აქ არის მოძღვარი, ეროვნული კოლოსი, რომლის გარშემოც ერთიანდება ყველაზე პოზიტიური ფასეულობები. შემდეგ უკვე, მე-20 საუკუნეში, აი, ამ მწერალ-პედაგოგს საბჭოთა ხელისუფლებამ შესძინა სახიფათო, კარიკატურული ელფერი. ანუ აქ უკვე პედაგოგიკა იქცა იმ ხელისუფლების და იმ მოცემულობის მესაყვირედ, რასაც კომუნიზმი

ერქვა. ბუნებრივია, კარგი მწერლებიც იყვნენ, მარამ მე ვლაპარაკობ ზოგად ტენდენციაზე. მკითხველს ძირითადად მაინც ისეთი დამოკიდებულება აქვს მწერალთან, რომ მან ჭკუა უნდა ასწავლოს და ჭკუის სწავლება შეუძლებელია თუნდაც ჟარგონით. მე ბევრისგან გამიგია, რატომ წერენ თანამედროვე ავტორები ჟარგონით, სლენგით, არის თუ არა ეს ლიტერატურა და ა.შ. (თუმცა ეს პრიმიტიული შეკითხვაა და სერიოზულ ლიტერატურულ წრეებში მას არც სვამენ), რადგან იციან, რომ ლიტერატურა რაღაც სხვა არის, რაღაც მაღალფარდოვანია, საკრალურია და შედეგად მწერალი მაინც რჩება კრიტიკოსად (ეს სიტყვა არ მიყვარს, მაგრამ...), რჩება მორალისტად. ანუ არის ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა წეროს, მაგრამ ფორმები შეცვალა. როდესაც მე ვწერ, ვთქვათ, ერთგვარად პროვოკაციულ თემაზე და რეტროგრადული მკითხველისთვის პროვოკაციული ენით, ის ფიქრობს, რომ ეს რაღაც ამაზრზენია, რომ ეს არ არის ლიტერატურა. მე არ ვლაპარაკობ ლიტერატურულ ხარისხზე. შეიძლება ეს ცუდი ლიტერატურაა, მაგრამ შენ თვლი, რომ ასე ილაპარაკო იმ პრობლემებზე, რაც გაწუხებს, რაც აღელვებს საზოგადოებას ან მკითხველს. ტენდენცია გრძელდება, შეიცვალა გამოვლინების ფორმები. ზაალ სამადაშვილს აქვს ასეთი ნათქვამი ერთ-ერთ ესეში, მე საერთოდ არ მჯერა ბოროტი მწერლების არსებობის, თუკი ადამიანი ბოროტია, ის ვერ დაწერსო. ეს შეიძლება ძალიან პირდაპირი ნათქვამია და ცოტა გულუბრყვილოდაც ჟღერს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სისაძაგლე და კარგი ლიტერატურა (პუშკინის ძალიან თავისუფალი პერიფრაზირებასავით გამოვიდა) მართლა შეუთავსებელი ცნებებია.

– შენთვის რა არის სამშობლო?

– ეს არის ალბათ ის გარემო, რომელიც ყველაზე მეტად გენატრება, ყველაზე მეტად გხიბლავს, ყველაზე მეტად გაღიზიანებს კიდეც და ყველაზე ნაკლებად ხარ ინდიფერენტული მის მიმართ. ამ კატეგორიებთან მიმართებაში შეიძლება ყველაზე მეტი შეცდომაც დაუშვა, რადგან სამშობლოს, ანუ იმ გარემოს მიმართ, სადაც შენ ცხოვრობ, ემოციური და არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გაქვს. ის, რომ შენი სამშობლო გიყვარს, არ ნიშნავს მაინცდამაინც პოზიტიური სადღეგრძელოების თქმას, ეს არის ემოციური, ძალიან იმპულსური შეგრძნება

და ამის დეკლარირება არ მიმაჩნია სწორად. ყოველ შემთხვევაში, მაღიზიანებს, როდესაც ადამიანები გულზე ხელს ირტყამენ და ამბობენ, საქართველოს არაფერი მირჩევნიაო. სომერსეტ მოემი ამბობს ერთ-ერთ ესეში, მე მაღელვებს თუნდაც ჩემი ქვეყნის კონტურები, რომელსაც ვხედავ რუკაზეო. მე არ ვიცი ამ გრძნობას რა ჰქვია, მაგრამ ეს არის მართლაც უცნაური და ძალიან ამაღელვებელი გრძნობა, როდესაც დავხედავ თუნდაც ინგლისის მოყვანილობას. სომერსეტ მოემს აწი რაღას მივაწვდენ ამ შეკითხვას, მაგრამ სულ მაინტერესებდა, მთლიანად დიდ ბრიტანეთზე ჰქონდა მას ასეთი შეგრძნება თუ მხოლოდ ინგლისის ერთ ნაწილზე... მაგრამ ამას უკვე ველარ გავიგებ.

– ავტობიოგრაფიული დეტალები არის შენს ტექსტებში?

– როგორც ყველგან. არის, ოღონდ პალიტრასავით – ხან რას მიამაგრებ, ხან სად და ხან სად. თანმიმდევრობით არავისთან ხდება ასე. ბუნებრივია, ეს დეტალები იფანტება, რაღაც ტრანსფორმაცია ხდება. "ბოლო ზარშიც" ასეა, თავისთავად ცხადია. ეს რომანი არც იმდენად ავტობიოგრაფიულია, რადგან აქაც და სხვა ტექსტებშიც არის ამბები, რომლებიც თავს გადამხდენია ან ფანჯრიდან დამინახავს და არის დაკვირვებებიც.

– დღეს საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული მწერალი ხარ. მოგწონს პოპულარობა?

– ვერ ვიტყვი ასე. პოპულარობა ძალიან პირობითი ცნებაა. ჩემი წიგნების მკითხველი, თუკი ტირაჟებით ვიხელმძღვანელებთ, რამდენიმე ასეულია. პოპულარულები ჩვენს ქვეყანა-

ში ხდებიან ძირითადად ის ადამიანები, რომლებიც ტელევიზორში ჩანან ხშირად. ადამიანების უმეტესობას, რომლებსაც მე ტელევიზორში ვუნახივარ, არც ჩემი პიესები აქვთ წაკითხული და არც სპექტაკლები აქვთ ნანახი. ჩემი აზრით, ჩვენს რეალობაში პოპულარულები არიან მსახიობები, მომღერლები და პოლიტიკოსები. მე, ალბათ, მიცნობენ რაღაც წრეში. აქტუალური და ნაცნობი, ანუ ცნობილი ვარ რაღაც გარკვეული წრისთვის. მკითხველთა წრეს თუ გულისხმობთ, თუკი ვინმე ინტერესდება თანამედროვე ლიტერატურით, გარკვეული, თუნდაც ზერელე შეხება ალბათ ჰქონია ჩემთან. ეს რამდენად სასიამოვნო პროცესია თვითონ ჩემთვის, ამას ვერ გეტყვით. ძალიან მეუხერხულება ამაზე ლაპარაკი და ეს არ არის თემა, რომელზეც შემიძლია განსაკუთრებულად განსხვავებული ან ორიგინალური პასუხები მოგცეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი დამოკიდებულება სოციუმის მიმართ არ შეცვლილა.

- შენ აქტიურად მონაწილეობ მრავალ ლიტერატურულ, სხვათაშორის, პოლიტიკურ პროცესებშიც, ეკრანზეც არც თუ იშვიათად ჩანხარ - ერთი სიტყვით, ძალიან ენერგიული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. როგორლა ახერხებ წერას, კითხვას?

- მე მგონი, პირიქით, ძალიან ზარმაცი ვარ. ბევრი რაღაცის მოსწრება შეიძლება მხოლოდ ერთ დღეში და ჩვენი ცხოვრება, ალბათ ჩვენსავე სიზარმაცესთან ბრძოლაში, დამარცხებებში და საერთოდ, მანკიერებებთან ბრძოლაში გადის. აგერ, პრუსტი ამბობს, რომ საშინლად ზარმაცი ვიყავიო, ტომას ვულფიც უჩიოდა სიზარმაცეს, არადა, ეს არის ადამიანი, რომელიც ყველაზე დიდი პროდუქტიულობით გამოირჩეოდა საერთოდ ლიტერატურული ისტორიის მანძილზე. ასე რომ, ყველაზე არაზარმაცი ადამიანებიც კი თავის სიზარმაცეს უჩიოდნენ და მე ხმა არა მაქვს ამოსაღები.

ამ შემთხვევაში ენერგიას განაპირობებს მოტივაციები. თუ შენი აქტიურობა ეს არის თვითმიზანი, რომ მაინცდამაინც რაღაცაზე ილაპარაკო და მარტო დარჩენის გეშინია, ეს უკვე ფსიქოლოგიური პრობლემაა. მე ვცდილობ, დამაჯერებელი ვიყო იმაში, რაზეც მიწევს ლაპარაკი. თუკი თავს მივეცი უფლება, რომ რაღაცაზე ვილაპარაკო ხმამაღლა, ე.ი. გადავწყვიტე, რომ არ შემიძლია არ ვწერო.

- კმაყოფილი ხარ განვლილი ცხოვრებით, იმით, რაც დღემდე გააკეთე?

- თუ მხოლოდ პროფესიული ნიშნით ვისაუბრებთ, რადგან განზოგადება შორს წაგვიყვანს, რაღაც ტექსტებს არ გამოვაქვეყნებდი, არ დავბეჭდავდი. და საერთოდ, დოვლატოვმა თქვა კარგად, მწერალი განისაზღვრება არა იმით, რა დაბეჭდა, არამედ რა დახიაო. აქედან გამომდინარე, რაღაც გარკვეული სინანულები მაქვს, მაგრამ არც მთლად უკმაყოფილო ვარ.

- მომავლისგან რას ელი?

- ჩვენ რომ სრულიად უიმედოდ ვიყოთ განწყობილები, რაღაც ინიციატივების გამოჩენა ნებისმიერი მიმართულებით დაგვეზარებოდა. მგონია, რომ თავისთავად ადამიანი ოპტიმისტური მოვლენაა, რაც უნდა უხასიათო, დეპრესიული და აპათიური იყოს. ადამიანში თავიდანვე არსშია ჩადებული ოპტიმიზმი. წინაალმდეგ შემთხვევაში, ის დილით საწოლიდან წამოდგომასაც ვერ მოახერხებდა, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი ადამიანებიც არსებობენ. ანუ ვერ ვიტყვი, რომ მე თავდაჯერებული ოპტიმისტი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ თუკი რაღაცებს არ დავიზარებ, შესაძლოა, პოზიტიური შედეგები მქონდეს.

- შეგიძლია იმ თავისებურებებზე გვითხრა რამე, რაც გახასიათებს - თუ გაქვს, რა თქმა უნდა, ასეთი - უარყოფითზეც და დადებითზეც? (ზემოთ კი ახსენე რამდენიმე ჩვევა).

- ჯერ უარყოფითებს ჩამოვთვლი: არაპუნქტუალური გახლავართ, არასპორტული ვთქვი უკვე, თუმცა რატომ მიეკუთვნება ეს მინუსებს, არ მესმის; ხანდახან იმპულსური ვარ, ზოგჯერ ენა წინ მისწრებს და გონება უკან მოყვება; შემდეგ... ვერ ვიტყვი, რომ ტყუილები მიყვარს, მაგრამ ამბის შელამაზება მიყვარს და ხანდახან ისეთი რამეც მომიყოლია, რაც არ ყოფილა სიმართლე. ჰო, კიდევ სინანულთა კატეგორიას მიეკუთვნება ის, რომ არ შემიძლია დილაადრიან წერა (ამაზე ვილაპარაკე უკვე). ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ამას შევძლებდი. ადრეული ბავშვობიდან მინდა 7-დან 8-მდე გავიღვიძო და ვერასდროს ვახერხებ ამას...

ესაუბრა ინა არჩუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო შაბგერაშვილი

თეთრი ვირთხა და შაქარა



- ხო გითხარი, ქვენა ქარი თუ დაბერავს, უეჭველად აცივდება-მეთქი.

შაქრომ თვალები მოჭუტა და ვიწრო ეზოს კიდეში, ერთსართულიანი დაფხავებული ფარდულის კედელთან მდგარ თუთის ხეს გახედა.

თუთამ ამ ორმოცდახუთი წლის წინ გამოაღწია თავი მაშინ უკვე ბათქაშჩამოყრილ ფარდულთან დაგებულ ასფალტს. ფარდულის წინ გრძელი, ბარაკის ტიპის შუშაბანდიანი სახლი იდგა. შაქრო იმ დროს შინ ახალი დაბრუნებული იყო და ჯერ კიდევ ჰქონდა შუაგული ფიქრისგორისთვის, მისი აზრით, შეუფერებელი სახლის განახლების იმედი. მის ცოლს ამ ამონაზარდის ამოგლეჯა უნდოდა, მაგრამ შაქრომ არ დაანება. ამასობაში ბიჭიც შეეძინათ - ჯერ კიდევ ომამდე დაქორწინებულებს მხოლოდ ორმოცდაათიან წლებში აუსრულდათ ოცნება - ალბათ ამის გამოც არ ახლო ხელი თვითნებურად შემოხეტებულ სტუმარს - სულ მალე მშენებლები მაინც ამოაგდებენო... ახალი სახლის მშენებლობა კი გვიანდებოდა. ბიჭი რომ წამოიზარდა, თუთაზე კალათბურთის ფარი მიუჭედა. ფარი წლიდან წლამდე სულ მაღლა მიიწევდა და ახლა თითქმის ოთხი მეტრის სიმაღლეზე ძლივსღა მოსჩანდა ხის განიერი ტანის ერთ-ერთი შეკაფული ტოტივით. თუთა ქართული აგურით ნაგებ ფარდულის კიდეს მისწოლოდა, შეეზნიქა და უშველებელი საკვამურივით ჩაზრდოდა. ქარის ყოველ დაქსინვისას, ხის შექანებასთან ერთად, ფარდულიც აჭრიალდებოდა და შუშაბანდის მინებს მიღმა მომზირალ ძია შაქროს ეჩვენებოდა, რომ ქარი თუთის მოხრილ ტოტებს მომწყდარ უფერულ ფოთლებთან ერთად ჟამთა სრბოლისგან ფერდაკარგულსავე ბრტყელ, ხორკლიან აგურსაც აფენდა ვიწრო ეზოს დამსკდარ, დაბრეცილ ასფალტს.

- რას უბერავს?! აკი გითხარი - ქვენა ქარი თუ დაბერავს, აცივდება-მეთქი... - თქვა შაქრომ და შუშაბანდის კარს მიყრდნობილ დისშვილს მიუბრუნდა:

- იცი რას გეტყვი, ჩემო სანდრო? - უნდა მოვჭრა ეგ ოხერი, თორე დაანგრია კედელი. ჰო, უნდა მოვჭრა - არც მაგის გემო არ უქნია ღმერთს - წაკულაკივითაა - მუავე - ისეთი მუავე, რო...

უცებ გაყუჩდა, მოიკუნტა და ისევ ეზოს გახედა. შვიდიოდ მეტრში მას აგურის მოფამფალებული კედელი საზღვრავდა და ფარდულთან მართ კუთხეს ქმნიდა, რომელსაც მეზობელ ეზოში მშენებარე მრავალსართულიანი სახლი ჯერ ფანჯარაშეუბმელი ღიობებით თვალდათხრილივით დაჰყურებდა. სწორედ ამ კუთხეში იდგა თუთა.

შაქროს წინ, ფანჯარასთან მიმდგარ სკამზე მისი დისწული ჩამოჯდა და ისევ განაგრძო რაღაცების მოყოლა - ცდილობდა როგორმე გაერთო მოხუცი, რომელიც ისევ გაყურსულიყო - თითქო რაღაცას იხსენებსო; მერე თავი ნელ-ნელა წამოსწია და აჩურჩულდა:

- მოვჭრი არა - ისა. ამ კედლის დედაც ვატირე და ამ თუთისაც... ეს სახლიც ვერ განვაახლე... ის ჩათლახი კი - თუ ხედავ - რამხელა კორპუსებს აშენებს გარშემო... ჩემი შვილი კი მაგის თაღლითობის გამო ცხრა მთას იქით უნდა იყოს გადაკარგული... ჩათლახი... ჩათლახების ერთი...

ხველება აუტყდა, მუშტები მკერდზე აიბაგუნა და ცოტა რომ დამშვიდდა - განაგრძო:

- მაგის პატრონი დედა რა ვთქვი და ამათიც - და ხელი შუშაბანდში გამომავალი ფანჯრისკენ გაიშვირა, საიდანაც მონოტონური დუდუნი მოჟონავდა. ხანგამოშვებით ოთახიდან მაგიდისა თუ სკამის გახრიგინების ხმა ისმოდა, შუშის კარი გაიღებოდა და იქიდან რიგრიგობით თვრამეტი-ოცი წლის შეყვინჩილებული ბიჭები გამოდიოდნენ. ქამარში პისტოლეტი ჰქონდათ გარჭობილი და "ბა-

პრეზა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოჩკას“ ატრიალებდნენ, ხელის აწევით მიესალმებოდნენ სანდროს, ეზოში გაიხედავდნენ და უკმაყოფილო ბურტყუნით, რწევა-რწევით შეიხურავდნენ ოთახის კარს.

- ჰო, ამისაც და ამათიც... - გაიმეორა შაქრომ, - განა არ ვიცი, რა ჩიტებიც არიან და რის სუნს აყენებენ, ან რას ხარშავენ? მთელი დღის განმავლობაში ერთი ოცი კაცი მაინც შემოდის... რა სიფათები აქვთ, რო ნახო - სახლში არ შეიშვებიან... ეხლა ეტყობა წამალს ელოდებიან და მაგიტო ვერ ისვენებენ...

სანდრო შაქროს ხელებს დასცქეროდა - დიდრონსა და მძიმეს - ოციან წლებში, როგორც ყოფილი “შევარდენისტების“ უმრავლესობა, ისიც თავგადაკლული ვარჯიშობდა - “დურუჯში“ თამაშობდა ფეხბურთს, როგორც თვითონ ამბობდა, ტანთმოვარჯიშობდა, ჭიდაობდა, კრივობდა - ერთხელ, თბილისის ჩემპიონიც გახდა - ფინალში ერთ სქელტრაკა სომეხს მივუნგრიე თავ-ყბაო, ამბობდა ხოლმე შაქრო; ოცდაათიან წლებში კავშირის ჩემპიონატი რომ დაიწყო, ერთხანს “დინამოში“ აიყვანეს ორ ნომრად; მერე “ბ“ კლასის გუნდში გადავიდა და ცოლის შერთვამდე იქ გამოდიოდა; ახლა ფეხები ნახევრად წართმეოდა, მაგრამ ხელები მაინც მოკრივესი შერჩენოდა - უფრო სწორად, მოკრივის ხელთათმანების ფორმისა - მძიმე, დიდი მუშტები.

- შეიძლება ამ დღეებში ოჩამჩირეშიც გადამიყვანონ; ტყის ძმები იყვნენ იმ დღეს ჩვენთან რედაქციაში და დამპირდნენ - კოდორთან ჩაგიყვანთ და რეპორტაჟს გაგაკეთებინებთო, - განაგრძობდა ბიძის გართობას სანდრო. ის რომელიღაც ჟურნალში მუშაობდა და იქ გაგონილ ამბებს ყვებოდა.

- რა გინდა ოჩამჩირეში, - თქვა შაქრომ, - რა დაგრჩენია? რა, ოღრაშების ყომარბაზობაში უნდა გაყო თავი?.. ტყვია კი ბრმაა - იცოდე.

- თქვა და კვლავ ეზოში გაიხედა. ერთხანს ყასიდად უსმენდა დისწულს, რომელმაც თავისი ნათქვამის გასამაგრებლად რამდენიმე არგუმენტი მოიყვანა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო - მოკეტა.

- ნახევარი დუნია მაქვს მოვლილი, მაგრამ ასეთი ხალხის მნახველი არა ვარ, - თითქო თავისთვის ბუტბუტებდა შაქრო და თავის მუშტებს ჩასცქეროდა, მერე ხელი ჩაიქნია - ფუო, დაიძახა და დისშვილს ამოხედა. მოგრძო, მოჭუტული თვალის უპის ნაოჭში უნებლიე ცრემლი მოუგორავდა, გაბუშტულ ცხვირზე ამომჯდარ მეჭეჭს იქავებდა დროდადრო. სანდროს გაახსენდა, რომ დებთან ერთად ოციან წლებში გადაღებულ ფოტოზე ასეთივე მოჭუტული თვალები ჰქონდა, ოღონდ შიგ ხალისიანი ნაპერწკალი უკიაფებდა და არც ცხვირზე ჰქონდა მეჭეჭი. ამბობდნენ, ლამაზი ბიჭი იყოო, - დაახლოებით ისეთი იერი ჰქონდა, როგორც მესაყვირეს “კოტონქლაბში“.

- თუმცა, ეგენი რომ არ იყვნენ, დიდი ხანია უსახლკაროდ ვიქნებოდი დარჩენილი... მე რა მეთქმის - შენმა ბიძაშვილმა დამტოვა ამ მერაბას და ჩემი შვილის მევალეების ამარა... გუშინაც მოვიდა ერთი ნაბიჭვარი: დაშინება დამიწყო. ერთი სული მქონდა, ღრანჭში დამედო, მაგრამ ამ საქმისათვის მარტო ხელები საკმარისი არ ყოფილა. მე ვუთხარი, ნუ მაშინებ - მაგაზე დიდი ხნის აცრილი ვარ და გაფრთხილებ, ტრაკანს თუ არ მორჩები, კეტს დაგკრავ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევაგენებინე. ამ დღეში ვიყავი, რო ეს მერაბა შემოგვესწრო ორ ძმაკაცთან ერთად - მაგრად დაურხიეს და გააგდეს. ძეხვი, პური და არაყი მომიტანეს, თვითონ არ დაულევიათ - ოთახში შევიდნენ და იმ დასაწვავის ხარშვა დაიწყეს.

შაქრო ამ ხუთიოდე წლის წინ დაკუტებულ კანჭებს იზელდა და განაგრძობდა:

- რა ბედი მქონია?!. მაშინ, ბავშვობაში რომ მოვეკალით - შვიდი წლისა, ამ უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურებას მაინც არ შევესწრებოდი.

– ყველაფერი კარგად იქნება, ძია შაქრო, – ძლივს ჩაურთო სიტყვა სანდრომ.

– კარგად არა – ისა... – ხელი ჩაიქნია შაქრომ და ნაღვლიანად დააყოლა:

– რა იქნება, ნერილი მაინც მოინეროს იმ მამაძალლმა.

შაქროს ხმა ჩაუწყდა – ენას "ზალასტოიზე" ატრიალებდა და გაუგებარ ხმებს ბლანდავდა. მის ჭროლა გუგებს მინისფერი დასდებოდა და ლიბრგადაკრულივით ამოძრავებდა მოგრძო თვალის ჭრილის სიბლანტეში.

ანაზდად რაღაცას დაადგა თვალი, მზერა ნელ-ნელა დაეწმინდა და როცა თვალები გამჭვირვალე ყინულივით აუკიაფდა და გაუშტერდა, მაგიდის ქვეშ, კედელზე მიყუდებული კეტი ხელისცეცებით მოძებნა, ფრთხილად დასნვდა და გაისროლა. კეტმა სანდროს ფეხებთან ტრიალ-ტრიალით ჩაუზუილა და შუშაბანდის ბოლოში, კედელსა და ეზოში გამავალი კარის კუთხეს შეეხეთქა.

– მაშ არ უნდა გამანებო თავი, შე ჩათლახო, შენა?!. მაშ ჩემი დაბრიყვება გინდა? – ამოიხრიალა შაქრომ.

– რა მოხდა, ძია შაქრო? – ზეზე წამოვარდა სანდრო, – რა იყო, რა მოგეჩვენა?

– რა და, ჩემი გაგიჟება უნდა მაგ კარგმოტყნულს... – ხრიალებდა ბიძამისი.

ოთახის კარი გაიღო და იქიდან სამი ტიპი გამოვარდა – აყლაყუდა მერაბა, ვისაც გაქცევის წინ ჩააბარა შაქრო მისმა ვაუმა და ორი სემიონოვკელი მხედრიონელი – სამივენი გაგლეჯილ კიფში იყვნენ.

– ვა, ძია შაქრო, ისევ ის შენი თეთრი ვეშაპი გამოჩნდა? შეეშვი მაგას – გაფიცებ, – კბილები დაკრიჭა მერაბამ და თან სანდროს ხელი გაუწოდა:

– სანდრიკას სალამი!... – მოკლედ, ერთმანეთზე ისე არიან გადაკიდებულები, გული მიგრძნობს, უსისხლოდ არ დამთავრდება ეგ ამბავი.

– რა ხდება ძია შაქრო? – ისევ იკითხა სანდრომ.

– მაშ ვერაფერი გაგიგია ჩემო ისმაილ? – მერაბა ხუმრობის გუნებაზე დამდგარიყო, – ჩვენ ეხლა ნავალთ, ბარეულსაც გავუჩალიჩებთ და მერე ინადიროს და ინადიროს, – დაამატა, რნევა-რნევით შებრუნდა კარისაკენ და ძმაკაცებთან ერთად მის მილმა გაუჩინარდა.

სანდრო დაიხარა, ბიძის მოფერება და შუბლზე კოცნა უნდოდა, მაგრამ შაქრომ ხელი აუკრა და მოიშორა. დისშვილი და ბიძა ერთმანეთის პირისპირ იდგნენ – დაბნეულნი, აძაგრულნი და ლამის შუბლები მიეხალათ ერთმანეთისთვის... უცებ შაქრომ საშინელი სიძლიერით იტკიცა მუშტი შუბლში, სავარძელში ჩაეხეთქა და თავი ჩაქინდრა, მხრები უცასცასებდა. სანდრომ თვალი მოარიდა – არ უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ მის ტირილს მოჰკრა თვალი. შაქრო რაღაც გაუგებარ ნახევარხმოვნებს გამოსცემდა, ბოლოს თითქოს ჯებირი გამოანგრიაო, ისე ამოიქშინა:

– ან მე და ან ეგა!... სხვა გზა არ არის!... ერთი თვეა, რაც თავს არ მანებებს!... თითქო დამცინისო – თითქო მეუბნება – მკვდარი ხარ – ცოცხალი ლეში, ფეხსადგილამდე რომ ძლივს დაათრევ საკუთარ ტრაკს და ხანდახან გზაშიც რომ გეპარებაო!... ღამე უნდა ნახო, რას შვრება – გამოძვრება სოროდან და საწოლის წინ ამივლ-ჩამივლის, თავს წინ ნაიგდებს და ჭყივის – თითქოს მეუბნება – ცოტაც მაცალეო!...

შაქრო შებრუნდა და შუშაბანდის მეორე ბოლოში დაბინდული მინის კარით გადალობილ საწოლ კუთხეს გახედა. კართან, კედელზე გაჯი დამსკდარიყო და სახურავიდან აქა-იქ ჩამოდენილ წვიმის წყალს ზედ თავისი კვალი დაემჩნია.

– რაზე ლაპარაკობ, ძია შაქრო? – ისევ ჩაეკითხა დისწული.

შაქრო სუნთქვას იკავებდა. ბოლოს, თითქო ძალა მოიკრიბაო, ამოღერღა:

– თეთრი... თეთრი ვირთხაა ერთი... ვირთხებში თეთრი ფერისა თუ გამოერია, უნდა იცოდე – მეტისმეტად ჭკვიანი და საშიში გამოდის. აქ საიდან გაჩნდა – არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამ ბოლო დროს გაჩნდა და გადამეკიდა. რამდენჯერმე მოვარტყი კიდეც კეტი, მაგრამ ცოცხალი გადარჩა... ახლა კი დამცინის... ჩემს უბედურებას დასცინის და უხარია...

შაქროს ისევ გადაეკეტა სუნთქვა, ყანყრატოზე წაივლო ხელი და ისე იზელდა, თითქოს თან სიტყვები ამოაქვსო:

– ... მაშინ მაინც მოვეკალით... აი, დედაჩემმა წყაროსთან რომ გაგვიყვანა სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენი...

შაქრო ახლა კვლავ ეზოს გასცქეროდა - ქარს თუთა კიდევ უფრო მეტად მოეზნიქა და გაშშაგებით აცლიდა უფერულ ფოთლებს.

- ეგ ვირიშვილი მაინც რეკავდეს ხშირად... ველარც ბავშვები შემოვიტყუე - ორ თვეში ერთხელ თუ შემოუცდებათ ფეხი - ისიც თხუთმეტი წუთით... და ვარ ამათ ხელში...

შაქრომ სათვალე მოიხსნა, ცალი შუშა ამოიღო, დაორთქლა, ცხვირსახოცით გაწმინდა, ისევ გატეხილ ჩარჩოში ჩადო და ძველი სკოჩით დაამაგრა. მერე მუშტებით თვალები ამოიწმინდა, უყურო სათვალე ცხვირზე წამოიცვა, ზედ მიბმული ზონარი კეფაზე მოირგო და ბიჭს აჰხედა. ბიჭს უკვე დიდი ხანია ბიჭობა უკან მოეტოვებინა - შესუქებულიყო, სიქაჩლეც შეჰპარვიყო.

- ზაქარო რომ მოკლეს, იმას ყვები? - იკითხა სანდრომ.

- ზაქარო საიდან გაგახსენდა? - შეკრთა შაქრო.

- ეხლა არ ამბობდი, აი, დედაჩემმა რომ გაგვიყვანა წყაროზეო?..

- მე უბედურს მეგონა, ვფიქრობდი-მეთქი, და თურმე ხმამაღლა არ დამიწყია როშვა? - ჩაეღიმა შაქროს, ჩაახველა და დაამატა:

- ჰო, ვენახში რომ მოკლა ზაქარო იმ ძალლიშვილმა მიხამ, მამაჩემი იმ დროს სოფელში არ იყო. თბილისში, სემინარიაში ასწავლიდა და დღე-დღეზე ჩვენს წამოსაყვანად უნდა ჩამოსულიყო.

სანდრომ ზეპირად იცოდა მთელი ეს ისტორია - ბავშვობიდან უყვებოდნენ უფროსები და ახლა თავად უთხრობდა შვილებს ამ ამბავს: ზამთრის პირი იყო უკვე, როცა ზურგში დაჭრილი ზაქარია ვენახიდან თავისი ფეხითვე ამოვიდა და სახლის პირველ სართულზე, დედაბოძიან დარბაზში დალია სული. "აი, იქ, ეხლა რომ მარანია, იქაო", აზუსტებდნენ ამ ამბის მთხრობელნი. "ის ვირიშვილები დედაბუდიანად ამოწყვეტას გვიპირებდნენ - მანამდე ხო გიგო თარხნიშვილს გააძრეს ცოცხლად ტყავი, კოტე ციციშვილი კი საკირეში ჩაწვესო"... - სწორედ წინა მოსვლისას უყვებოდა ძია შაქრო. "ეგრე დათარეშობდნენ და ეგონათ შერჩებოდათ. ახლა კი ყოველდღე, ყვითლიანთ სახლის წინ რო ნავიანი წყაროა - მაშინ მარტო იქ გამოდიოდა წყარო - ისიც ზაქაროს გამოყვანილი და ნავიც ზაქარიასავე ამოშენებული - სულ იქ იკრიბებოდნენ ძაღლიშვილები - ისიც და იმის დამრიგებელი - დეპოში რომ დაეწყო მუშაობა და იქ რომ განათლებულიყო და სხვებსაც რომ ანათლებდაო", ვინ იცის, მერამდენეჯერ იმეორებდა ამ ფრაზას შაქრო და თავის მუშტებს ჩაჰყურებდა. "სულგანათლებულმა დედაჩემმა კაცი გაგზავნა კავთისხევის სადგურზე - ჩემს ქმარს დახვდი და შეატყობინე, რაც მოხდა და უთხარი - ეგენი შენს ჩამოსვლას ელოდებიან, რომ ოჯახიანად ამოგაგდონ, ამიტომ უკანვე გაბრუნდი და ვინც გინდა, ის მოიყოლე, უცოდველის სისხლი არავის შეარჩინოს, თვითონ კი მე და დედაშენს ხელი ჩაგვჭიდა და წყაროსკენ წაგვიყვანაო"... სანდროს თვალწინ ედგა ქართლის სოფლის ორღობე და ამ ორღობეში მომავალი ქალაქურად ჩაცმული მაღალი ახალგაზრდა ქალი, ერთ ხელში პატარა გოგონა რომ აეტატებინა, მეორე - შეშინებული უფროსი ბიჭისთვის ჩაეკიდა და ძალასძალათი მოათრევდა. ქალი წყაროსთან შეჯგუფული გლეხების წინ შეჩერდა, ერთ-ერთ მათგანს მიაჩერდა და მისკენ დაიძრა. "ჩვენი გამოჩენა და ხალხში ჩოჩქოლის ატეხვა ერთი იყო, დედაჩემს დედაშენი ხელში აეტატებინა და ასე დამძახოდა - მიდი, ბიჭო, არ შეგეშინდეს მაგ ძაღლიშვილებისო; თვითონ წინდაწინ გაიქცა, ბრბო გაარღვია და იმ სულძაღლ მიხას ჩახედა თვალებში. შე უჯიშო, შენა, ნათლიაშენი ხომ მოჰკალ და ახლა ამ ბავშვების სისხლითაც გინდა გაძღეო? - ჰა, მიდი, თუ ეგრე აუტანიხართ კაცის ხორცის ჭამის სურვილს, აქა ვართ და შეისრულეო" და დედაშენი გაუწოდა იმ დამპალს; მერე მეც მუჯლუგუნი მკრა და ზედ მიმაგდო. მე და დედაშენს უფრო მეტად შეგვეშინდა და ტირილი მოვრთეთ. ამასობაში მიხასაც იხტიბარი წაუხდა, გლეხებიც შეჩქვიფდნენ და აი, ვაჟა რომ იტყვის, თითქო მგელმა ფარა შემოაფრთხოო, ისე დაიწყეს ტრიალი - დედაშენს მთელი სიცოცხლე არ ახსოვდა ეს ამბავი, მაგრამ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მითხრა - გამახსენდაო", ყვებოდა ძია შაქრო... სანდრომ კი სწორედ დედამისის მონაყოლიდან იცოდა ეს ამბავი და ყოველი დეტალი მისი სიტყვების მიხედვით ედგა თვალწინ - როგორ უტევდა ჯიქურ დიდედა გლეხების დამრიგებ-

ლებს; კერძოდ, რა სიტყვებით მიმართავდა, აღარავის აღარ ახსოვდა, მაგრამ ისევე, როგორც დედამისსა და ბიძამისს, სანდროსაც ახსოვდა, რომ ცოტა ხანში ორმა გლეხმა - სოსანამ და ილომ თოფები მიუშვირეს მიხას და მის მოძღვარს, იმათმა უფროსმა ძმამ - ვანომ ურემი გამოიტანა, ზედ დაგვსხა და ასე ჩაგვიყვანეს კავთისხევის სადგურში; იქ მამაჩემი რამდენიმე თოფ-იარაღში ჩამჯდარ მეგობართან ერთად დაგვხვდა. ერთ-ერთმა თბილისში წამოგვიყვანაო, ყვებოდა ხოლმე ძია შაქრო. ოღონდ ამჟამად არა. ახლა ის ჩაფიქრებული იჯდა, სახე წამოჭარხლებოდა, თვალებში ბიჭური ცეცხლი ჩასდგომოდა.

- ეგრე იყო. - თქვა ბოლოს. - ეგრე გადავრჩი მაშინ... დასაფლავებაზე ჩამიყვანეს; მკვლელები დაეჭირათ... სამ თვეში ჩამოახრჩვეს კიდეც, მე კი გადავრჩი.

თქვა და განიერი მხრები ღონივრად შეატოკა - ტორსით ეჯაჯგურებოდა მოწყვეტილ მუხლებს; მესამე თუ მეოთხე ცდაზე წამოდგა, წელში გასწორდა და ბორძიკ-ბორძიკით გაითრია მძიმე სხეული შუშაბანდის ბოლომდე; დაიხარა, კეტი აიღო, ზედ დაეყრდნო და უფრო თავისუფლად გამობრუნდა. სავარძელთან მისული ერთხელაც დაიძაბა, შემოტრიალდა და მოწყვეტით ჩაასკდა შიგ. ქოშინნარევი ხველა აუტყდა, პრიმა ამოიღო, მოსრისა და კვესს დაუწყო ძებნა.

- მოგიკიდებ, - თქვა სანდრომ. ასანთს გაჰკრა და ცეცხლი გაუწოდა.

შაქრომ მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ქოშინმაც გაუარა.

- მეორეჯერ რუსეთში გადავრჩი, - ჩაიდუდუნა შაქრომ და ცხვირიდან ბოლი გამოუშვა, ნასიამოვნები სახით იჯდა და კვლავ ღრმად ისრუტავდა ნიკოტინს - ჰო, ბე კლასში ვთამაშობდით მაშინ ფეხბურთს. ჩავსხდებოდით მატარებელში და მივდიოდით რუსეთში - თვეობით ვმგზავრობდით ხოლმე - ერთი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდით. მერე შინ ვბრუნდებოდით და ახლა იქაურ გუნდებს ვმასპინძლობდით.

სანდრომ ეს ამბავიც თითქმის ზეპირად იცოდა. რამდენი ნათესავის რედაქციით არ მოესმინა იგი, მაგრამ საბოლოო ტექსტი იმაში მდგომარეობდა, რომ შაქრომ ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე ფეხბურთისთვის თავის დანებება და ცოლის შერთვა გადაწყვიტა და თავის ბოლო ტურნეში გაემგზავრა. მინსკში თამაში მოიგეს და გომელში გაემგზავრნენ. გამცილებლად ერთი ბულბაშკა ჰყავდათ, შაქროს თქმისა არ იყოს, "რძე და თაფლი" - წინა წელს გაეცნო იმავე მატარებელში და ახლაც დიდი ამბით შეხვდა. გოგომ თავის მეწყვილეს წინა ვაგონში გაუცვალა ადგილი და იქ მიიპატიჟა. "ეშმაკმა დამიბრმავა გონება", ამბობდა ხოლმე შაქრო, "მთელი ღამე ვხერხე ეგ შენი ბულბაშკა და დილითღა ჩამეძინაო"... საშინელმა ტკივილმა გააღვიძა - ლამის გახეთქოდა თავი. სახეზე ხელი რომ მოისვა, მიხვდა, რომ სისხლში იყო ჩამბალი. ვერც ცალი ფეხი გაანძრია - ტერფი გვერდზე ჰქონდა გადავარდნილი - აშკარად მოსტეხოდა... ამდენ ტკივილსა და უბედურებაში ძლივსღა მიხვდა, რომ მატარებელიც და ის გოგოც სადღაც გამქრალიყვნენ, არადა, თვითონ შუა ტყეში იყო მოხვედრილი, თან დაჭაობებულ ტყეში... რა უნდა ექნა?.. ჰოდა, ისიც გახოხდა... რამდენიმე დღე იხოხა ამ ბლანტე ტორფნარში - დროდადრო გონსაც ჰკარგავდა, მაგრამ მაინც იხოხა და ბოლოს სოფელ გლუშასთან გამოძვრა - თვითონ ეს ამბავი არც კი გაუგია - ერთმა ბულბაშმა იპოვა ტყის პირას, უგონოდ ეგდო თურმე... მერე გამოძიებამ დაადგინა, რომ მატარებლის ცეცხლფარეში იმის, ბულბაშკას ქმარი თუ საქმრო ყოფილა - გოგოს მეწყვილე გამოეტეხა და ისე წადგომოდა კუპეში მძინარეებს. შაქროსთვის "რაზვადნი კლუჩი" ეგლიჯა და გაეთიშა, თავის გულის მურაზისთვის კი საყვედურის ნიშნად ერთიორი სიფათში მოეცხო. შერიგებულმა შეყვარებულებმა შაქრო მკვდრად მიიჩნიეს და შიგ შუაგულ ჭყანტობში მოისროლეს. სწორედ ამ ამბის შემდეგ დარჩენოდა შაქროს წარბს ზემოთ ღრმა ნაიარევი.

- გუშინაც დარეკა, მაგრამ ერთი წუთიც არ მელაპარაკა... - ჩაიხრიალა შაქრომ და ისევ ჩაუწყდა ხმა, ისევ გაეჩხირა ბურთი ყანყრატოში, სახეალეწილი ზეზე წამოვარდა და ამოსუნთქვას ცდილობდა.

სანდრომ ზურგზე დაჰკრა ხელი და იმანაც ამოისუნთქა. ისეთი აგზნებული იყო, რომ მაშინვე მიაყარა:

- დღესაც ვერ გამიგია, როგორ გადავრჩი - ან ჭაობმა რომ არ დამნთქა, ან ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირმა რომ არ შემჭამა... მერე, ომის დროს, იმ ადგილების დაზეპირება მომიხდა... ის გლუშელი, მე რომ მიპოვა, მაშინაც და მერეც - ომის დროსაც მეუბნებოდა - ბედი მქონია, შენ უნდა იტრაბახოო... წარმოგიდგენია? - ბედი მე მქონიაო... არადა, მაშინაც გადავრჩი და მერეც... - შაქრო ნელ-ნელა უწევდა ხმას და თან ხელებს იქნევდა - ხანგამოშვებით იხრეობოდა და ოდნავ მოშორებით მდგარ მაგიდას ურტყამდა მუშტს. ბოლოს დაიღალა, სავარძელში ჩაჯდა, ხელები გულზე დაიწყო და სანდროს ჰკითხა:

- არა გჯერა?

- როგორ არა მჯერა, ძია შაქრო... - ყანყრატოში ჩაეწურა ხმა სანდროს.

- მერე მოგწონს?

- რა უნდა მომწონდეს?

- ის, რომ ამ ვირთხის დასაჩაგრავი გავხდი... აკი გითხარი - დანარჩენებიც აიყოლიამეთქი...

შაქრომ სიგარეტი ამოიღო და სანდროს ანიშნა - მომიკიდეო.

- ამაღამ კი დედას ვუტირებ - მომკალი, ცოცხალი თუ გადამირჩეს ეგ ოხერი, - ახლა თითქოს ძალა მისცემოდა, ჯანზე მოსულიყო და მოქოქილივით აყრიდა წინადადებებს ერთმანეთს:

- ვერც კი წარმოიდგენ, რამდენჯერ გადავრჩი... გაგიკვირდება, მაგრამ ომის დროს, სწორედ იმ გლუშასთან ჩავვარდი ტყვედ პირველად. ერთი კვირა ვყავდით ბრესტში, მერე კი აღმოსავლეთ პრუსიაში გაგვგზავნეს. იქ გამანაწილებელ პუნქტში ქართველები ცალკე დაგვაწყვეს და ერთ დიდ ქოხში შეგვრეკეს. ერთი-ორი საათის ლოდინის შემდეგ კარი გაიღო და ერთი მაღალი, ხმელ-ხმელი, შინდისფერ ჩოხაში ჩაცმული კაცი შემოვიდა, გულზე არწივის ჯვრის ორდენი ებნია. ნაცნობი სახე ჰქონდა... თვითონვე გამომეცნაურა - ესა და ეს არა ხარო? - წინარეხელი მაღალაშვილი იყო - დედაჩემს გარე დეიდაშვილად ეკუთვნოდა. გადამეხვია, მომეფერა, ბოლოს კი გერმანულ არმიაში სამსახური შემომთავაზა. მე ვიუარე - ჩემიანს ვერ ვესვრი-მეთქი. ცოტა კი მოეღრუბლა სახე, მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ მკითხა, რისი კეთება შეგიძლიაო და როცა გაიგო, საინჟინრო რომ მქონდა დამთავრებული და სპეციალობითაც მემუშავა, მითხრა, რამეს მოგიხერხებო. ჰოდა, იმ სოფელში - კოპერატივი იყო თუ რაღაც - მანქანების პარკში მექანიკოსად გამამწესა. ჩვეულებრივად ვცხოვრობდი, ოღონდ ეგ იყო, დილა-საღამოს ბურგომისტრთან უნდა გამოვცხადებულიყავი ხელის მოსაწერად. ერთი ქერა, მხიარული, წითელლოყება გოგო იყო - ისიც ჩემთან მუშაობდა - საღამოობით, ბურგომისტრთან ჟურნალში რომ ვაწერდი ხელს, გარეთ მიცდიდა ფორნით. მეც გამოვიდოდი, შევახტებოდი იმის მერსედესსა და ასე მივყავდი ყოველღამ თავისთან. მშობლებიც კარგი ხალხი ჰყავდა - შვილივით მეპყრობოდნენ... არადა, ბიჭი ომში ჰყავდათ - რუსეთში. კვირაში ერთხელ მაღალაშვილი მოგვაკითხავდა ხოლმე ქართველებს და ჭკუას გვარიგებდა. ერთხელაც, მეტისმეტად დაღლილი მეჩვენა. მითხრა - სხვა გზა არ არის, ფორმა უნდა ჩაიცვაო და ხვალამდე მოიფიქრე პასუხიო... მე რა ბევრი საფიქრალი მქონდა - ჩვენებს ვერ ვესროდი და იმ ღამეს ჩემმა გოგომ გამაპარა ცრემლების ღაპაღუპით... ორი კვირა ვიწანწალე და ბოლოს ისევ ბელორუსიაში მოვხვდი პარტიზანებთან - კოვპაკი იყო ერთი, პარტიზანების წინამძღოლი - გენერლის წოდება ჰქონდა; და ბევრი რომ არ გავაგრძელო, მის დაზვერვაში მოვხვდი. პირადადაც გავიცანი - რამდენჯერმე მცველადაც კი გავყოლივარ მოლაპარაკებებზე... იქაურობის პირობაზე, არც იქ მაკლდა არაფერი, მაგრამ ჩემი კატუნა მენატრებოდა... ბედნიერი ყოფილა, ცხონებული, ამ დღეს რომ არ მოესწრო... - შაქროს ისევ ჩაუწყდა ხმა, ერთბაშად დაუშრიტა შემართება, თმა გაბურძგვნოდა, სათვალე მოღრეცოდა; ასე იჯდა უმოძრაოდ და ძალის დაბრუნებას უცდიდა. ბოლოს ამოახველა, თან სიტყვებიც ამოაყოლა და ღერღვა-ღერღვით განაგრძო:

- ბარანოვიჩთან მართლა სულელურად ჩავვარდი მეორეჯერ პლენში. ხიდი გვქონდა ასაფეთქებელი და ავაფეთქეთ კიდეც და როდესაც სამშვიდობოს დავიგულეთ თავი და ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე მოვდიოდით, სწორედ მაშინ გადავაწყდით გერმანელების კარგა მოზრდილ რაზმს. სამი კაცი დაგვიხოცეს, ორნი კი დაგვატყვევეს - მე და ერთი ხახოლი. კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ცოტა ჭკუიდან გადასული; მუდამდღე ერთსა და იმავეს ყვებოდა - როგორ მოხვდა ხელჩართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაში, რუსები "შტიკავაია ატაკას" რომ ეძახიან - არმია არმიაზე მიდიოდა. ისიც და მის გარშემო ყველანი ერთმანეთს დაუნდობლად ფატრავდნენ - მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჯანიანი იყავი თუ სუსტი - ყველაფერი ყისმათსა და დაუნდობლობაზე იყო დამოკიდებულიო. თავიდან ისე შემეშინდა, რომ ჩავიფსი, მაგრამ ეს შიში მალე ლიბრად გადაეკრა მთელ ჩემს სხეულსო, - ჰო, ასე ამბობდა - და ყველაფერი და ბოლოს თავისი თავიც დააჩლუნგაო; მაგრამ შიში ბრძოლის დამთავრების შემდეგ უნდა გენახა - შიში და მერე რა შიში - ორი დღე ენა მქონდა ჩაგდებული და ხმას ვერ ვიღებდი! რასაც შევჭამდი, ყველაფერი უკან ამომდიოდაო. ბრძოლის დროს სპირტით ვიყავი გაჟღენთილი, მაგრამ ყოველი წამი მახსოვსო... ამ ამბავის მოყოლას რომ დაიწყებდა, ძაგძაგი აიტანდა. ამდენი წლის განმავლობაში სულ თითზე ჩამოსათვლელი კაცი შემხვდა, ვისაც ასეთი ბრძოლა ჰქონდა გამოვლილი და უმრავლესობას ეგ ამბავიც ესიზმრებოდა... ჰოდა, დაგვატყვევეს მე და ის ხახოლი და წინ გაგვიგდეს - ღამე ერთ სახლში გაჩერდნენ. თვითონ შიგ დაიძინეს, ჩვენ კი ხელფეხშეკრულები დაგვყარეს საქათმეში. დარაჯად ორი იმათ მხარეს გადასული ბულბაში დაგვიყენეს... იცი, ბულბა კარტოფილს ნიშნავს - იმის მეტი ბელარუსიაში არაფერი მოდის - ეგ არის მაგათი საჭმელიცა და სასმელიც - არაყსაც იმისგან ხდიან და ამიტომაც ეძახიან ბულბაშებს... იცვლებოდნენ - ერთი ჩვენთან ერთად ეგდო საქათმეში, მეორე კი გარეთ გვყარაულობდა. საქათმეში ყროლის სუნი იდგა - ნუ იტყვი - და რა დამაძინებდა... და გინდაც არ მდგარიყო სუნი, რული როგორ მომეკარებოდა!.. ის ხახოლი კი იმაზე კი არ ფიქრობდა, რა გველოდა - ისევ იმ დასაწვავ "შტიკავოი ატაკაზე" ყვებოდა - იმ ჩავლილი ამბისა უფრო ეშინოდა - სიზმარშიც და ცხადშიც ხომ მხოლოდ ის ედგა თვალწინ და ამიტომ იყო, ალბათ, რომ ამ მოყოლაში ჩაეძინა კიდეც... ჩვენ ბედად, ერთ-ერთ ბულბაშს არაყი ჰქონიყო წამოღებული და ისინიც ყოველ შეცვლაზე ურტყამდნენ... ჰოდა, დილაღამიანად, ერთ-ერთი შობელძაღლი შემოვიდა თუ არა, ეგრევე დაეგდო და ხვრინვა ამოუშვა... დაიმედებული იყო - ხელები ზურგს უკან გვქონდა შეკრული... რამდენჯერაც თავი წამოვწიე, ქანდარას ავარტყი ცხვირი; ტრაკში ლურსმანი მქონდა შერჭობილი... და იმდენი მაწვალა იმ ლურსმანმა, რომ ბოლოს, როგორც იქნა, გაქცევა მომაფიქრებინა - კარგა ხანს ვიწვალე და ხელები ლურსმანთან მაინც მივიტანე და დავუწყე ხახუნი - თოკზე მეტად მგონი მაჯები დავიჭერი, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა - მთავარი იყო ხელი გამეთავისუფლებინა... ჰოდა, წელან რო ვთქვი, დილაღამიანად შემოვიდა ყარაული და ხვრინვა ამოუშვა-მეთქი, სწორედ იმ დროს გავწვყვიტე თოკის უკანასკნელი ძაფი და ფეხებიც ნელ-ნელა მოვიზიდე - დაბუჟებული მქონდა და არ მემორჩილებოდა. ბოლოს, როგორც იყო, გავითავისუფლე და ხელში ერთმეტრიანი თოკი შემრჩა. სული რომ მოვითქვი და კიდურების ავად თუ კარგად მოძრაობა შევძელი, ხელის ცეცებით მივეპარე და იმ ბულბაშის - უფრო სწორად, იმის ყელის ძებნა დავიწყე - არადა, ისეთი სიბნელე იყო, ცხვირთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. ბოლოს გუმანით მოვუძებნე კისერი, სადღაც იქ, საიდანაც საშინელი ხვრინვა და არყის ოხშივარი ამოსდიოდა, ოდნავ წამოვუწიე თავი, ზედ თოკი შემოვუჭირე და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავქაჩე და დახრჩობა დავუწყე. ისეთი ხრიალი ატეხა, მიკვირს, იმ მეორემ, გარეთ რომ იდგა, ვერაფერი რომ ვერ გაიგო - ეტყობა არყისგან დაბანგულს იმასაც რული ჰქონდა მორეული. შენ წარმოიდგინე, ჩემს ხახოლსაც ეძინა ტკბილად... მერე მითხრა, ისევ "შტიკავაია ატაკა" მესიზმრებოდა და იქ ისეთი ხმაური და უბედურება იდგა, რომ აბა სხვა რამეს როგორ გავიგებდიო. არადა, იმ ხახოლის გაღვიძებაზე მგონი უფრო მეტი ძალა დამეხარჯა. თან ვაღვიძებდი და თან პირზე ვაფარებდი ხელს და სანამ ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერს მიხვდა, კინაღამ აქეთ მე დამახრჩო... ბულბაშს ერთი ხიშტიანი შაშხანა ჰქონდა და ზედ აწვა. ძლივს გამოვაძრეთ თოფი, ხიშტი მოვხსენით და გარეთ გავძვერით. მეორე დარაჯი ოციოდ ნაბიჯზე იდგა, პაპიროსს ახვევდა და თან ცაში იყურებოდა. მივეპარეთ - მე წინიდან დავუარე, ხახოლმა კი უკნიდან. უცბად დავადექი თავზე და მომიკიდე-მეთქი, ნავუწურჩულე. მოულოდნელობისაგან ლამის შეხტა და ის-ის იყო გინებ-გინებით წაიღო ხელი თოფისკენ, რომ საქონელივით გამოლადრა ყელი უკნიდან მიპარულმა ხახოლმა... აკი გამოადგა კიდეც "შტიკოვაია ატაკას" გამოცდილება! იმათი საბუთები და იარაღი ავიღეთ და სასწრაფოდ მოვუსვით. ტყე-ტყე, ჭაობ-ჭაობ ვიხეტიალეთ - ნადირივით დღე გვეძინა რიგრიგობით და ღამე ვმოძრაობდით - ექვსი დღის განმავლობაში კაციშვილი არ შეგვხვედრია. ჩვენ ჩვენი ჭკუით ბულბონიაში ვბრუნდებოდით, მაგრამ პოლონეთში არ ამოვყავით თავი?! ერთმა ოჯახმა შეგვიფარა - გერმანელებს და რუსებს ერთნაირად ვერ იტანდნენ, მაგრამ რომ გაიგეს, ვინც ვიყავით, გამოგვაძინეს, დაგვბანეს, გვაჭამეს და ასე გაგვიშვეს... ეგრე დაინყო ჩემი წანწალი - ჩეხეთშიც ვიყავი, უნგრეთშიც, იუგოსლავიაშიც, იტალიაშიც... ბოლოს ავსტრიაში მოვხვდი... თითქმის ყოველ წამს შეიძლებოდა მოვეკალით, მაგრამ მაინც გადავრჩი... ომის დამთავრების შემდეგ ტიროლში მოვიკიდე ფეხი. ერთ ქალთან ვცხოვრობდი - ინსბრუკთან ჰქონდა პატარა სასტუმრო. სამი წელი ვიყავით ერთად. ჰოდა, ერთ დღესაც მითხრა - ფეხმძიმედა ვარო. ჩვენებურები არ გეგონოს, გათხოვებისთვის ყველაფერს რომ იკისრებენ; რახან თქვა - წყალი არ გაუვიდოდა. არადა, მე იმ დღიდან დავინყე დაბრუნებაზე ფიქრი - რაც უფრო მეტად ეტყობოდა ორსულობა, მეც უფრო მეტად მენატრებოდა ჩემი კატუნა - სულ ის მახსენდებოდა, როგორ გვინდოდა შვილის ყოლა - ექიმებთანაც დავდიოდით და ექიმბაშებთანაც, მაგრამ ყველაფერი ტყუილი იყო. აქ კი ყველაფერი ასე თავისთავად მოხდა... კარგა ხანი ვიფიქრე და ბოლოს გამოვუტყდი - არ გამოვპარულვარ: ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და იმანაც გამიგო - რამდენიმე დღე იტირა, ბოლოს კი მითხრა - მთავარი ის არის, რომ არ მომატყუეო; ასე დავშორდით ერთმანეთს... როდის იყო და როდის და გერმანიაში, რუსების ზონაში ჩავაღწიე. იქ ხელი მტაცეს - მოღალატეობა დამბრალეს და იალა - ციმბირისკენ გამაქანეს... ერთი რამ მოვასწარი - კოვპაკს მივწერე წერილი - ესა და ეს ვარ და იქნებ გამომესარჩლო-მეთქი. სამი თვე მივჩანჩალებდით სატვირთო მატარებლით და როცა დანიშნულების ადგილზე ჩავედით, აღმოჩნდა, რომ სტალინი გარდაცვლილი იყო, ბერიაც ჩაეძაღლებინათ და იმ იდიოტ ნიკიტას გაემარჯვნა... ტაიგაში ვმუშაობდით, ტყესა ვჭრიდით, ერთხელ უშველებელმა კედარმა კინაღამ ქვეშ მომიყოლა, მაგრამ მაშინაც გადავრჩი... ერთ დღესაც, ბანაკის უფროსი მეძახის და მეუბნება - თავისუფალი ხარ - კოვპაკის ერთ-ერთმა უახლოესმა კაცმა გაგიხსენა და გამოგესარჩლაო... იქნებ გახსოვს - რა სახელი ჰქონდა კოვპაკს იმ დროს - არადა, ერთი შეუხედავი, ჩია კაცი იყო... ჰოდა, მეც გამათავისუფლეს... ჩემს დაბრუნების ამბავს სხვა დროს მოგიყვები - ექვსი თვე მოვდიოდი... არადა, ყველას გამოტირებული ვყავდი, მაგრამ მაინც დავბრუნდი... ცოლიც დავიბრუნე, მუშაობაც დავინყე და ბიჭიც გვეყოლა... ამერიკელებმა რო იციან - ჰეფი ენდიო თუ რაღაც მაგდაგვარი მოხდა... - შაქროს ისევ ჩაუწყდა ხმა და ყელში ისევ რაღაც გაეჩხირა, მერე ფილტვებიდან სტვენის მაგვარი რამ ამოუშვა და გაყუჩდა...

- რა მინდოდა, რას მოვეთრეოდი... ბიჭმა მაინც რომ გაიგოს, ავსტრიაში ჰყავს თუ არა ვინმე... იქნებ - ჩაიხრიალა შაქრომ და ხელი ჩაიქნია.

სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში შუაბანდში გამომავალი ოთახის ფანჯრებიდან მოკაიფეების ხრიწინიანი ხმები ნკაპა-ნკუპით მოჟონავდა. უსაგნო ლაყაფით დაოსებულ მათ ბაგეებს ისე ზანტად წყდებოდა ბგერები, თითქოს მონღოლმა თავის ერთსიმიან საკრავს გამოკრა თითიო. ეს ხმები თუნუქის სახურავზე დაცემული წვიმის დიდრონი წვეთების მსგავსად, მძიმედ ეხლებოდა შაქროს ყურის ნიჟარას, ჟღრიალით შეგორდებოდა მის ლაბირინთში და ფიქრის უფსკრულის მდუმარეებაში იწრიტებოდა, ახლა ის თითქოს ცხადად ხედავდა კიდეც, კედლის მიღმა, სავარძლებში ჩასვენებულ ბიჭებს როგორ უქრებოდათ თვალები და უსასრულობაში მზირალ მათ ცვილივით ჩამოქნილი სახის ნაკვთებს მჭვირ-

ვალება ერეოდათ.

ანაზდად სანდრო რაღაც წრიპინმა გამოარკვია - თითქოს რაღაცამ გაიფხაკუნა. ცოტა ხანში ხმა განმეორდა და დისშვილმა იგრძნო, როგორ დაიძაბა შაქრო - ჯერ საფეთქლებზე წამოებერა ძარღვები, მერე თვალები დაუმძიმდა და გუგებიც გაუფართოვდა. სანდრომ ბიძის მზერას თვალი გააყოლა და შუშაბანდის ბოლოში მოწრიალე რამდენიმე ვირთხა დალანდა.

შაქრო ფრთხილად, უხმოდ დაიხარა, მაგიდის ფეხებთან გადაბრუნებულ ჯორკოს დასწვდა და ვირთხას ესროლა. ჯორკო კედელს მიენარცხა და სანდროს გულისგამყინავმა ჭყივილმა სხეულში დენივით დაუარა.

- ხომ მოგახვედრე - ხომ მოგახვედრე, შე ბებერო ჩათლახო, - აღმოხდა შაქროს. თვალები წამონთებოდა, თმა ყალყზე დასდგომოდა და ასე სცემდა ბრძოლის ყიჟინას.

ჯორკოს ქვეშ თეთრი ვირთხა ფართხალებდა - ეტყობა დარეტიანებული იყო - მისი მხლებლები კი აღარსად ჩანდნენ.

- მიდი, სანდრიკ, დასცხე მაგ დედამოტყნულსა, მაგას, - შაქრო უკვე ფეხზე წამომართულიყო და მზერით კეტს დაეძებდა. კეტი მაგიდის ქვეშ ეგდო. სანდრომ კეტი აიღო, ის-ის იყო, უნდა მიეწოდებინა, რომ ისევ ის თეთრი ვირთხა მოხვდა თვალში - ის ახლა მათკენ მოიწევდა, მოიწევდა კი არა, უკვე კამარა შეეკრა და მოფრინავდა და სანამ სანდრო კეტს გაისროდა, თეთრმა ვირთხამ ჭყივილითა და ზრიალით შაქროს თავზე დაჰკრა თათი და ზედ გადაევლო.

შაქრო გაფითრებული იდგა - ენა ჩავარდნოდა, უაზროდ მიშტერებოდა კედელს. მერე თვალები უნებლიედ დაეხუჭა და სავარძელში ჩაეშვა. შუშაბანდში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ოთახიდან სკამის გადაბრუნების ხმა გაისმა და კარიდან მერაბა გამოძვრა.

- გვაცალე, რა, ივანიჩ. რა, ისევ აქაბი გგონია თავი? - უსაყვედურა მერაბამ.

შაქროს პასუხი არ გაუცია. ისევ თავჩარგული იჯდა და ფიქრობდა. მერაბას სახეზე ისეთი ღიმილი დასთამაშებდა, ეტყობა ძალიან მოსწონდა თავისი გამონათქვამი, ამაყად იდგა და შაქროს დაჰყურებდა.

ასეთ პოზაში იყვნენ გარინდულნი ერთხანს. მერე შაქრო გასწორდა, წელში გაიმართა, ხელები კეფაზე შემოიწყო, თავი გადასწია, თვალები მონკურა და კედელზე დაკიდულ ფოტოს გახედა. სურათზე სამი ფიგურა იყო გამოსახული: დაბალ, დაფერილი ძაფით ნაქსოვ, პარალელურ წრფეებად დაყოფილ და ამ დანაყოფების სიდიდისდამიხედვით მზარდი რომბებითა და ჯვრებით მორთულ ფარდაგზე მდგარ სკამებზე ჩამომსხდარ ცოლ-ქმარს შორის დათბილულ "მატროსკიანი" შვიდი-რვა წლის ცქვიტი ბიჭი იდგა. ბიჭს მოკლე შარვლის ქვეშ რეზინის სამაგრით დამაგრებული, ოდნავ ჩამოჩაჩული "ჩულქები" ეცვა, იღლიაში ნათლია ნიკო ცხვედაძის საუკეთესო მეგობრის ნაჩუქარი "დედა ენა" ამოეჩარა... შეჭმუხნული შუბლის ქვეშ წამონთებული თვალებით ჯიქურ უმზერდა სამფეხაზე შემდგარი ფოტოაპარატის უკან, შავი ბალახონის ქვეშ შემძვრალ სტუმარს, ვისი ზოგადი სახელიც, აგერ, ლამის ოთხმოცი წლის მერეც შემოუნახავს სურათზე ამოტვიფრულ ოქროსფერ წარწერას - "სტუდია რემბრანდტი". ბავშვის მარცხნივ ქალის ფიგურა იყო - ქალი ასე ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა; პატარა ხელები მუქწაბლისფერ ხავერდის კაბაზე კოხტად გადმოფენილ თეთრ სარტყელზე დაეკრიფა. ნიკაპთან შეკრულ ლეჩაქში გამოხვეულ სახეში კაცის ყურადღებას თვალის ნუშისებრი ჭრილი იქცევდა - ქალი საკუთარ თავში იხედებოდა - მისი ფიქრი სახლსა და ეზო-კარს უტრიალებდა - და მხოლოდ ზრდილობისთვისღა შესკუპებულიყო მაღალ, მასიურ სკამზე და ბეღურასავით მოჩანდა ქმრის გვერდში, იმავე ზომის ტაბურეტი ჯორკოსავით რომ შემოეგდო მუქჩალისფერი მაუდის ჩოხის კალთებით გადმოფენილ, განზე გადგმულ, ღრმად ჩამუხლულ ლაჯებქვეშ; მარჯვენათი ზომაზე გრძელი, მეორე მუხლზე ჩამოდებული სატევარის ტარი ჩაებღუჯა; წვერი აჯაგვროდა, დაფანჩული წარბების ქვემოდან ღრმად ჩამჯდარი თვალები უბრიალებდა. ეტყობოდა, რომ ეს პროცესი არც მას ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ბავშვის მუდარისთვის ვერ გაეძლო და ახლა აქ იჯდა და არკი იცოდა, რომ სულ რამდენიმე კვირაში, ვენახში, აქედან ასიოდ ნაბიჯით რომ იყო დაშორებული, ის შეჩვენებული მწვანე მიხა ზურგში ესროდა თოფს. თავიდან ვერც კი მიხვდებოდა, რა მომხდარიყო, საკუთარი ფეხით მიაღწევდა მაღალ, ორსართულიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვითკირის სახლამდე (მისმა პაპისპაპამ, ვისი სახელის მატარებელიც თავადვე იყო, თავისი ხელით რომ შეურჩია ყოველი ქვა), ახლაც მოინდომებდა ზემოთ, მეორე სართულზე და მის განიერ, ჩაჩუქურთმებულრიკულებიან აივანზე ასვლას, საიდანაც მისი საყვარელი კონუსისებური, პირამიდის მსგავსი თეთრი მთა ჩანდა, მაგრამ ძალა არ ეყოფოდა, უბრალოდ მოტრიალდებოდა, კლდეს გახედავდა და იტყოდა - "რა ლამაზია ეს ტიალიო", იქვე, პირველ სართულზე, დედაბოძიან დარბაზშიღა შევიდოდა, ტახტზე დაწვებოდა და გაყურებოდა... ახლა კი პატარა შაქარას თხოვნით თბილისიდან გამოწერილი ფოტოგრაფის წინ იჯდა და უკვე დაბერებულ, ეულად დარჩენილ სავარძელში ჩასვენებულ უკვე მასზე გაცილებით უფროს გვარის გამგრძელებელსა და მოსახელეს უცქერდა, ხელები კეფაზე რომ შემოეწყო, თავი გადაეწია და მოწკურული თვალებით შუშაბანდის კედელზე დაკიდულ, სკოლაში წასვლის წელს, პაპასა და ბებიასთან ერთად გადაღებულ საკუთარ სურათს რომ შეჰყურებდა და მშობლების მიერ ათასჯერ მოყოლილ თავისივე დაბადების ამბავს იხსენებდა: კაცს დარდს რა გამოულევს და, თურმე, მას შემდეგ, რაც შვილიერების იმედი გადაეწურა, ზაქაროს თურმე ახლა ძმისშვილზე დაუწყია წუხილი - მე ხომ უშვილძიროდ უნდა გადავეგო და ამ ჩემი ხუთი ძმისშვილიდან მხოლოდ ერთია ვაჟიო. ძმისშვილს ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა და ქალს რამდენიმე თვეში უნდა ემშობიარა; და ვინძლო, ამასაც არ გაუჩნდეს ვაჟიო, სწუხდა თურმე ზაქარია. ისეთი დარდი იცოდა, რომ ახლობლებს ეგონათ, ეგ არის და ზედ გადაჰყვებაო. ამჯერადაც ასე იყო, თუმცა ახლა, შუშაბანდის კედელზე დაკიდული სურათის სამივე პერსონაჟმა და სავარძელში ჩასვენებულმა ძია შაქრომ და მის წინ მჯდარმა დისწულმაც იცოდნენ, რომ ვარდობის თვის დასაწყისში, სოფელში თბილისიდან ამბავი ჩამოვიდოდა - რძალს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. და ზაქარია სასწრაფოდ შეკაზმავდა ცხენს და დიდგორებით მოკლედ გადმოჭრიდა თბილისში, ღამით, ტურების კივილში გადაივლიდა წინაპართა სისხლით გაპოხილ ზეგანს, რომლითაც მისმა პეპერამ გადმოიყვანა ქართლში ალექსანდრე ბატონიშვილი, დილა-ღამიანად შევიდოდა ახლადგამოღვიძებული ქალაქის განაპირა ვერის უბანში და არაგვის მშენებარე ქუჩის ახლადაგებული სახლის ფართო სადარბაზოს მიადგებოდა, კარი ღია დახვდებოდა და ისიც, ცხენდაცხენ შევარდებოდა. მის მარმარილოს იატაკზე ფლოქვებით აყენებული ტკრციალი განიერ კედლებსა და მარმარილოსავე იატაკს მიეხლებოდა და ამომავალი მზით განათებულ სადარბაზოში დატრიალდებოდა. ზაქარია ჩამოქვეითდებოდა და კიბეებს აირბენდა - მაღალ, ფართო კარში შეიჭრებოდა, მისაღებ ოთახში შეალაჯებდა, იქიდან კი ძმისშვილის საძინებელში. ლოგინზე მწოლიარე ახალგაზრდა ქალი მშვიდად გაუღიმებდა; ზაქარია მის გვერდში აბრეშუმის პატარა ფუთის თუ მუთაქის მაგვარ საგანს მოჰკრავდა თვალს, უსიტყვოდ დასწვდებოდა, იქვე მდგარ საწერ მაგიდაზე დადებდა, გადაშლიდა და იქიდან სითხის წვრილი ნაკადი ამოასხავდა. "შენ გენაცვალე პატარა კაცოო", ამოიხრიალებდა გაფშეკილთმიანი ჩოხოსანი,შუბლს სითხის ვერტიკალურ ძაფს შეუშვერდა და ასე მოიბანდა პირს - "შენ გენაცვალე, შენაო"...

ფოტოზე ცოლთან და ძმისშვილთან ერთად გამოსახული ზაქარია კი ახლა თავის დაბერებულ შაქარას გადმოსცქეროდა, თავისთვის რომ ბუტბუტებდა:

- მაინც როგორ გაეხარდა... ყველა მიხვდა ამას და პაპაჩემის კი არა, მისი სახელი დამარქვეს... - ძლივს არჩევდა სანდრო ბიძამისის სიტყვებს.

შაქროს წელანდელი სასოწარკვეთისა ალარაფერი აჩნდა; ბებერი წისქვილის სარეკელასავით, ჩახლეჩილი ხმით, ღამის წამღერებით იმეორებდა ამ სიტყვებს და სარწეველაში მოკალათებულივით აყოლებდა კეფაზე შემოწყობილ ხელებზე მიყრდნობილ სხეულს ამ ფრაზის იდუმალ რიტმს.

ბოლოს დადუმდა. მერაბას თვალი თვალში გაუყარა და გამოსცრა:

- შენ რა, ბიჭო, ბავშვობაში წიგნებსაც გიკითხავდნენ?

მერაბა ასეთ შემოტევას არ მოელოდა და გაკვირვებული მიაჩერდა შაქროს. გონებამახვილური პასუხის მოფიქრება უნდოდა, მაგრამ რომ ვერ მოახერხა, თვალი მოარიდა.

შაქრო მაგიდისკენ შეტრიალდა, ახლოს მიიჩოჩა, უჯრა გამოსწია და იქიდან ჩვრებში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

23411

გახვეული რაღაც საგანი გამოიღო, გადაშალა - შაქროს ახლა ჩვრების მაგივრად კოხტა, კაკაოსფრად მბზინავი პისტოლეტი ეჭირა. თითქო ეფერებაო, ისე ამოიღო მჭიდი, შეათამაშა და უკანვე ჩადო, მერე დამცველიც გადასწია, მერაბას მიუშვირა და თქვა:

- ამას ხო ხედავ?.. იცი რა არის? თუ არ იცი - გეტყვი - პარაბელუმია. "სივის პაცემ პარაბელუმ!" ლათინურად ნიშნავს, "თუ გინდა მშვიდობა, ომისათვის ემზადეო". მისი პირველი ვარიანტი ბორჩარდმა შექმნა, 1900 წლისთვის კი ლიუგერმა დახვეწა და "ბორჩარდ-ლიუგერი" უწოდა. ეს, ანუ ბოლო მოდელი 1908 წელს შეიქმნა. ამას რომ უყურებ, საზღვაო პარაბელუმია. აი, ამ კაცისგან მერგო მემკვიდრეობით - შაქრომ კედელზე დაკიდული ფოტოსკენ გაიშვირა თითი და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა:

- წესიერად მოიქეცით, სამზღვარს არ გადახვიდეთ, თორე... - ჩემნაირები ჯერ არ შეგხვედრიათ - არ შეგხვედრიათ-მეთქი... გაიგე?

- გავიგე, ივანიჩ... - თავი დაუქნია მერაბამ და ოთახისკენ შეტრიალდა.

- ოღონდ იმ ბიჭებს ძალიან ნუ შემიშინებ, - მიაძახა შაქრომ და დისშვილს გახედა. სანდროს თვალები შუბლზე ასვლოდა.

- რა ხდება ძია შაქრო? - ამის თქმაღა მოახერხა სანდრომ.

- არაფერი. ხანდახან იდიოტებსაც უნდა ამოსდოს კაცმა აღვირი... თუმცა რა მაგათი ბრალია - ნაბიჭვრების ნაბიჭვრები არიან... არადა, ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო, ნათქვამია.

- თუ გინდა, დავრჩები ამაღამ შენთან, - უთხრა სანდრომ.

მეტის თქმა ვეღარ მოახერხა - უნდოდა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ეთქვა, მაგრამ ვერ მოიფიქრა. შაქრო კი ისევ მშვიდად იჯდა სავარძელში და კვლავ კედელზე დაკიდულ სურათს გასცქეროდა.

- რა საჭიროა, - ისევ მტკიცე, ჯეელური ხმით უპასუხა შაქრომ, - რა საჭიროა... ამაღამ ყველაფერი შეიცვლება. ჩემზე ნუ დარდობ - არც ისეთი საპყარი ვარ.

მერე სანდროს გამოხედა და დაამატა:

- ჩამოიღე სურათი.

სანდრომ ფოტო ჩამოიღო და ბიძამისს მიაწოდა. შაქრომ გამოართვა და თვალიერება დაუწყო - რამდენჯერმე დინჯად ააყოლ-ჩააყოლა თვალი. შემდეგ მზერა ერთ ადგილას მიაბჯინა, თითქოს ერთხელ კიდევ სცადა მასზე გამოსახული ადამიანების დამახსოვრება. მერე მკვეთრი მოძრაობით - გეგონება იშორებსო, სანდროს გაუწოდა და უთხრა:

- წაიღე. შენი იყოს.

- კი მაგრამ, ძია შაქრო...

- რომ გეუბნები - წაიღე. ეგ აღარავის აღარ სჭირდება. ხომ გაიგე, შენი იყოს... და წაიღე.

შაქრო ჩაფიქრდა. სათვალე მოიხსნა, დააორთქლა, პერანგის სახელოთი გაწმინდა და თქვა:

- თუ შენი ბიძაშვილი ჩამოვიდა ოდესმე და ძალიან გთხოვა - მიეცი.. ახლა კი წაიღე, წაიღე-მეთქი, რას ინაზები - თორე დავხვევ, იცოდე.

სანდრომ სურათი გამოართვა და კურტკის ჯიბეში ჩაიდო.

- ძია შაქრო... - მადლობის თქმა სცადა სანდრომ, მაგრამ კვლავ ენა დაება.

- ადექი ახლა, მაკოცე და წადი... - გააწყვეტინა შაქრომ - ადექი და წადი.

სანდრო წამოდგა. დაიხარა და ბიძამისის დიდ მარცხენა ხელისგულს დაადო ხელი. შაქრომ ზედ თავისი მარჯვენა წაფარა, გაირინდა და ასე ეჭირა ერთხანს. მერე დისშვილი თავისკენ მიიზიდა და შუბლზე აკოცა.

- წადი ახლა, - თქვა ბოლოს შაქრომ, - ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად იქნება - კარგად იქნება-მეთქი - გაიგე?

სანდრო მის წინ ატუზულიყო და ფეხს ითრევდა.

- წადი-მეთქი, - დაუტია ბიძამ.

სანდრო კართან მივიდა, გამოაღო და გარეთ გავიდა.

შაქრომ ეზოში მდგარ თუთის ხეს გახედა და გასძახა:

- ოღონდ საყელო კარგად შეიკარი. ხომ გითხარი, თუ ქვენა ქარი დაჰბერავს, აცივდება-მეთქი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲨᲝᲗᲐ ᲘᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲠᲘᲚᲘ, ᲓᲐᲛᲢᲕᲔᲠᲘᲚᲘ

ვწერ ლექსებს და
ვარ ბოლომდე ჯღაბნეული:
თავი ზემოთ,
აივანი უფრო ზემოთ,
რითმა როგორც უფრო ზემოთ,
მთვარე როგორც კიდევ უფრო ზემოთ... მაგრამ:
ვცხოვრობ ლექსებს,
და ვარ ასე ჯღაბნეულიც:
თავი დაბლა,
მიწა როგორც უფრო დაბლა,
მამის ჩონჩხი როგორც კიდევ უფრო დაბლა...
მამის ჩონჩხს და მთვარეს შორის
ვერაფერს ვერ მომაშორებთ, -
ყველაფერი არის ჩემი,
არ ჩამოთვლი
(რა ჩამოთვლის!),
ვაშა! ვაჰმე!
ესა ვარ მე:
გაკიდული აივანზე,
დამთვარილი, დამტვერილი,
ბედნიერად ჯღაბნეული...

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲑᲠᲐᲮᲣᲜᲔᲑᲡ!

ზიხარ სახლში მოწყენილი,
მზეც კი მთვარეს ახუნებს,
მაგრამ მოდის ის და ამბობს:
ცხოვრება აბრახუნებს!

სპლინის მოდამ გადიარა,
გირჩევ, მოინახულე
ის ზონები, სადაც გიჟი
ცხოვრება აბრახუნებს!

იქ სუფრაზე ილაგებენ
არყებს, ხიზმრებს, ტარხუნებს,
და მთელი დღე იმათ ირგვლივ
ცხოვრება აბრახუნებს!

ჰყავთ სალოსიც - ის დახტის და
ლექსს ლექსზე ახახუნებს,
ყველა თვრება და იცინის:
ცხოვრება აბრახუნებს!

ჰოდა რაკი ასე არის,
გთხოვ, რუტინა გაღუნე,
წამოხტი და მათ ესტუმრე,
კარზე დაუბრახუნე!

ᲢᲘᲮᲐᲠᲘ

არყოფნას და ყოფნას შორის
თუ არა ჩანს ტიხარი,
ის რომ მართლა არ არსებობს,
იქეთ გადაიხარე.

და სცადე, რომ გაატარო
ეს ცხოვრება უტიხროდ,
იქ გადასვლის შიშს ვინმემ ხო
ყოფა უნდა უტიროს!

სამოთხეში სიგრილეა?
ჯოჯოხეთში გადაცხა?
რა ტიხარი, რის ტიხარი,
იქაც ხარ და აქაც ხარ.

ეს ცხოვრება მთლიანია,
არ არსებობს ტიხარი,
ისეირნე ზემოთ-ქვემოთ
და ღვთის მადლით იხარე!

ᲛᲗᲕᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲣᲙᲕᲔ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

ისე, როგორც გალეწილი მთვრალი,
კვლავ გამოძვრა საიდანღაც მთვარე.
ჩაუარა ვაგონებს და ავზებს,
გადაბობღდა კორპუსების თავზე.

პოეზია სრულდებოდა არტით,
მთვარე ზეცის იყო ერთი ბღარტი,
თეთრღრუბელამ ხელი მოიფშვნიტა,
მე ვიდექი, ავყურებდი მშვიდად:

წრეს ურტყამდა მთვარე კაცთა ლაქლაქს,
ყველა სოფელს, ყველა სასტიკ ქალაქს,
მთვარე იყო უკვე ბადრი მთვარე,
დაჰყურებდა მთვარე გამომტყვრალებს.

ვფიცულობდი გამომტყვრალებს ძმებად,
ძმებს არყისთვის ფული მოეხვეჭათ,
ჩემთან ერთად მიმოედნენ ქუჩას,
იქცეოდნენ გამომწვევად, ურჩად.

მიეყუდნენ ხეს და არ დაეცნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან კი თენდებოდა ეს დღეც.
და ულრან ძილს რომ მიეცნენ მთვრალნი,
გასახვრეტ გროშს დაეშგავსა მთვარე.

კუზიანი

ყველასაგან საიდუმლოდ
კარი უნდა ჩარაზო,
და გულს უნდა მიუმარჯვო
წუთისოფლის თარაზო, -

რათა მიხვდე, რომ რაც გინდა
გქონდეს ჩინი, წოდება,
გული, როგორც კუზიანი,
თურმე ვერ გასწორდება.

სექტემბრის კვირტობა

ანასტასიას

გადააფენს ბალიშზე
თავის ფოჩა-კულულებს,
გაიღიმებს ჩიტად და
ცერა თვალებს მილულავს.

მისი ზეწრის ყუჩ შრიალს
ხმას ფოთლები უწყობენ,
ღილისთვის კი ციყვები
ჯადო-ნამცხვრებს უცხობენ.

მისი ძილის ფაუნა,
მისი სუნთქვის ეგ ტემბრი
შვიდსულიან ოჯახში
კვირტობაა სექტემბრის.

დედა ნისლში

მუხათწყაროს ნისლში
შეიპარა დედა.
ისე ჩუმად წავიდა,
უკან არვინ სდევდა.

ისე ჩუმად წავიდა,
ისე გაიპარა,
ამას თქვენთვის ვშვრებიო,
არც კი დაიბარა.

პური არ გაიყოლა,
არ მოგვთხოვა ფული, -
გულზე სევდა დამაწვა,
მუხათწყაროს ვუვლი.

ირგვლივ სქელი ნისლია,
არაფერი არ ჩანს,
დედა ქალაქს წავიდა,
შვილი სოფელს დარჩა.

ახლო არი თბილისი,
თუმც დღეს შორსაც არი,
დედა ნისლს შეუერთდა,
მოიხურა კარი.

ხვალე ნისლი გადავა,
გამოჩნდება გზები,
და გზის პირას დავდგები
უჩვეულო გზნებით:

ერთგული და დაღლილი
დაბრუნდება დედა,
და გულიდან ნისლივით
გადიყრება სევდაც.

ნინო ფილფანს

ტროტუარი თბილისის,
ივლისის დღე, წანწალი,

ერთი გოგო, აქტრისა,
ჩემი სულის წაწალი.

იწერება ლექსები,
ცხოვრება კი მიდის,

რჩება დეკორაციად
ტროტუარი მინდვრის.

დღე გადადის ღამეში,
ღამე კიდე დღეში,

მაინც არ გიჩლუნგდება
პოეტური გეში.

არ გადაგყავს წარსული
ლამაზ მოგონებად:

"იყო გოგო-აქტრისა,
გულზე სული ება.

ფეხშიშველა ქუჩაში
დადიოდა მთვრალი..."

არა... გოგო-აქტრისა
იყო და კვლავ არი.

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროკრუსტე

წარსული
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქვა.
ისვენებს ახლა პროკრუსტე:
არსად ჩანს მოკლე სიტყვა, გრძლად სათქმელი.

აწმყო
შრომობს პროკრუსტე თავაუღებლივ.

მომავალი
მოკლე სიტყვა გრძლად ითქვა.
ისვენებს ახლა პროკრუსტე:
სადღაა გრძელი სიტყვა, მოკლედ სათქმელი.

დღეში

საოცარია დღე.
დადიხარ დღეში,
ლაპარაკობ დღეში,
გიხარია დღეში,
მწუხარებ დღეში,
ოცნებობ დღეში,
თამაშობ დღეში...
სინათლეს და ბნელს არჩევ ერთმანეთისგან დღეში -
თუ დღე პირველია,
და ცას უყურებ დღეში - თუ მეორეა დღე.
და თუ მესამეა დღე - წევხარ ლორთქო ბალახში,
მიძვრები ლეღვის ხეზე.
და თუ მეოთხეა დღე - ითვლი, ითვლი ვარსკვლავებს.
პურს უფშხვნი ჩიტებს და თევზებს - თუ დადგა მეხუთე
დღეც,
და აჩენ შვილს და იკრავ გულში - თუ დღეა უკვე მეექვსე,
და საოცარია, საოცარია ამიტომ დღე:
მზე ანათებს დღეში,
წვიმს დღეში,
ცხოველები და ადამიანები და ავტომობილები დაქრიან
დღეში,
წიგნები იბეჭდება და იკითხება და იწვის დღეში,
და ღამე იბადება ნელ-ნელა დღეში, -
სასწაულია დღეში, ყველაფერია დღეში,
ერთადერთი შენ აღარა ხარ ხოლმე დღეში და
დადიხარ, ლაპარაკობ, გიხარია, მწუხარებ, ოცნებობ,
თამაშობ
თითქოს დღეში და ბუტბუტებ:
მინდა დღეპირველში, დღემეორეში, დღემესამეში,
მინდა დღემეოთხეში,
დღემეხუთეში, დღემეექვსეში მინდა, დღემეშვიდეში
მინდა,
დღეში მინდა, დღეში, დღეში...

* * *

გაზაფხულდა - არ მოკვდე,
აზაფხულდა - არ მოკვდე,
შემოდგომდა - არ მოკვდე,
გადაზამთრდა - მოკვდი!

მოზაფხულდა - მოკვდი და -
მოშედგომდა - მოკვდი და -
მოზამთარდა - მოკვდი და -
გაზაფხულდა - არ მოკვდე!

გაზამოზაშემოზამთრდა -
ასეთია ცხოვრება -
გინდა მოკვდი, გინდ არა -

მარადმწვანეთ თაყვანი
წლის ყოველ დროს ეცი!

ეკოლოგიური ოდა

ნაძვს დიდება,
ფიჭვს დიდება,
ალვას დიდება!
ესაა ჩვენი
ჭეშმარიტი
ავლა-დიდება!



ლევან ორახელაშვილი

ზეთისხილი



- მოდი, ბაბუ, პირველი "ლახტავოი" ჩავარტყათ!

- აბა რა, ბაბუ!

ზღვისპირა კაფეში სიმშვიდეა. დაწნული მაგიდები და სავარძლები პირდაპირ სილაზე დგას. მაგნოლიები, პალმები, ჭილოფის ქოლგები დილის უკვე მცხუნვარე მზეს გარიდებენ. სუსტი ტალღების მონოტონური მელოდია, კენჭების ჩხრიალი. მოიპარავს ტალღა კენჭებს, მძივებივით აისხამს, მაგრამ შუა გზაზე ებნევა. რა ქნას, ვერ ქაჩავს. მოშორებით რამდენიმე მზით გარუჯული ბანოვანი ნებივრობს. ჰო, ბანოვანი. ლამაზი სიტყვაა ალბათ. დაბანასთან არის კავშირში. ზღვის აბაზანა უკვე მიიღეს. ახლა მზის აბაზანაში ჩაწოლილან. მცხუნვარე ნირვანაში შედიან ნელ-ნელა. ჯერ კიდევ სველ, აშხვართულ სხეულებზე თეთრი სილა მიკრობიათ აქა-იქ. ის მცხუნვარე ნირვანაც ნელ-ნელა სქელდება მათ გარშემო, თავის უძრაობაში იხუტებს, მხოლოდ დილის სუსტი სიო არღვევს ამ უძრაობას, ამ წესრიგს. რიგრიგობით ეალერსება თეთრსილააკრობილ გარუჯულ სხეულებს მზის სათვალიდან ტანგამდე და იქით... თითქოს ანაზდეულად თეთრი სილიდან ამომძვრალ-ამობობღებული შავებით შემოსილი დედაბერი გარუჯულ, გარინდებულ სხეულებს შორის ჩამჯდარა. გადამწიფებული მსლითა და სიმინდის ტაროთი უნდა ამ უძრაობაში შეჭრა. მგონი ვერ ახერხებს. შორიახლოს ძალიან, ძალიან მსუქანი სუბიექტი ხვნეშის, ოხრავს. ზურგიდან მუცელზე გადაბრუნებას ცდილობს, წვალობს. ამ დილით პირველად შევიდა ზღვაში, ისიც მხოლოდ კოჭებამდე დაისველა ფეხები. იცის, ერთბაშად არ შეიძლება გრილ წყალში შესვლა, თორემ შეიძლება გული გაუჩერდეს ან გაუსკდეს, ან უბრალოდ გაებზაროს. მოკლედ, ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს ტემპერატურის ცვალებადობას. ახლობლებმაც ასე ურჩიეს. ხვალ მუხლამდე შევა წყალში, ცოტა ხანს გაჩერდება, მერე თითქოს რაღაც დარჩა ნაპირზე, ისევ უკან მობრუნდება, წამონვება, დაისვენებს. ზეგ და მაზეგ ერთი-ორი სანტიმეტრით უფრო ღრმად შევა და ასე შემდეგ. მკერდამდე არმისულს კი, ალბათ, შვებულებაც ხელს დაუქნევს, ჰაეროვან კოცნას გამოუგზავნის. აჰა, როგორც იქნა გადაბრუნდა! უკვე მუცელზე წევს, სამყაროსაც სხვა რაკურსით ხედავს. გადამწიფებულ მსხალს და მოხარშული სიმინდის ტაროებს ხედავს, მზით გარუჯული სხეულების ფონზე, რასაკვირველია. ბედნიერია ამ ხილვით. გულში ღრუტუნს იწყებს. თოვლივით თეთრ, გაოფლილ ზურგზე რამდენიმე ბრტყელი ქვა და სიგარეტის ნამწვი მიკვრია...

ორი პატარა ბიჭი გამალებით დაეძებს ოდესაც ტალღების მიერ დაღეჭილ-დამრგვალებულ და ნაპირზე გადმოფურთხებულ ბოთლის ნამსხვრევებს. ზურმუხტი ჰგონიათ. გამდიდრება უნდათ. გეგმებიც დაუწყვიათ იმ რამდენიმე მედუზასთან ერთად. უკვე გაწყალებას რომ იწყებენ... მედუზები ისე დაიჭირეს, ყოველი შემთხვევისათვის.

ზღვის, მაგნოლიის და მოხალული ყავის ასორტი ჰაერში დაფარფატებს. სრული კომპლექტია!

დაწნული მაგიდა. ზედ "ხუთვარსკვლავიანი" კონიაკის ბოთლი, არაქისი, ზეთისხილი, ორი კოლოფი უფილტრო "ქემელი" და ნიჟარა-საფერფლე დევს. ორი ჭიქა პირამდეა სავსე. ესეც სრული კომპლექტია.

- პირველი მეც "ლახტავოი" მიყვარს - ამბობს ბიჭი და მომღიმარი თვალებით შესცქერის ჭაღარა კაცს, რომელსაც ცარიელი ჭიქა უკვე მაგიდაზე დაედგა და ახლა არაქისის ჩენჩოს თითებით სრესს. მტვრად აქცია და სული შეუბერა.

- მიდი, ბაბუ, "ჩაიცვი", რას ელოდები?

ბიჭმაც ერთ ყლუპში "ჩაიცვა" კონიაკი. ოდნავ მოენგრა ყბა. მერე ისევ გაიღიმა.

- თხილი მიაყოლე, კარგია, - ურჩია ჭაღარამ.

- სადღეგრძელოები არ ვთქვათ? - თხილის კნატუნით იკითხა ბიჭმა.

- სულერთია.

- ჩვენ გაგვიმარჯოს - ბიჭმა ფილტვებიდან ჰაერი გამოაგდო და უკვე სანახევროდ სავსე ჭიქა მოიყუდა. წამში გააშრო.

- უფრო მოკლედაც შეგეძლო - ჭაღარამ ჯერ სიგარეტს მოუკიდა და მერე დალია.

- უფრო მოკლედ რა, ჩე-გე უნდა მეთქვა?

- ჩე-გე-ვარა. პრინციპში ვარგა. გამარჯვებასთან ასოცირდება.

ბარმენმა მაგნიტოფონი ჩართო. ზღვის, მაგნოლიისა და ყავის ასორტი ფრენკ სინატრას სმოკინგში გამოეწყო.

- გურამი გაახსენდა...

- ეგ რომელი? - ბიჭმა ცარიელ კაფეს გადახედა.

გურამი და გარინო

- ძველი ისტორიაა. მთაწმინდაზე ცხოვრობდა. ზევით. თუ ძალიან ცუდად იყავი კაცი, სანამ იქ ახვიდოდი, გული ამოგვარდებოდა. მაშინ ხშირად ვსვამდი. ჩემ გარშემოც ყველა სვამდა. იქ ასვლას ერთ საათს ვუნდებოდი, ხან ვინ შემხვდებოდა და ხან ვინ. სასარგებლო შეხვედრები იყო. ვჩერდებოდი, ვისვენებდი.

იტალიურ ეზოში ცხოვრობდა, ბელეტაჟზე. ძველი, ავარიული სახლი, მინგრეულ-მონგრეული კედლებით. ეზოში, ხის კიბის ქვეშ, საერთო ტუალეტი. ზოგჯერ რიგიც.

- ცოცხალი რიგი?

- ჰო, ცოცხალი, თანაც მოძრავი. მოკლედ, ეს ფასადია. როგორც კი გურამთან შეხვიდოდი, პირველი აპერკოტი, "პრიმის" კვამლის ღრუბელი და ღვინის სუნი მოგხვდებოდა. ღვინით სავსე უზარმაზარი ჭიქა უკვე მეორე აპერკოტი იყო, ჰოდა, მისტერ ნოკაუტიც...

- კარზე გიკაკუნებდა, არა?

- გიკაკუნებდა კი არა, კარს გინგრევდა! ჰოდა, მეორე აპერკოტს და ნოკაუტს შორის თავისუფლად მოასწრებდი ერთოთახიან ბინაში ექსკურსიას...

- ექსკურსია ნოკაუტის თანხლებით - ბიჭმა თვალები ეშმაკურად მოჭუტა.

- კომენტარებს თავი დაანებე, ჯერ ადრეა. ჯობს ჩამოასხა.

ბიჭმა სერიოზული სახით ჩამოასხა კონიაკი. კონიაკის რაკრაკმა პაუზა შეავსო.

- ჰოდა, პირველი, რაც თვალში გეცემოდა, კედელზე მიკრული ფრენკ სინატრას დიდი ფოტო იყო. სმოკინგში გამოწყობილის, რა თქმა უნდა. ლაცკანში წითელი მიხაკით, უკან გადაღესილი თმითა და მიამიტურ-ბანდიტური ღიმილით სახეზე, ვიტო ჯენოვეზეს სიძე არ იყო? ამ ფოტოს ცენტრალური ადგილი ეკავა კედელზე. გურამის ჯილა იყო და, ალბათ, იმიტომ. სხვა ფოტოებიც იყო კედელზე. გურამი და პერი კომო, გურამი და მერლინ მონრო, გურამი და გაგარინი, გურამი და ტუტანხამონი... მოკლედ... მეორე კედელზე, მესამეზე, მეოთხეზე, მეათეზე, სულ სიგელები, რაღაც დიპლომები, გიტარები, ბანჯოები, ძველებური ცილინდრები, მეცხრამეტე საუკუნეში გადაღებული ვიღაც უცნაური ტიპების ფოტოები, კედლის საათები... ოთახის კუთხეში ძველისძველი შავი "როინინში" იდგა და ზედ ასი წლის აკორდეონი. ოთახი სქელ, დაბზარულ კედელში დატანებული პატარა ფანჯრიდან იღებდა სინათლეს, მკრთალ, ფერმიხდილ სინათლეს. იმ ფანჯრიდან არც ცა, არც რაიმე სხვა არ ჩანდა. მხოლოდ მეზობელი სახლის ბათქაშჩამოყრილი ყრუ კედელი. ესეც მთელი პეიზაჟი! ოთახის ცენტრში უზარმაზარი მრგვალი მაგიდა, გარშემო კი სხვადასხვა ბედიღბლის მქონე, ხშირად უცნაური, ზღაპრული სახეები, მაგიდის ზედაპირზე მოფუსფუსე ხელები, ვრცელი ტექსტები წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, და ეს ყველაფერი უამრავი კედლის საათის წიკწიკის, კაკუნის, ბუტბუტის არითმიაში. კედელზე მიჭედებული ეს ყველა საათი სხვადასხვა დროს უჩვენებდა, ზოგზე შლეგი მარტი იყო, ზოგზე მხურვალე აგვისტო. მოკლედ, ამ ერთ ოთახში ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო მისტიკის ჩათვლით.

- მისტიკაში რას გულისხმობ? - ჩაეკითხა ბიჭი და თან ბარმენს ხელით რაღაც ანიშნა.

- გარინოს... - ჭაღარამ მცირე პაუზა გააკეთა. ბარმენმა მეორე კონიაკის ბოთლი და სუფთა საფერფლე დადო მაგიდაზე. რაღაცის თქმა დააპირა, ალბათ ისე, საკონტაქტოდ, მაგრამ გადაიფიქრა და უკან გაბრუნდა.

- მოკლედ, გარინო აბსოლუტურად ყრუ იყო, - გააგრძელა ჭაღარამ, - მაგრამ მიუჯდებოდა "როინიშს", დაუკრავდა და იმღერებდა ისე, უკეთესს ვერ ინატრებდი. პერიოდულად გურამი შეეხმიანებოდა თავისი ბანჯოთი, ან აკორდეონით. გენიალურად უკრავდა დალეწილი თითე-

ბით. დახუჭავდა თვალებს, დაგრეხდა და დალუნავდა ძველ აკორდეონს, თითქოს სარეცხს წურავსო. ჰოდა, გენიალური მელოდიაც რაკრაკით ილვრებოდა იქედან, ილვრებოდა, ილვრებოდა და მთელ ოთახს ავსებდა...

- გარინო რას წარმოადგენდა?

- ყრუ მუსიკოსს და კიდევ... არ ვიცი.

- გურამი?

- გურამი, ბაბუ!.. არა აქვს მნიშვნელობა. ერთს კი გეტყვი, როცა ერთ-ერთმა ცოლმა მიატოვა, გამოსამშვიდობებლად ასეთი ფრაზა დაუწერა: "Идеальный муж – это слепоглухонемой капитан дальнего плавания".

- ალბათ, ეს "ქსივაც" კედელზე ეკიდა?!

- თანაც "რამკაში". ჩამოასხი, ყელი გამიშრა.

ბიჭმა კონიაკი ჩამოასხა. უხმოდ დალიეს.

- თებერვლის სუსხიანი დილა იყო. Дядя გურამის ეზომდე ოციოდე ნაბიჯი მქონდა გასავლელი. რაღაც მანქანამ მიმასწრო ჭიშკრამდე. იქედან Дядя გურამი გადმოვიდა. ზოლიანი კოსტუმი ეცვა, კოჭებამდე პალტო, ჰალსტუხი, ცილინდრი, ლაქის ჭრიალა ფეხსაცმელი. როგორც ყოველთვის, სუფთად გაპარსული. ხელში ხუთლიტრიანი კანისტრა ეჭირა. ეტყობოდა სავსე იყო. ჰო, პიჯაკის ლაცკანიდან წითელი მიხაკი მოუჩანდა. ნოტარიუსთან ვიყავიო, მითხრა. ჩემი ბინა ნათესავს ვაჩუქე, კარგი ბიჭიაო. მერე ჩვეულებისამებრ სათვალის ზემოდან შემომხედა და მითხრა, Голубчик, წამო, ჩაიზე დაგპატიჟოო. მერე კანისტრას ხუფი მოხსნა და ჩაყნოსა. ალბათ, ცეილონურია-მეთქი, გურჯაანიდან. თავი დამიქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა "Да, Гурджаанского разлива". ოთახში რომ შევდიოდით, ვკითხე, გარინო სად არისთქო. გარინო დაინვაო, მითხრა. მაგარი მთვრალი ყოფილა. სახლში წავიდა და დაიძინა. ჰოდა, რომ ეძინა, რაღაც გამათბობელს ხანძარი გაუჩენია. მოკლედ, დაიფერფლა კაცი. ერთი კვირით ადრე კი Дядя გურამისთვის უთქვამს, ვგრძნობ, მალე "ქსივას" წავიღებ, ჩემს ორმოცამდე კი, ასე მგონია, შენც დამეწევიო...

უკვე ქუჩაში ვიდექი. ბინდდებოდა. იქ, შიგნით მიღებული ნოკაუტისგან აზრზე მოსვლას ვჩალიჩობდი. ხარბად ვყლაპავდი სუფთა ჰაერს. ბილიარდის ბურთულების პირამიდა რომ იშლება, ისეთი ხმა შემომესმა უცებ. ოღონდ მჭახე კი არა, უფრო რბილი, მოგუდული. მარჯვნივ, ქუჩის ზედა მხარეს გავხედე. რამდენიმე ათეული სისხლივით წითელი ვაშლი დიდი სისწრაფით მოგორავდა ზემოდან. ვინრო, მოყინულ ქუჩაზე. ზვავივით მოქროდა ეს წითელი მასა. დახტოდა, ბზრიალებდა. ყველანაირ ბარიერს გვერდს ისე უვლიდა, თითქოს ვილაცის ხელი მართავსო. მარჯვენა კოჭის არეში მწარე ტკივილი ვიგრძენი. ერთი ვაშლი დამეტაკა, შუაზე გაიპო და თითქოს ისევ იმ უჩინარმა ხელმა ადგილზე გააქვავა, ვაშლის ორივე ნახევარი წითელი ზურგებით მაღლა გააშეშა. სამფეხა, მაწანწალა ძუკნა, ასფალტამდე დაკიდებული ძუძუებით, სისხლისგამყინავი წკმუტუნით თავქვე დაეშვა და მოსახვევში გაუჩინარდა. ვაშლებმაც მოუხვიეს და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ნახევრადგაყინული ტყლაპოდან გახლეჩილი ვაშლი, ორი სისხლიანი თვალივით შემომყურებდა. ყოველთვის ვიცოდი, უფრო სწორად ვგრძნობდი, Дядя გურამთან, ამ "პრობლემის კლუბში" რომ ამოვყოფდი თავს, უნდა გავჩერებულიყავი, ცხოვრების ნირი უნდა შემეცვალა. ვახერხებდი კიდეც, მაგრამ იმ ნირშეცვლილ ცხოვრებაშიც უეჭველად გამოხტებოდა რაღაც, ერთი შეხედვით უწყინარი, უცოდველი გარემოება, რომელიც ისევ იქ მაბრუნებდა...

- ჰოო, ყველა გზა რომისკენ მიდის, მაგრამ ვაშლები რა შუაშია, ალბათ, ზევით ვილაცას პარკით მიჰქონდა დ პარკი გაუსკდა.

- ბუნებრივია, ასე იყო, აბა, ევა არ დამაყრიდა ზევიდან ხუთ კილო ვაშლს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ნიშანი იყო.

- რა ნიშანი? - ბიჭმა ორივე ფეხი სავარძლის ფეხებს შამოაჭდო და ყბა ისე მოენგრა, როგორც პირველი "ლახტავოის" შემდეგ.

- რა და წითელი ამინთეს. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ძალიან ცუდად ვიცნობთ ამ სამყაროს. ნებისმიერი ძუკნა უკეთ აფასებს სიტუაციას.

- რა, იმ სამფეხა ძუკნამაც რამეზე მიგანიშნა?

- "ვილაცას პარკი გაუსკდა". ძაღლი სიაფანდზე არ წამოეგება.

- შენ რა იცი?

- რა ვიცი და კატასთან ახლო ურთიერთობა მაქვს. კატის წელიწადს დავიბადე, ზოდიაქოთიც ლომი ვარ, ეგეც კატისებრთა ოჯახი! და ბოლოს, ჩემი სახელიც ძველებრძნულად ლომს ნიშნავს. ეგეც სამი! მარტო "ფიაუს" არ ვიძახი.

- კატა რაღა შუაშია!

- შუაში კი არა, თავშია! ძაღლი და კატა დაუძინებელი მტრები არიან, ჰოდა,

ზედმიწევნით იცნობენ ერთმანეთს.

- შენ გინდა თქვა...

- ჰო, ის ძუკნა რო პანიკაში გაიქცა, ვიგრძენი, რაღაც ძალა დაინახა. ჩვენ რომ დანახვა არ გვინდა, ის.

- შენ რა იცი, რო დაინახა?

- მე არ მითქვამს, რო ვიცი. ვიგრძენი! შენ რა გგონია, თუ რამეს ვერ ხედავ, ან ვერ ეხები, არ არსებობს? მოდი, იმ პატარა ბაყაყის როლში ნუ ვიქნებით, ერთ პატარა ჭაში რო ცხოვრობდა და ძმაკაცი ბაყაყი რო ესტუმრა...

- მერე რაო ძმაკაცმა?

- რაო და ეუბნება: იცი, ოკეანე ვნახეო. დიდიაო? ძალიან დიდიაო. ჩემს ჭაზე დიდიაო? ბევრადო, იმან უპასუხა. ვა! ეგ როგორო? - გაუკვირდა.

- მერე რა ქენი?

- მერე? მერე გარინოს ორმოცამდე ორი დღით ადრე გურამი დავასაფლავეთ. ზევით, მუხათგვერდში.

- ბევრი ხალხი იყო?

- "პრობლემების კლუბის" ყველა წევრს პლუს გურამის უკლებლივ ყველა ყოფილი ცოლი. ერთხმად მიატირეს: "გურამ! Голубчик, ცივ მიწაში რა გინდაო?" გულში გამეცინა.

- რატომ?

- იქ თბილა.

- შენ საიდან იცი?

- "აკოპიდან".

„ᲐᲙᲝᲞᲘ“

მზე დასავლეთისკენ მიიპარებოდა. ზღვის სანაპიროზე ზღვა ხალხი ნებივრობდა უკვე. ზოგი ნირვანაში იძირებოდა, ზოგიც კოჭებით და მუხლებით აპობდა ტალღებს. იმ ორმა ბიჭუნამაც, ალბათ, "დიდი ზურმუხტი" უკვე "მოხსნეს" და ახლა ქუჩა-ქუჩა საიუველირო პუნქტს ეძებენ. მედუზები დატოვეს. მედუზებს არ იბარებენ.

კაფეში არავინ შემოდიოდა. სიმღერისგან სიქაგაცლილი ფრენკ სინატრას ვილი ტოკარევი ჩაენაცვლა.

"Крещатик, Крещатик, я по тебе иду на дело, на дело..."

ხავერდოვანი ხმით და ჟანგიანი ნაგანით მისეირნობს შორეულ კიევში, წაბლის ხეების ჩრდილს ამოფარებული.

დაწნულ მაგიდაზე ორივე ჭიქა პირამდეა სავსე. კონიაკი ძარღვებში მოგზაურობს.

- თორმეტი წლის წინ ვიყავი ბოლოს ზღვაზე...

- ერთი ზოდიაქალური ციკლი გასულა! კარგად დაისვენე?

- თუ არ ჩავთვლით "კალაშნიკოვებს", ტანკებსა და ტყვიის სისინს, კარგად. ისე, რომ იცოდე, ტყვია კი არ ზუზუნებს, როგორც პოეტები წერენ, გველივით სისინებს. თანაც იცი, გველს და ტყვიას შორის რა განსხვავებაა?

- არ ვიცი - ბიჭს ფეხები ისევ სავარძლის ფეხებზე შემოეჭდო. კონიაკი ბოლომდე დაცალა, მაგრამ ყბა აღარ მონგრევია, პირიქით, ქვისგან გამოთლილივით გაუხდა.

- გველი ჯერ შემოგისისინებს და მერე გგესლავს, ტყვია თუ შემოგისისინებს დაივიწყე, უკვე ჩაგიფრინა - ჭაღარამაც გადაჰკრა. მერე კოლოფიდან ერთი "ქემელი" წკიპურტით ამოაგდო, მოუკიდა.

- იქ ღამით ჩავფრინდით. წვიმდა. ქალაქში რომ შევედით, უმატა. საჭირო რაღაცები ავიღეთ. ქალაქის მახლობლად ერთ-ერთ სიმაღლეზე უნდა ავსულიყავით. პალმები, ლაინები, ევკალიპტები, კოკისპირული წვიმა. ჰაერის განუმეორებელ არომატში შემოპარული სველი ХБ-ს და იარაღის ზეთის სუნი. კბილებამდე შეიარაღებული მობილური ჯგუფები და სულითხორცამდე შეშინებული ბოღჩააკრული მოსახლეობა. ქაოტური მოძრაობა, მოკლე ბრძანებები, რაციების შიშინი, "გრადის" ზალპები. მოკლედ, საიგონი...

გათენდა. დიდი ხნის ასულები ვიყავით ზევით და რელიეფიც უკვე "გაიასნებული" გვქონდა. ზოგი საუზმობდა, ზოგი ისვენებდა. უცებ დაიწყო...

- რა დაიწყო? - ბიჭს ცალი თვალი მოეჭუტა. პირში გარჭობილი სიგარეტის კვამლი აწუხებდა.

- ჯერ სისინი.

- მერე?

- მერე? დედის გინება, ღრიალი, დენთის სუნი, ხრიალი. სადაც ვიდექი იქვე ჩავუწექი, მერე რამდენიმე მეტრი მარცხნივ და მეც შევუბერე. მდინარის მხრიდან, ფერდობზე რო სიმინდები იყო, იქედან მოგვიჩოჩდნენ. არ ვიცი, როგორ, იქ ჩვენები უნდა მდგარიყვნენ. მოკლედ, ორ წუთში ყველაფერი დამთავრდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. გვიანი შემოდგომა იყო. ცა ფირუზისფერი, კრიალა. ჩემს ქვემოთ ცისფერი, თვალუწვდენელი ზღვა, ზევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის მზე...

- "ხუთვარსკვლავიანი" და "ქემელი"?

ჭაღარას გაეღიმა.

- არა, იქ ხუთი "რაჟოკი" და "ტემპი" იყო...

ასე ვიწექი ამ სამარისებურ სიჩუმეში ზღვასა და მზეს შორის. ჩემს წინ, რამდენიმე სანტიმეტრში მკლავის სიმსხო ვაზი ვაშლის ხეს შეყვარებულივით ჩახუტებოდა. დიდი, მწიფე მტევნები ეკიდა. ყურძნის ყოველი მარცვალი თავის პატარა კურკას ისე ლანდავდა მზის სხივისაგან, როგორც თხელი ქვედაბოლო ლანდავს ქალის ლამაზ ფეხებს...

ბიჭმა სანაპიროსკენ გაიხედა წამით. ზღვის ტალღებთან მბორგავ ზღვა ხალხში ერთი, მზით გარუჯული ბანოვანი გამოარჩია თავისდაუნებურად. მუცელზე გაშხლართული იდაყვებს ეყრდნობოდა. შავი, ხშირი თმა კეფის ზევით შეეკრა ძვლის მოჩუქურთმებული სარჭით. თავი მაღლა ეჭირა ისე, რომ თხელი, მაღალი კისერი და გაზნექილი ზურგი ერთიან რკალს ქმნიდნენ. წელზე შემოსალტულ პასტელურ-ჟოლოსფერი, ოდნავ შესამჩნევი საზღვრის მიღმა, ორი, ბრინჯაოსფერი ნახვარსფერო, თეთრ სილას უკვე მოეხატა, ფანტაზიისთვის გასაქანი უკვე მიეცა. ცალი ფეხი მუხლში მოეხარა ლამაზმანს, ზეაღემართა. ნიჟარაცმული ოქროს ძეწკვი უბზინავდა კოჭის და ტერფის შესაყართან. ასე უძრავად, გარინდებით იწვა. ნირვანაში ჩაფლული, მხოლოდ დროდადრო უტოკავდა ზეაღმართული ნატიფი ტერფი ტალღის ხმის რიტმში. იმ კატას ჰგავდა, მშვილდივით მოზიდული რო ელოდება თავის მსხვერპლს და მხოლოდ კუდის ბოლოს რომ არხევს აქეთ-იქით.

"საოცარია, - გაიფიქრა ბიჭმა, - სხვა სიტუაციაში, ალბათ, მუხლს არ დაგანახებს. ან ოთახის კარი რომ შეუღო შემთხვევით და შიშველი დაგხვდეს, ანერვიულდება, რაც ხელში მოხვდება ყველაფერს აიფარებს. განსაკუთრებით მკერდზე. ჰო, განსაკუთრებით მკერდზე. აქ კი, ამდენ ხალხში?.."

- ამას პლაჟის ამნისტია ჰქვია... - ხმადაბლა წარმოთქვა ჭაღარამ და ბიჭს არეული აზრები თაროებზე დაულაგა.

- ხმამაღლა ვფიქრობდი? - ნირშეცვლილი ხმით ჩაეკითხა ბიჭი.

- არა, უბრალოდ, ნელ-ნელა ვგრძნობდი, როგორ იღებდა იმ ყურძნის პატარა მარცვალი შაქარს მზის სხივისაგან, იმასაც ვგრძნობდი მეც როგორ ვიღებდი მზის სხივთან ერთად რაღაც აუხსნელს, იდუმალს. ჩემ გარშემო, ერთი მეტრის რადიუსში, ცვრიან, ბრჭყვიალა, ყვითელ-მწვანე ბალახზე კომში, ფორთოხალი, ხურმა, მტევნები, ბუნების მთელი გულუხვობა ეყარა, მხოლოდ ხელის გაწვდენა უნდოდა. თვალები თავისით დაშეხუჭა. ერთი ხელით მზეს ვეალერსებოდი, მეორეთი ზღვას. უზომოდ გავიზარდე, მთელი სამყარო. ჩემში იყო, მე კი მასში. თითქოს დრო გაჩერდა. აზრისა და ფიქრის ნატამალი არ იყო. ჩემში მხოლოდ სითბო იღვრებოდა. რაღაც პირველყოფილი სითბო. ამ გრძნობას ბოლომდე ვერ აღვწერ, ეს სიტყვებს მიღმაა, მისი არსის მხოლოდ შეგრძნება შეიძლება. ღვთის მადლი იყო.

- რა იცი?

- არ ვიცი. იმ მომენტში ასე ვიგრძენი. დღესაც ასე ვგრძნობ. ზოგჯერ დავხუჭავ თვალებს და ისევ იქ ვარ.

- ეტყობა ალალად იყო!

- ეტყობა.

- მერე?

- მერე, ჩემი "კალაშნიკოვის" გავარვარებულმა ლულამ იმ მადლიდან გადმომაგდო...

- და "აკოპის" თხრა დაიწყე?

- ჰო. უნივერსიტეტში, სამხედრო კათედრაზე ერთი რუსი პოდპოლკოვნიკი გვიკითხავდა "Огневая подготовка"-ს. საბჭოთა კავშირის რუკის წინ მიდი-მოდიოდა და სულ იმეორებდა: "Окоп, товарищи курсанты, это пятьдесят процентов тепла, плюс пятьдесят процентов жизни"... მიწა რბილი იყო. სამ საათში ისეთი "აკოპი" ამოვთხარე, რო მესტიის ბატალიონი მოვიდა ექსკურსიაზე. თავის "ნიშებით", ორი "ძოტით", ზევიდან "ნაკატით" და "ჩორნი ხოდით", მარტო ჯაკუზი აკლდა...

- სვანებმა რაო?

- არაფერი. აქნიეს თავები, აქნიეს და წავიდნენ. მერე ერთი მობრუნდა და მითხრა, ჩემს კოშკში გაგიცვლიო.

ბიჭმა სიცილისგან აცახცახებული ხელით კონიაკი ჩამოასხა, მერე ბოთლი მაგიდაზე დადგა და ბარმენს რაღაც ანიშნა.

"Расцвели каштаны в Киеве весной
И в моей прическе поменялось что-то..."

მეორე წრეზე წავიდა "კიეველი ბიჭი". დაწნული მაგიდა წაბლის სურნელს გადაეყლაპა. კონიაკი ძარღვებში დათარეშობდა. მზე ზღვაში ჩასახტომად ემზადებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რამდენი კაცი იჯექით იმ "აკოპში"?

– ვიჯექით კი არა, ვიბრძოდით. ორნი: მე და ერთი გულრიფშელი ბიჭი. ტუბიკი იყო. სროლის დროს გონება რო გადაეკეტებოდა, იქეთ მე ვაწყარებდი. ტყვიას ეძებდა საწყალი. ალბათ, თვლიდა რო არავის ჭირდებოდა. ერთ დღესაც პამიდორი ვჭამეთ აჯიკით. წყურვილი მახრჩობდა. მზიანი დღე იყო, წყნარი, ჩიტები ულურტულებდნენ. იმ ბიჭს თავის "ბაკლაშკა" ჰქონდა, იქიდან სვამდა წყალს. დაინახა ჩემი გასაჭირი, დაავლო ჩემს ჭურჭელს ხელი და ჭისკენ დაიპირა წასვლა, არ გავუშვი...

– რატომ?

– ისეთი სიწყნარე იყო, ნაღდად სნაიპერი მუშაობდა. იჯდა, ალბათ, სადღაც ევკალიპტზე ლამაზი, პრიბალტიკელი გოგონა СВД-ს ჩახუტებული და ელოდებოდა როდის დაგიჭერდა კიტრით ან პამიდვრით ხელში თავის ოპტიკურ სამიზნეში. მერე, ლამაზი თითის ერთი დაჭერა და სამუშაო დღეც დამთავრებულია. იმისთვის ხვალამდე, შენთვის სამუდამოდ.

– მერე ეს იმ ბიჭმა არ იცოდა?

– იცოდა.

– მერე რა ქენით?

– რა ვქენი? რა და იმის "ბაკლაშკიდან" დავლიე წყალი.

– მოთმენა არ შეგეძლო?

– შემეძლო...

– მერე?

– "აკოპში" ძალიან თბილა...

"Ты помнишь Хрещатик, все мои беды и победы..."

ტოკარევი უკვე "ბაზარს" ამთავრებდა. ორიოდე წუთიც და მზე ზღვაში ჩახტებოდა.

– აჰა, ჩახტა, – თავისთვის ჩაილაპარაკა ჭაღარამ.

– თანაც სუფთად, შხეფების გარეშე, – გაუღიმა ბიჭმა.

ჰორიზონტზე ცა გაწითლდა. ალბათ სირცხვილისგან, მზე რომ ხელიდან გაუსხლტა.

– მოდი, სიყვარულს გაუმარჯოს! – ბიჭმა კონიაკის ბოთლი ხელში აიღო.

– ეგრე ნუღარ იტყვი, – ალერსიანად გაუღიმა ჭაღარამ, – სიყვარული ყოველთვის გამარჯვებულია.

– მაშინ, სიყვარულის იყოს! – არ დაიბნა ბიჭი.

– იყოს!

– ზეთისხილი მაინც მიაყოლე.

– ზეთისხილს არ ვჭამ. სუფრაზე ყოველთვის ვდებ, მაგრამ არ ვჭამ.

– არასოდეს გიჭამია?

– კი, ერთხელ ვჭამე.

– მერე, არ მოგეწონა?

ჭაღარამ არაფერი უპასუხა. მხოლოდ ხუთი ცალი ზეთისხილი აიღო ლამბაქიდან, უყნოსა და ისევ ლამბაქზე დაყარა.

– იმ ქალის სურნელი აქვს, – ჩაილაპარაკა თავისთვის.

– ვინ ქალის? – ისევ ჩაეკითხა ბიჭი.

უკვე ჩამუქებულ ცაზე ღამის მზე ამოდიოდა. ცარიელ კაფეში, დაწნულ მაგიდებს შორის აჩრდილები აცეკვდნენ. კაფეში ნინო როტა შემობრძანდა.

ზეთისხილი

– პატარა, უცნობ ქალაქში მომიწია გაჩერება. რაღაც საქმეს ვაკეთებდი. მალე გავიგე, რამდენიმე დღე კიდევ მომიწევდა იქ დარჩენა. დროის გასაყვანად ქუჩებში დავეხეტებოდი. ქალაქს ვათვალიერებდი. ტიპიური სამხრეთული ქალაქი, ძველი ცივილიზაციების შესაყართან თუ გასაყართან. პატარა, თეთრი სახლები ტერასა-აივნებით, ბრტყელი სახურავებით, პატარა ბაღებში იყვნენ ჩაფლულნი. ქვით მოკირწყლული ვიწრო ქუჩა-შუკები, თეთრ შარვლებში გამოწყობილი შავულვაშიანი მამაკაცები და თეთრ ჩითებში გახვეული შავთვალანთებული ქალები. აქა-იქ პატარა მაღაზიების და ლუდხანების აბრები, რაღაც მიამიტური წარწერებით, ქუჩაში გამართული ვერცხლის სამკაულების პატარა ბაზრობები. ჰაერში მოხალული ყავისა და არომატული თამბაქოს სურნელი. ერთი სიტყვით, პატარა, თავის თავში ჩაკეტილი ქალაქი.

უკვე მეოთხე დღე იყო, რაც იქ ვიყავი. სუფთა, მყუდრო სასტუმროში ვცხოვრობდი – პატარა ოთახი, თეთრი კედლები, ოდნავ შესამჩნევი ბზარებით. ზოგჯერ მომსახურე პერსონალის ცნობისმოყვარე თვალები იმ ბზარებში. ღამ-ღამობით ჭრიჭინების გაუთავებელი ჭრიჭინი და შორიდან, ერთადერთი მაღალი მინარეთიდან მოვარდნილი მოლას გულამოსკვნილი ქვითინი...

– ყავას დალევ? – მოულოდნელად იკითხა ჭაღარამ. ბიჭმა თავი დაუქნია.

ორიოდე წუთში, დაწნულ მაგიდაზე ორი ფინჯანი ქურუმების სარიტუალო ჯამებივით აბოლდა. ცარიელ კაფეში მოცეკვავე აჩრდილები აჩურჩულდნენ. ნინო როტა ძალაში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდა.

ჭაღარამ კონიაკი ჩამოასხა. უხმოდ დალიეს.

- ცხელი. ხვატიანი დღე იდგა. ჩემს ლოგინზე ვიყავი მიგდებული. საღამოს სიგრილეს ველოდებოდი. უცებ რატომღაც გავარვარებულ ქუჩაში გასვლა და ცივი ლუდის დალევა მომინდა. ტანზე გადავიცვი და სასტუმროდან გამოვედი. ხუთასიოდე მეტრი ისე გავიარე, ერთი სულიერი არ შემხვედრია. სიცხისგან ყველა სახლებში იყო შემალული. აბსოლუტური სიმარტოვის გრძნობა დამეუფლა. შემზარავი გრძნობაა, მით უმეტეს, თუ ფანტაზიასაც გასაქანს მისცემ. მიუყვები მკვდარ ქუჩას, მიუყვები და მარტოობისა და სიცარიელის მეტი არავინ გხვდება. ჩაამთავრებ ამ ქუჩას, მეორეზე შეუხვევ და აქაც იგივე გხვდება. მესამეზეც, მეოთხეზეც. ყველგან ადამიანის ნაკვალევია, მაგრამ ადამიანი არ ჩანს. გადიხარ მკვდარი ქალაქიდან. მკვდარ ველს გადასერავ, მხოლოდ გადამხმარი ბალახია ირგვლივ, არც ფრინველი, არც მწერი, არც არაფერი. მიდიხარ, მიდიხარ, ჰორიზონტს ჰორიზონტი ცვლის, მაგრამ სურათიც და განწყობაც იგივეა. ოკეანესაც მიადგები. ჭაობივით დგას. ისიც მკვდარია. ოკეანესაც გადასერავ. შენი მსგავსი გინდა იპოვო, შენი ნაწილი და შეუერთდე, მაგრამ ვიღაც თუ რაღაც გიზის თავში და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას იქედნურად ხითხითებს. შენ კი მაინც დგამ ნაბიჯს. იმედი არ გტოვებს...

- ეგ რომელი, ბოლოს რო კვდება?

- არა, ის არ კვდება, უბრალოდ, ის თავისთავად, შენ გარეშე არსებობს და გეხება ან არ გეხება...

- ზეთისხილზე ყვებოდი რაღაც ისტორიას.

- კიდევაც ვყვები. ასიოდე მეტრი კიდევ გავიარე და პატარა ლუდხანასთან შევჩერდი. კარი ღია იყო. კარის ზღურბლზე, ქვის ფილაზე პაწაწინა, ხასხასა მწვანე ხვლიკი ნებივრობდა. სამი ფეხით იდგა მზისგან გავარვარებულ ქვაზე. ერთი ფეხი ჰაერში აეწია. ალბათ, იგრილებდა. უცბად სხვა ფეხი ასწია, მაგრამ ისევ სამ ფეხზე აღმოჩნდა. ის სამფეხა ძუკნა გამახსენდა. ასფალტამდე დაკიდებული ძუძუებით. ნაბიჯი მაინც გადავდგი. ხვლიკი გაქრა, თითქოს არც ყოფილა, მე კი ნახევრადჩაბნელებულ პატარა დარბაზში აღმოვჩნდი. იქ რამდენიმე, გაუთლელი ფიცრებისგან შეკრული მაგიდა იდგა. ერთ-ერთს მივუჯექი და ლუდი მოვითხოვე. დახლის უკნიდან ღიპიანი კაცი გამოვიდა. წელზევით შიშველი. წინ ლუდი დამიდგა და ჩუსტების ფრატუნით უკან გაბრუნდა. თვალი გავაყოლე. უკნიდან სველ სელაპს ჰგავდა.

ლუდს ნელ-ნელა ვწრუპავდი, დრო რომ გამეყვანა. თან არ მომწონდა. ზურგს უკან, დახლის მხრიდან ტკაცანი შემომესმა. არც მიმიხედავს. გაზეთით ბუზი მოკლა-მეთქი, გავიფიქრე. ის უვარგისი ლუდი მაინც ბოლომდე დავლიე და ფეხზე ავდექი. "სველი სელაპი" უკანა ოთახში გასულიყო. ხურდა ფული დახლზე დავყარე და კარისკენ მივტრიალდი. მერე, რატომღაც წამით შევჩერდი, დახლიდან ის "ბუზის გაზეთი" ავიღე და გამოვედი გარეთ. პაწაწინა ხვლიკი აღარ ჩანდა. ათ წუთში, უკვე ჩემს ლოგინზე მიგდებულმა მოპარული გაზეთი გავშალე. ადგილობრივი, ინგლისურენოვანი გამოცემა იყო. რაღაც, საინფორმაციო ბიულეტენის მსგავსი, ტელეპროგრამები, საინფორმაციო ლენტები... გვერდზე მივაგდე, და უცებ გავშეშდი. ისევ ავიღე, გადავშალე. ის იყო. მისი ფოტო იყო.

- ვინ ის? - ბიჭმა სიგარეტს სიგარეტიდან გადაუკიდა.

- ის ქალი. ადრე "ალ ჯაზირას" კორესპონდენტი იყო ნოვოსიბირსკში. იქიდან ვიცნობდი, ოღონდ ისე, დაუსწრებლად. ჰოდა, ახლა იმ რეგიონში გადმოუყვანიათ, სადაც ვიყავი. ოფისის კოორდინატებიც იქვე იყო.

- ეგრე რატომ დაინტერესდი?

ჭაღარამ არ უპასუხა. მხოლოდ გაუღიმა.

- უკვე დილას იმის ოფისში ვიყავი "საქმეზე".

ბიჭმა კონიაკი ჩამოასხა. კაფეში კვლავ ორნი ისხდნენ. მაგრამ სიცოცხლე ჩქეფდა. იდუმალებით შემოსილი ნინო როტა წასვლას არ აპირებდა.

- კარი შევაღე და შევედი. იქ რამდენიმე ადამიანი დამხვდა. ის ცენტრში იდგა, იღიმებოდა. ყველას თავაზიანად პასუხობდა. მერე შემომანათა. ჩემი თავი წარვუდგინე. რამდენიმე წამში ავუხსენი, რა "საქმეზე" ვიყავი მისული და გამოვბრუნდი. მითხრა, დავკავშირდეთო. ტელეფონის ნომერი მომცა. დარწმუნებული ვარ, რაღაც იგრძნო.

- რა იგრძნო?

- არ ვიცი. გრძნეული თვალები ჰქონდა. უძირო. "ცოცხალი შესრულებით" პირველად ვნახე.

- კიდევ ცოტა ხანს ვერ გაჩერდი?

- არ იყო საჭირო...

– "ოცდამეხუთე კადრით" სარგებლობა ვენის კონვენციით აკრძალულია – ღიმილით, მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ბიჭმა.

– ვენამდე შორია. ის კი ისე ახლოს იყო, მარტო ხელის გაწვდენა უნდოდა... მეორე საღამოს ქალაქის ფუნიკულიორზე, რესტორანში ვისხედით. ერთადერთი გამწვანებული ადგილი იყო იმ ქალაქში. შამფურზე შემწვარი ზუთხი, ფორთოხლის წვენი, შამპანური ყინულში და ის... ზეთისხილი. რესტორანში რაღაც ბრაზილიურ მელოდიას უკრავდნენ, ხმადაბლა, ისე, რომ გეგონებოდა ეს ჰანგები სადღაც შორიდან ნიავს მოაქვსო. ჩვენს მაგიდასთან პატარა შადრევანი ჩუხჩუხებდა. ისიც ხმადაბლა, მოგუდულად. იქ რო შეხედით, ყველა იმას მიაშტერდა ძალაუნებურად. ცისარტყელას მსგავსი თხელი კაბა ეცვა. მოხდენილად მოძრაობდა. დანა-ჩანგლის კაკუნი, ფუჟერების წკრიალი, სიცილი, კისკისი, წუთიერად სადღაც გაიპარა, გაქრა. მხოლოდ შორეული, ბრაზილიური მელოდია და შადრევანის ჩურჩული დარჩნენ. ბნელდებოდა. შამპანური ჩამოგვისხეს. მაგიდაზე, ფორთოხლის წვენსა და ზეთისხილს შორის, უდიერად მიგდებულ მზის სათვალეში უკვე სამხრეთული ღამის ცა ირეკლებოდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ყოველ ჩემს ცხოვრებაში, ამ მომენტს, სულის და ხორცის ამ მდგომარეობას ველოდი. ახლა მხოლოდ ის მინდოდა, ეს სამხრეთული ღამე, გრძელ, დაუსრულებელ პოლარულ ღამედ ქცეულიყო. უსაზღვრო სიყვარულს ვგრძნობდი...

მკითხა, ზეთისხილი არ მოგწონსო? ერთხელ ერთი ცალი გავსინჯე და მაინცდამაინც არ გავგიჟებულვარ-მეთქი. მოვატყუე, მიხვდა...

– რა იცი? – ბიჭმა ზეთისხილის კურკა საფერფლეში ჩააგდო.

– გრძნეული თვალები ჰქონდა, უძირო... თვალისმომჭრელად გამიღიმა. ზეთისხილით სავსე ლამბაქი გამომიწოდა და მითხრა, თვალები დახუჭე, ხუთი ცალი ჩაიდე პირში, არც მეტი, არც ნაკლებიო. საოცრად სასიამოვნო ტემბრის ხმა ჰქონდა, თითოეულ ბგერას სათუთად, გამოკვეთილად წარმოთქვამდა. ისე, თითქოს თავისსავე ნათქვამს ეფერებაო. იჯდა ასე ზეთისხილგამოწვდილი, თვალებში მიყურებდა და მიღიმოდა. ისე მიზიდავდა, როგორც მთვარეულს მთვარე.

– ასეთი რა მაგნეტიზმი ჰქონდა, თავი ვერ დააღწიე? – ბიჭი უკვე ზეთისხილის მეათე კურკას იღებდა პირიდან.

– ბავშვობაში ერთი პატარა უცნაურობა მემართებოდა. დასაძინებლად რომ დამაწვენდნენ და მარტო ვრჩებოდი, ერთ პატარა სარკმელზე მიშტერდებოდა თვალი. ნელ-ნელა რაღაც ტრანსში ვვარდებოდი. მერე ძილ-ღვიძილის ზღვარზე რაღაც ტიტანური ძალა მექაჩებოდა, მიზიდავდა იმ სარკმლისკენ. თავგანწირვით ვეწინააღმდეგებოდი. მერე, აღარ ვიცი, რა ხდებოდა. უკვე მეძინა. ვეღარაფერს ვგრძნობდი. ეს პერიოდულად ხდებოდა. მერე, მე თვითონ არ ვიცოდი რატომ, რაღაც კლინიკაში წამიყვანეს გამოსაკვლევად. ღამით იქ დამტოვეს. ჩემი ძილის სურათს სწავლობდნენ, თურმე. შემთხვევით ყური მოვკარი, რომ, თურმე, მთვარეული ვარ. ძილში ვდგები და სარეცხის თოკებზე მოგზაურობას ვიწყებ. აი, ასე.

– მერე, როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი?

– ძალიან ბანალურად. რაღაც პატარა აბები დამინიშნეს სწავლულებმა.

– გიშველა?

ჭაღარამ ცისკენ აიხედა. მთვარე ჰორიზონტისკენ გადახრილიყო და მოსარკულ ზღვის ზედაპირზე ვერცხლისფერი ბილიკი გაეკვალა.

– ამას ხედავ? – ჭაღარამ მთვარეს აეხედა.

– ვხედავ.

– მერე იმ პატარა აბებით ამას მოერევი? ან რა საჭიროა...

ხუთი ცალი ზეთისხილი ავიღე ლამბაქიდან. ერთმანეთს თვალს არ ვაშორებდით. იდაყვით მაგიდას დაყრდნობოდა და ლამბაქი, ისევ ჩემსკენ გამოწვდილი ეჭირა. რაღაცის მოლოდინის შუქ-ჩრდილი უთამაშებდა სახეზე.

– გასინჯე?

– გავსინჯე.

– მერე, რა იგრძენი?

– ზღვის გემო, ცხელი ქარი, მწველი მზე... მეტს აღარ ჩამოვთვლი. ოღონდ ეს ყველაფერი ენით კი არ შევიგრძენი, მის თვალებში დავინახე.

რესტორნიდან გვიან გამოვედით. მანქანაში ჩავსხედით. საჭესთან იჯდა. მკითხა სად წავიდეთო. სადაც გინდა-მეთქი, ვუპასუხე. დავიძარით, ვიწრო, ჩაბნელებული ქუჩების ლაბირინთებში ვმოძრაობდით უსმოდ. მე იმის აზრებს ვკითხულობდი, ის – ჩემსას. ბოლოს, რაღაც ქვის, ნახევრად დანგრეულ კიბეებთან გააჩერა მანქანა. დიდხანს ვიდექით ასე. გულში ჩახუტებული მყავდა. მერე სახე დავუკოცნე და მანქანიდან გადმოვედი. შევხედე. ორივე ხელი საჭეზე დაეწყო, თვალები ვნებიანად დაეხუჭა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნავ გახსნილ ბაგეებს შორის რაღაც სიტყვას თუ ფრაზას მოელვარე კბილებით იჭერდა. გასაქანს არ აძლევდა. კიბეებს ჩავუყევი.

- რა ერქვა?

- ათას ერთი ღამე.

- ეხლა სად არის, იცი?

- ვიცი. სადღაც, უდაბნოშია. ოაზისში ცხოვრობს.

- მერე აღარ გინახავს?

- ორჯერ ვნახე. ერთხელ, რაღაც წიგნი მომიტანა წასაკითხად პორტუგალიელი თუ ბრაზილიელი ავტორის. მითხრა, მივდივარო. კონკრეტული გეგმები, მიზნები, ახალი იდეები...

- შენ რა უთხარი?

- სიყვარულზე ველაპარაკე, ისე, ზოგადად. ჩუმად მისმენდა. ხმა არ ამოუღია. შინაგანად მეთანხმებოდა. მაგრამ ისევ ის კონკრეტული გეგმები, მიზნები, ახალი იდეები, ახალი ჰორიზონტები. მეორეკლედ, მივდივარო... ადგა და წავიდა. ოთახიდან გავიდა თუ არა პაწაწინა ჰიჩკოკების მთელი არმია შემომიცვივდა ოთახში ცოცხებით, მტვერსასრუტებით. ჟივილ-ხივილით დაიწყეს ყველაფრის დასუფთავება, დალაგება, თან ყოველი მათგანი საათზე იყურებოდა. "უნდა მოვასწროთ, უნდა მოვასწროთო"... მერე ყველა ერთბაშად გაქრა და დიდი ჰიჩკოკი მობრძანდა. უსაზღვროდ მსუქანი. აი ისეთი, დილით სანაპიროზე რო იდო. ჰოდა, მოვიდა დიდი ჰიჩკოკი და დარჩა.

- დიდი ხნით?

- სანამ ძველებური გასაღებების აცმას მაჩუქებდა.

- ვინ ჰიჩკოკი?

- არა, ათას ერთი ღამე.

- რა გასაღებები იყო?

- ალბათ, სამოთხის კარის.

- მერე ვერ აღებ?

- ჯერ ვერა.

- რამე ფოკუზი გაუკეთე... შენ რო იცი.

- ფოკუზით მაგ კარს ვერ გააღებ. ალალად უნდა გაალო.

- მაგას როგორ მიხვდები, ალალად აღებ თუ არა?

- აი, მთვარის გაკვალულ ბილიკს ხომ ხედავ, ზღვის ზედაპირზე რო ლივლივებს...

ბიჭმა თავი დაუქნია.

- ჰოდა, თუ იმ ბილიკზე შეძლებ გავლას, მაშინ...

- მაგას როგორ შეძლებ?

- არ ვიცი. ერთმა ბიჭმა კი შეძლო ეგაგვსი. რო გაუჭირდა, ქარბორბალად გადაიქცა.

მსუბუქმა ბრიზმა დაუბერა. ნაირ როტას უკვე ეძინა. ჭაღარამ ღრმად შეისუნთქა.

- ისევ იმის სურნელი მომიტანა...

- ეგ ლამაზი სიზმარი როდის ნახე? - ბიჭი ალერსიანად ულაზმოდა.

- საუკუნის წინ.

- კარგი, მამა, ნუღარ დავლევთ, წავიდეთ!

- წავიდეთ, მამი...

ზღვისპირა კაფე ცარიელი იყო. ახალგაზრდა რუსის გოგო მაგიდას ალაგებდა.

- Дядя Гурам, тут какие то странные ключи валяются, наверно, этот человек потерял!

- В нашем клубе ничего не теряется, детка!

კაცი მთელი დღე მარტო იჯდა, ორი ბოთლი კონიაკი დალია, დიდი ამბავი გასაღებები თუ ამოუვარდა ჯიბიდან. თუ დაჭირდა, მოვა და წაიღებს. აგერ, ლურსმანზე დაკიდე!

ტალღა ისევ იპარავს კენჭებს, მაგრამ ისევ შუა გზაზე ებნევა, როგორც ათასი წლის წინ, ისევ ისე ცეკვავენ ღამის პეპლები. ზღვა ისევ მოსარკულია. მთვარის გაკვალულ ბილიკზე ჭაღარა კაცი აუჩქარებლად მიაბიჯებს. სადღაც შორიდან ნიავს იმ ქალის სურნელი მოაქვს ისევ.



ბეორგი ჩხაბერაშვილი

ჯაგა და დიდი სიქვეელე



დაწვრილებით აღარ აღვწერ ჯაგას, კამბეჩოვანის ტყეებში ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულში მცხოვრებ მამრს; აი, ზუსტად ისეთია, როგორიც ნარმოგიდგენიათ: ქვალმსხვილი, უშნო, თმაჯაგარა, შავფრჩხილება, წყალშეუხებელი - ნადირობისას ღელეგადარბენილ ფეხებს თუ ჰიგიენის აღიარებად არ ჩავუთვლით.

ემოსა ნადირის ტყავი;

ეკიდა...

აეჩინჩხლა...

ამათი სახელწოდება ხეირიანად არ ვიცი, მაგრამ, მერწმუნეთ, ნამდვილად ჰქონდა; დიდი მდინარის პირას აწაპნული ხანჯალი რომ თითბერის შენადნობი იყო, ნაღდია, თინას ვკითხე, მახარაძეს - გპი-ს ლითონმცოდნეობის კათედრიდან. ისე, სიტყვაზეც უნდა მენდოთ (არც სხვას ჰყავდა ნანახი გაწკეპილი მუშკეტერები).

სხვა რა, მის შესახებ?

ცხოვრების წესი ყოველნაირად გარკვეული: ჭამდა, სვამდა, საქმობდა, გასაყიმს ყიმავდა, ორორი საათი სძინავდა, ყოველივე ამისთვის ნადირობდა, დათარეშობდა, ყაჩაღობდა;

ცხოვრების მიზანი განსაზღვრული: ამოევსო კუჭი, დაეცალა სათესლე ჯირკვლები. ჭამდა თითქმის ყველაფერს, ყიმავდა თითქმის ყველაფერს, ისე ქალი ერჩივნა კაცს, კაცი ერჩივნა ძაღლს ან პირუტყვსა სხვასა;

მსოფლმხედველობა ნათლად განსაზღვრულ-ჩამოყალიბებული: ნავართმევ, წავგლეჯ, მოვიტაცებ, ხელს შევავლებ - ეს კარგია; ნამართმევენ, წამგლეჯენ, მომიტაცებენ, ხელს შემავლებენ - ცუდია.

ასეთი კაცი გახლდათ ჯაგა.

თუ შორიახლო მცხოვრები თიღაი, მგელაი, ხანგაი გაინტერესებთ, იმდენად ჯაგასანაირნი არიან, რომ აღწერა აღარც ღირს - მაუსით მონიშნეთ ჯაგას დახასიათება და copy/paste კომბინაციით ჩასვით ნებისმიერ თიღაის ან ხანგაის "CV-ს გვერდზე " _ ყველაფერი ზუსტად იგივე ექნებათ.

* * *

იმ დროებას, კავკასიონიდან ფრიად სამხრეთით, მთებგადაღმა ვაკე-ქვეყანაში, სხვა ადამიანებიც იყვნენ: განათლებულნი, სუფთები, მდიდრები: ვერ ვიტყვი, რომ ზნეკეთილნი, მაგრამ კეთილშობილად წოდებულნი.

ერთ ფრიად წარმატებულად გვევლინებოდა უფალი ტრისლიგასპეტ. თვითონ სპასპეტი ასურთ ჯარისა (ვალუტის დღევანდელი კურსით - გენერალ-მაიორი, დიდი ინფლაციისას - პოლკოვნიკი მაინც).

იმავ წელს, როს ჯაგაი თავის ჯანს მტაცებლობას და თან საკუთარი ფილოსოფიის ცხოვრებაში გატარებას ახმარდა, ასურთ მეფე სარგონ რომელილაცამ ჩრდილოეთს ილაშქრა. ჯერ ასური ვერ ასურობდა, თორემ ურარტუ ურარტობდა.

შეესივნენ: რაც იჩეხებოდა - ჩეხეს, რაც იწვოდა - დაწვეს; სიხარბე (უმადურობასთან ერთად), რომ კაცთა მოდგმის სენია, მაშინ ეპიდემიად იყო ცნობილი და ტრისლიგასპეტ ან, მით უმეტეს, სარგონი გადაურჩებოდა მაგას?

რაც იქნებოდა შემდეგ, თქვენი ფანტაზია უკეთ დახატავს.

ღრმად შევიდნენ ქვეყანაში. ჩრდილოეთ სამანებს მიუახლოვდნენ ხოცვა-ულეტით, ძარცვა-გლეჯით.

ურარტუს მამასახლისმა გაუმართა ტრისლიგასპეტს გენერალური ბრძოლა ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთს (სომეხი დაშნაკების რუკას თუ დავუჯერებთ - გაგანია შუა სომხეთში, პატრიოტ ქართველთ რუკის მიხედვით კი - პროტოიბერიელთა შუა სამეფოში).

სტრატეგია და ტაქტიკა რა ვაუკაცის საქმეაო - ყმაწვილკაცობისას ანდაზად გაეგონა ტრისლიგასპეტს თავისი დიდი ბაბუისაგან.

არ იყო, თურმე, ბაბუა სწორი.

ურარტუელნმან, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის კულტურის მატარებელ მოკავშირე ჯარის (და კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ურიცხვი მეზობელი ეთნიკური ჯგუფის გამოყენებით) მხარდამხარ დაჯაბნეს ტანდაბანილი ასური.

შესაბამისად კულტურისა: რკინის, ბრინჯაოს, ქვის, ხის სროლით დაფანტეს მტერი მტარვალი ახლო ტყეებში.

სამხრეთის კარი მოუჭრეს – ჭკვიანურად, სამხედრო ხერხის გამოყენებით.

ოსტიკი, ნორდიკი და ვესტიკი, სამხრეთის გარდა, ყველა ...ამტ...ე და ბნელეთი იყო სარგონელიანისთვის.

უკანსავალი მოჭრილი იყო, მაგრამ მიხვევით სამხრეთით უნდა წასულიყო ყველა, ვისაც ყელში არ ჰქონდა ამოსული სარგონელიანიზმი და მისი პრინციპები.

ჩვენმა ტრისლიგასპეტმა, რიგით-მუშქენზე გამოცდილმა, იქით გაუტია, სადაც ნაკლებად ელოდნენ მწევარ-მაძებარნი.

"ნელ-ნელა გავჩოჩდები ჩრდილოეთისკენ, ცოტაც – აღმოსავლეთით, ნელ-ნელა დაავიწყდებათ ჩემი ნაგლახარი, მერე იქედან ჩავგორდები სამხრეთით მზიურ და შრომისმოყვარე ასურში" – ფიქრით აღარ ფიქრობს, შიშით, მაგრამ ასე აპირებს ბატონი ტრისლიგასპეტი. გამომლაპარაკებელი და მოთათბირეც კი აღარ შერჩა. მსახურნი, მეჭურჭლენი და საჭურველმტვირთავი კარგა ხანია თვალდახელშუა გაუქრა და დაეფანტა ბრძანების გამცემს.

საცოდავია დამარცხებული გენერალი, მაგრამ შიშველი არ წარმხდარა 20 დღის შემდეგ გოგარენის სანახებში, უფრო სწორად – "წარსდგა მშიერი, არა შიშველი":

- თორ-აბჯარი ძვირფასი (უკვე გაოხრებული, მაგრამ ჭკვიანი კაცი გამოთვლიდა მის ოდინდელ ბრწყინვალებას);
- მოსასხამი ძვირფასი (ტექსტი მონიშნეთ და გადმოიტანეთ პირველი პუნქტიდან);
- მუზარადი, კაპარჭა, სანდლები, ქამრები ძვირფასი (იგივე copy/paste);
- კვერთხი ძვირფასი (აღარ არის საჭირო copy; შეუბღალავი, ლომის ფიგურით, მშუენიერი);
- ვერცხლის სასმისი მცირე, ძვირფასი (ზღაპრული მინოტავრებით, მისი სამშობლოს წიაღიდან გადმოსულნი)
- ხმალი მშუენიერი.

მიწანწალებს გენერალი, მშიერი, დაქანცული, ჭუჭყიანი, Time is money ჯერ არ იყო ძალაში შესული იმდროინდელ ალბიონშიც, არამცთუ გოგარენ-კამბეჩოვანის ტყეებში. დრო აქვს (მისი ქონების უდროოდ გამაუფასურებელი) და ფიქრი (უკვე გაუფასურებული) ზემოაღნიშნული სიკეთისგან განსხვავებით ყველას სამყოფი.

მისდაუნებურად თავში აზრი მოუმწიფდა მორიგი; პოლიტექნიკურში რომ ესწავლა ოდესმე, რომელსაც ასე ჩამოაყალიბებდა, ალბათ: "დროის მდინარება მოცემულ ადგილზე და მოცემულ დროში უკუპროპორციულია ჩემი წოდების (ტიტულის) აღმნიშვნელი სკიპტრის ღირებულებისა". ადამიანურ ენაზე რომ მოვთარგმნოთ: 20 დღის წინ თუ ამ სკიპტრას 3 ზიკურატზე და 4 სასახლეზე არ გაცვლიდა, ამ ოხერი შიმშილის გადამკიდე, ზეგ 3 პურზე გაცვლის, ფორმატით – "ფქვილის ხარისხს მნიშვნელობა არ ენიჭება".

მიწანწალებს გენერალი, ძვლებ-კუნთმტკივანი, ძირხვენა და კენკრანაჭამი, დაოსებული და გადაღლილი.

„დაიძინე, დაიძინე, დაიძინე" – ბრძანებს ჭირვეული ფიზიოლოგია;

„არ დაიძინო, არ დაიძინო, არ დაიძინო" – ურჩევს კეთილისმყოფელი რაციო.

აღარ შეუძლია.

ჭირვეულს ემორჩილება ძალისმორჩილებას მიჩვეული.

კაცისგან და მზეცისგან თავდასაცავად გულგადაშლილ ხეზე აძვრა და რობინზონ კრუზოს ლოგიკას 3 000 წლით ადრე დაუდო საფუძველი ადამიანის ტვინის ლაბირინთებში.

ჩაეძინა.

ასე პირუტყვებს სძინავთ. მათ სტრესი, დეპრესია, ფინანსური პრობლემები, ინფლაცია, საგადასახადო ინსპექციის ქვითრები, პოლიტიკური დაძაბულობა და ზეგ დანიშნული საკვალიფიკაციო ტესტირებისწინა მღელვარება არ მიჰყვებათ ტორ-შერმიდგმულ საწოლში. არც ტრანკვილიზატორის ცნების გასაგებად არის პირუტყვის ტვინი მომართული.

აქეთ ბრინჯაოს ხმალი უკონწიალებს, იქეთ კაპარჭაში ჩაგდებული ასურელი ჯოლობორდის ნათალი 2 ისარი (ხუთიოდეც მისი გამოჩორკნილი), თვითონ ხის ვარჯზეა გადაფენილი – სიზმარუნარწართმეული და ღმერთებისაგან მიტოვებული.

* * *

დაწანწალებს ჯაგა ნადავლის საშოვნელად გოგარენ-კამბეჩოვანში; ხორციც უნდა, მათრობელა თაფლიც – ფუფუნების და ოცნების ოლიმპი, ქალიც (ჯოჰოლუნგმა წინა ფორმულისათვის)...

თვალებს არ უჯერებს ჯაგა.

ხმალი ნამდვილი კონწიალობს ხეზე, თან, ხეზე კი არა კაცზე დაუცველზე – მძინარეზე.

"წარსტაც ადვილად, სიკეთეა ჩემზე" – ჰოტენტოტების ტომის ბელადის ფილოსოფია მოჩხრიკა განათლების სკივრიდან ჩვენმა ჯაგამ.

კაცი მისი თემისა არ არის; მისი ძარცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამცთუ მადლია, ჯაგას პირდაპირი ვალია.

სწრაფად და ფრთხილად ამოაძრო ისარი, კარგად დაუმიზნა, ლარს ხელი უშვა და ისარს თავისი უმანკო სულიც ისე გულწრფელად გააყოლა, რომ ღმერთი არ იზამდა მის აცილებას.

* * *

ისარნაკრავმა ტრისლიგასპეტმა მწვავე ტკივილი ფრენისას იგრძნო. ქვებზე დახეთქებამ აზრს გზა მოუჭრა, გენერალი მეზობელ განზომილებას ასტუმრა და საკუთარ ბაღში გადაახედა.

მისი ფუნთულა ცოლი ცივ-ცივ ხილს ნებივრად მიირთმევდა აუზთან მჯდარი. მის ემბრიონულ ტვინს ვერ წარმოედგინა, ყოვლისშემძლე ქმარიკოს (მეფის გარდა, რასაკვირველია) ვინმე თუ წყენას გაუბედავდა.

ტრისლიგასპეტმა 1 000 კილომეტრიდან დაინახა და წაიკითხა ეს წამიერი ჩანართი; ახლაღა მიხვდა, რომ არ ვარგებულა მთლად შტერი ცოლი და გონებაც შესვენებაზე გავიდა.

* * *

თავს წაადგა ჯაგა გასისხლიანებულ მქონებელს. ჯერ ასე არ გამართლებია. თუ სინდისი აქვს, ასეთი წყალობისათვის მზეს წალოცავებით მაინც უნდა გადაუხადო მადლობა.

შეასრულა მარტივი რიტუალი.

დაიწყო ღვთით ბოძებული ქონების აღწერა, გახსოვთ, ალბათ: სკიპტრა ლომისფიგურიანი, პატარა ვერცხლის თასი - ზღაპრული..., ხმალი ბრინჯაოს, კარგი, მაგრამ უკეთესად მჭრელი უნდა ჰქონდეს ამისთანა მდიდარს.

კიდევ ერთი განძი, სიხარულის უნარი აღმოაჩინა საკუთარი სულის სკივრში ჯაგამ.

ათრთოლებულმა: გადაიგდო მხარზე, ჩამოიკიდა წელზე, გაირჭო ქამარში, ჩაიცვა, დაიხურა, შეიკრა; აბჯარი მძიმეა, არაუშავს, ალბათ, ასე უნდა იყოს კარგი რამ; ბოლოს და ბოლოს გაცვლის, გამოიყენებს, ეგ არაფერი.

ტრისლიგასპეტი შიშველი გდია მიწაზე, სისხლსა და ტალახში მოსვრილი, ნელსაცხებლებს მიჩვეული აზიზი სხეულით, მართალია, დაუბანელი, მაგრამ, ეგ არაფერი.

.....

ტკივილმა ტრისლიგასპეტის გონებას შესვენების საათი შეამოკლებინა და სამსახურში ქიჩინქიჩინით მოარბენინა.

პირუტყვად გარდასახული ჯაგა შეერთებოდა თავ და ძალა დაუზოგავად.

გონებამ ისევ სთხოვა ტრისლიგასპეტს - ერთი წუთით გავირბენო საქმეზე და მოვბრუნდებიო.

ტრისლიგასპეტი იძულებით დაეთანხმა.

ჯაგამ, სამაგიეროდ თესლი მისი უწილადა ისეთი ღმუილით, თითქოს არ ემეტებოდა ამ გადამთიელისათვის.

ადგა, ცივად დახედა, ცოცხალია, არ ღირს მოკვლა დასაღლელად, ისედაც დაღლილია.

მოკრიბა მოსაკრებელი და თავის გზას გაუდგა.

* * *

ჰერელი თემის მამასახლისის პროცესია მიდიოდა თრიალეთს, ავრანლუს მინდორზე, მთვარის ღვთაების ზეიმზე.

ამპარტავნად ზის ხის ურემზე, ბორბლებიანზე, ჯერ არ ნახულ და არ გაგონილზე.

მიწურებიდან გაშტერებულნი უყურებდნენ დაძონძილი, დამუწუკებული ბავშვები, გაბურძგნულნი და აყროლებული მწყემსები, გუთნისდედები და მეჭურჭლენი - ხმლის მჭედველნი.

ჰერეთის მამას გვერდით გაზულუქებული თანმხლებნი - უმუწუკონი, ქონიანები, ძალად გაამპარტავნებულები - მისხდომიან და ჭამენ ხორცს, სოფლის დასანახად.

მცველნიც მისდევენ საქმიანად - როგორც ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ ქვეყანაში - ბრინჯაოს ხმალ-ხანჯლებით, თორებით, ბექთარებით (ყველა აქსესუარის დასახელება არ ვიცი და თქვენ წარმოიდგინეთ).

ბოლოს მოსდევენ მონები - გაფშიკულები, დაძარღვულები, უაზრო თვალებით, ბედშერიგებულნი.

ბილიკს მიუყვებიან ("გზას ვიტყვი, თორემ რა გზაა", ეს ისე, ჩემთვის გამახსენდა ვაჟა, თქვენ ყურადღებას ნუ მიაქცევთ), როხროხით, სუბორდინაციული ხმაურით, მონების ყურის აწევით.

მოფლატუნობს მეორე მხრით ძმაი ჩვენი ჯაგა, ლხენით, სიკეთით სავსე, ღვთით ნაწყალობევი და გამარჯვებული (ძეფირელის ფილმიდან ოიდიპოსის და ნამდვილი მამის შეხვედრის სცენა მახსენდება, მაგრამ ამასაც ნუ მიაქცევთ ყურადღებას).

ჯაგასნაირი ასოციალური სუბიექტიც კი შედრკა მამასახლისის ამალის პირისპირ.

"კარგს ნუ ელი ამათგან", - წაუსისინა ცხოვრების გამოცდილებამ.

"ფეხები არ მომჭამონ", - უპასუხა მკლავის კუნთებმა.

* * *

"ვინ ხარ შენ" ?!

"ბიჯო, ვინ ხარ შენ" ?!!!

"ჯაგი ვარ, რა გინდა" ?

"რა გაქ" ?!!

"რაც მაქ" !

"გვანახე, თვარა შეგცემთ" !!!

"....." !!!

"....." !!!

"..... !!!
"..... !!!

(შემდეგი დიალოგი აღარ გადმოიცემა; ბოდიში, ჩემო მკითხველო).

მერე გამეტებით მოქნეულმა მუხის კომბალმა წრედი შეჰკრა ჯაგას გაბურძგნულ თავში და ცივილიზაციის აისზე მძლავრი ელექტრონული განმუხტვის შედეგი აგრძნობინა სამამდე თვლისმცოდნე ჰომო საპიენსს.

3 000 წლით იქეთ დროის მანქანით გადახედვა ფული ღირს, ძმაო.

ელექტრობის საფუძვლების გაცნობა "ქვითრით" გადაახდევინეს ჯაგას.

თავის გახეთქვა ანგარიშისას არ გაითვალისწინება, მაღალი ძაბვის მისაღები ტექნოლოგიური პროცესები მოითხოვდა ამას.

* * *

- სკიპტრა უძვირფასესი (წილი მამასახლისისა);
- სასმისი ვერცხლის, მაგარი (თრიალეთს მიართმევს საჩუქრად იქაურბელადს);
- ხმალი ბრინჯაოსი (იფიქრებს მამასახლისი, ალბათ - მარჯვენა ხელს, მცველს, აზასპს);
- თორ-აბჯარი (წილი მამასახლისისა, რესტავრაციას მეტნაკლებად ექვემდებარება);
- მოსასხამი (წილი ოჯახის წევრ ზანას, ძალიან ძვირფასია, ესეც რესტავრაციას მეტნაკლებად ექვემდებარება, მაგრამ მამასახლისის საკადრისი აღარ იქნება, დაკერებული);

-აქსესუარები (ამას, იმას, ამას, იმას).

სანდლები არ წამოუღია, არ სჭირდებოდა.

გონზე ძლივს მოსული ჯაგა მამასახლისს მიართვეს.

რა უნდა უყოს, ქალად არ უღირს, თრიალეთს დაახვედრებენ, თავისიც ბლომად ჰყავს, მიუგდო მეომრებს. რადგან ძაან ველური, ბინძური და კორძიანი იყო, პანლური ჰკრეს და გზიდან ისროლეს.

* * *

ჯამასპის, თრიალეთს მცხოვრებ ძლიერ ბელადს, სხვა საჩუქართან ერთად ვერცხლის პატარა თასიც მიართვა აღმოსავლელმა ტომის ბელადმა - ფანტასტიკური ფიგურებით...

სკიპტრა თვითონ დაიტოვა, შთაბეჭდილების მოსახდენად თრიალეთელ ბელადზე, თითქოსდა, ყმაწვილკაცობიდან მოჰყვებოდა, მამისგან მემკვიდრეობით წილხვედრი, ლომისბუნიკიანი სკიპტრა.

* * *

ბევრი არაფერი უმოღვაწია თრიალეთელ ბელადს იმდროინდელ მსოფლიოს ფონზე.

მოკვდა.

ჩაატანეს ვერცხლის თასიც, ასევე ნაჩუქარ, ადგილობრივი წარმოების ზღაპრულად ლამაზ და ძვირფასი ქვებით შემკულ, მცირე ზომის ოქროს ფიალასთან ერთად

(ბელადობის ჟამს ხმას ავრცელებდა, კი არ მაჩუქეს, ძალით წავართვი და მოვკალ კიდეცო).

სტუმარი თავის საუფლოს დაუბრუნდა; მანაც არჩია უბანში საქმეები. იბრძოლა და იომა მის პირობაზე.

იგიც მოკვდა.

დაასაფლავეს პატივით.

ჩაატანეს სკიპტრაც, ლომისბუნიკიანი.

ჯაგა ვიღაც თავისნაირმა მოინელა ძელქვის ტევრებში.

* * *

გაილია მსოფლიო ისტორია, შერყეული მსოფლიო მოვლენებით - შუმერით, ეგვიპტით, აქადით, ქალდეით, ხატუსალათი და იერიქონით...

შემდეგ - ელადა და მარადიული ქალაქი...

გოთიკა ხომ გუშინდელი დღეა, პირდაპირ, აღარას ვამბობ შემდგომზე...

* * *

ამონაწერი თრიალეთის გათხრებთან დაკავშირებული ოფიციალური ქრონიკიდან: ... აღმოჩენილ იქნა მცირე ზომის უნიკალური ვერცხლის თასი...

ამონაწერი კიაზო ფიცხელაურის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან დაკავშირებით: ... სიღნაღში... ნაპოვნი იქნა ლომის მცირე ზომის ფიგურა...

P. S. XX საუკუნე. სადღეგრძელო, თქმული მუხიანის ჩეხურ ოროთახიანში, დაბადების დღეზე, სრულიად მისაღებ საზოგადოებაში: "იმ წინაპარს გაუმარჯოს, ჩვენი საამაყო საგანძური, ჩვენი საუნჯე რომ შემოგვინახა დღემდე... ჩუმად!!! ... მსოფლიოს რომ აკვირვებს..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა სულხანიშვილი

ვითარცა ირემსა სურის...

რაღაც უფრო ეროტიკულს,
რაღაც უფრო სკანდალურს,
რაღაც უფრო ავადმყოფურს,
რაღაც უფრო სიმახინჯეს,
ვით ამოვარდნას სიკეთის და
სრულქმნილების ჰარმონიიდან,
ცოუნებული კაცის სული -
ვითარცა ირემსა სურის წყაროისათვის
წყალთასა - არა თანამოწლეობის,
სიჯანსაღისა და ნორმის სახელით
ითხოვს...

ვითარცა გნებავს, იყავ ნებაი შენი
და მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა
უფალო ჩემო!

* * *

საკუთარ ფიქრთა უსასოოდ
მოძრაობის ფიზიკური შეგრძნება
მღადრავს: მშლიან, მარღვევენ
მსპობენ და რამდენიც არ უნდა
ვიძახო: "მე იგივე ვარ მარად
და მარად!" ვგრძნობ, რომ სული
მიჭირავს კბილით, ან პირიქით...
მტერს ისედაც დავუყენე თვალი,
ვაჯობე, გადავახტი თავს და
თუ რამე არ შეიცვალა, სასიკეთოდ,
რაღა თქმა უნდა, ვიცი,
შევესწრები დიად მისტერიას,
თუნდაც ლოკალურს, ფეხად
ჩამოსვლას ცის, ფეხად
ჩამოსვლას ცის?!.

არ დაუღამდე დღეს!

ვგრძნობ, როგორ დავიწრიტე,
დავმღიერდი და ფიქრნი ჩემნიც
დაყვითლდნენ და გახდნენ
რაღაც ჩარადოვანნი.

ჩემს სამშვინველში
უმყოფობის შემოძვრა ჭია,
გამომლევია საწვავ-საგზალი
და აღარ ძალმიძს ხელებ
გაშლილმა მთელი სამყარო
ძველებურად დავიტიო
და ჩავიკრა გულში.

ვგრძნობ, ოცნებისაც
სამუდამოდ დამხშვია კარი,
ხელს უდღეოდღის ზეზეურად
შემოვკვდომივარ, დღე-დღესინდელიც
საწყალობლად მომკვდარა ჩემთვის.

და გაზაფხული აგრე კეკლუცი
აგრე წარმტაცი და უმსუქნესი სასოებებით
ჩემს ახლო-მახლო სულ რომ ვგულობდი
სამარადჟამოდ მოუხელთები გამხდარა ჩემთვის.

ოჰ! აღარ ძალმიძს სტოიკური თავშეკავება:
კი არა ვტირი, ვღრიალებ და სიმწრის ცრემლები
გარდმოცვენას რაც ვერ აუდის და ვეღარ ასწრებს,
ცხარე სიმლაშედ გადადის ყელში.

თუმც დამეწევა შეგონება ბებოსეული
- ხარ ძუ ლომი და დედალი ორბი - არ
დაუღამდე დღეს - და ვითა ფენიქსს
აღმადგენს ისევ, აღმადგენს ისევ!

ხილვა

სულნელებასა შენსა ვრბიოდი...

რა ძნელი ყოფილა, როცა ძილშიც
არ გძინავს მამულის ჯავრით და სიყვარულით
გულანთებულს, როცა სული შენი ზეცად
მიმსრბოლი, სიმელნისფრეში ვარსკვლავეთს
რომ მიმოიცურავს, როცა მთიებნი გაშლილ
თმაში დამკრახილი მტევნებივით გებლანდებიან
და შენ კი სულგანაბული ხელუკუღმა ცდილობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათითაოდ მათ გამოძრობას, თითქოს გეშინის
არ შემოგეჭყლიტოს, წვენი არ გამოგედინოს,
თავშიც უცნაური აზრი დაგვკრავს: ვაითუ მთიებმა
ქვენათზეში აღარ გაგიშვან და სიტკბოებით ზედ
შეგირჩინონ?! - ჯერ მელიმება, მერმე ვიცინი,
სიცოცხლე ჩემში ჩვილივით ლაღობს და იცინის.
მაგრამ ამ სილამაზით დიდხანს ვერ ვტკბები:
მახსენდება, ცისიერთან ახლოს ვარ და ხაშ
ლოცვა წრფელი, სწორედ ახლა, სწორედ ამჟამად
მამულისა და ჩემიანთათვის რომ აღვავლინო.
ვიწვი, ვიღვენთები, ცრემლად ვიღვრები და
ამ სოფლად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს,
ზეცისა კაცად და ქუეყანისა ანგელოზად ვბრუნდები,
ზეცისა კაცად და ქუეყანისა ანგელოზად ვბრუნდები!

* * *

თქვენი ბოროტების კვირტები,
თქვენი "ბოროტების ყვავილები"
თქვენი "მრისხანების მტევნები"
მკსინვარებად დამწიფდა ჩემში!..

- მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ -
შემომეძარცვა ჩახერგილ გზებში
და ისე, თავად სულ რომ არ მსურდა,
სანათლავად თუ ემბაზად ვიქეც
აპოკალიფსურ ჟინის!
აპოკალიფსურ ჟინის!

მოკლული მართალთა სულეგის მონოლოგი დაუწერელი სამმოქმედებიანი დრამიდან "სამი სკნელის საქართველო"

სანამ მიწაზე დავეშვებოდით,
მომავლის მეგზურებად სანამ ვიქცეოდით
ჩანს, შობამდეე გავწირეთ თავი,
როს შევეუღლეთ ზნეკეთილობას.
და ამ მოვლენის უწვეულობა ვიდრემდის
იყო ნეგატივი, წუთისოფელშია
ვიყავით მშვიდად და როცა დაჰკრა
დიადმა წამმა, ვერ შეგვითვისეს,
ჩვენ ამოგვწყვიტეს სიკეთის სახელით,
კულტურტრეგერებმა, სატანის კერძთა,
ქვეყანაში, რომელსაც ერქვა და ჰქვია
საქართველო, მაგრამ ის აღარ არის,
როგორც მკვდარი აღარ არის ის,
ვინც გუშინ ჯერაც ცოცხალი იყო...

ავტოპორტრეტის მაგიერ

არა, არა მსურს, მიწისაგანი
ხატება ჩემი იხილოს ვინმემ,
უჩინარად ყოფნაი მინებს:
ყველგან მყოფად, მარად მსუფევად
ვითარცა ხალდეს, მუსასირიდან
წარტყვენის შემდეგ!

ირემნო, მთასა მყვირალნო,
შთენილნო ცალად, მსურს
მეძიებდეთ, ვერა მპოვებდეთ
გწყეროდეთ და გსუროდეთ კვალად!
გწყეროდეთ და გსუროდეთ კვალად!

* * *

როგორ იქმნება ჩემი წარსული,
როდესაც აწმყო არ მაქს არასდროს?
კი არა ვცხოვრობ, მხოლოდ ვარსებობ
და ცის კაბადონს ვკიდივარ ცხვირით!
ტკივილი, რისხვად გადაქცეული უფსკრულს
გულისას მიეკვრის ბუდედ და "ლოცვა" -
ყოვლის დამაქცევარი, შეილესება გარედან
მრუდედ. ღმერთო, მიშველე, კაცი კი არა,
შვიდ თაობაზე გადამწვდომი ნელი მოქმედების
საწამლავი თუ ნაღმი ვარ უკვე, უკვე?!

ლამაზი არ არის

ნ.ბარათაშვილისა და მ.ლებანიძის მიბაძვით

მენატრება, მეძავი მეძაობდეს,
მრუში მრუშობდეს,
ქურდი ქურდობდეს,
ყასაბი ყასბობდეს...
და თითოეული ამათგანი
შეთავსებით არ კულტურტრეგერობდეს!
ბარემ ესეც ვთქვათ,
ასეთიც ხდებოდეს: სამშობლო
ხელთ ეპყრას ნარკომან-ბოზ-ქურდ-მკვლელს
ასიოდეს, ასიოდეს!

თამარ კოზრიკაძე

ვინ არის ქრისტინე ლავანტი?

არსებობენ ავტორები, - ალბათ მეტწილად პროზაიკოსები, - რომელთა პიროვნება, გარეგნული პორტრეტი, ბიოგრაფიული მონაცემები თავისი მნიშვნელობით უკან იხევს მათი ტექსტების წინაშე, ე. ი. მათი ნაწარმოებების სამყაროში შესულებს გვავიწყდება, თუ ვინ და რა პირობებში მოგვითხრო ეს ამბავი. და არსებობს მეორე ტიპის ავტორები, რომლებიც უპირველესად სწორედ თავისი პიროვნული თვითმყოფადობით გვხიბლავენ და გვაღელვებენ; ყოველივეს, მათ მიერ დაწერილს, ვკითხულობთ იმ იმპულსით, რომ ეს "მათი" დაწერილია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მათ ტექსტებს თავისთავადი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ.

მგონი, არ შევცდები, თუკი ვიტყვი, რომ ქრისტინე ლავანტი მხოლოდ ჩემთვის არ მიეკუთვნება ავტორთა ამ პირობითი დაყოფის მეორე ტიპს. ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად ამ ავტორის პიროვნებამ, უფრო სწორად ფოტოსურათმა შემძრა, - მის სახეში ვიგრძენი რაღაც საოცრად თბილი, რბილი, სათუთი და, ამავე დროს, ტრაგიკული, - ისე, რომ არ ვიცნობდი არც ერთ მის ლექსს და საერთოდ არაფერი ვიცოდი მის შესახებ. თუმცა ახლა, - როცა შედარებით კარგად ვიცნობ მის შემოქმედებას, ვცდილობ წარმოვიდგინო, რა იქნებოდა, ქრისტინე ლავანტის გაცნობა "მეორე ბოლოდან" რომ დამეწყო. მე მგონია, ვინც ალალბედზე გადაშლის მის ნებისმიერ ლირიკულ კრებულს და წაიკითხავს ორიოდე ლექსს, თავზარდაცემული წამოიძახებს: "ვინ არის ეს ქალი?!.." (ყოველგვარი ციტირების გარეშე).

ზუსტად ასეთი იყო 1945 წელს გამომცემელ ვიკტორ კუბუჯაკის რეაქცია ლავანტის ლექსებზე, რომლებიც ნაცნობმა ხელოვანმა ქალმა გაუგზავნა ისე, რომ ავტორის ვინაობა არ შეატყობინა. თავზარდაცემული კუბუჯაკი პასუხად წერს: "...გამაგებინეთ, ვინ არის ეს ქალი? გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად და დაწვრილებით მიამბოთ მის შესახებ: რა ჰქვია, სად ცხოვრობს, რას საქმიანობს და ა. შ. მთელი გულით გმადლობთ იმისათვის, რომ ასეთი არაჩვეულებრივი პიროვნება გამაცანით. მისი ლექსები სწორედ ჩემს ხელთ რომ აღმოჩნდა, ამას შემთხვევითობად ვერ ჩავთვლი, - ეს უთუოდ ბედისწერაა. ჩემი ვარაუდით, ამის გარდა კიდევ სხვა ლექსებიც უნდა ჰქონდეს. დიდი სურვილი მაქვს, როგორც კი ჩემი გამომცემლობა მუშაობას განაახლებს, ისინი წიგნად გამოვცე, თუკი ეს ავტორსაც ჩემნაირად გაუხარდება. ჩემთვის არ არსებობს ამაზე დიდი ბედნიერება: გზა გაუხსნა ახალ, ჯერაც უცნობ ნიჭიერ ავტორს და, თუმცა თანამედროვე ლირიკისადმი სკეპტიკურად ვარ განწყობილი, ამ ჯერად ღრმად მწამს განსაკუთრებული წარმატებისა." დავუმატებ, რომ შემდგომში კუბუჯაკი არამარტო პირველი იყო, ვინც "ამ ქალის" ლექსები გამოსცა, არამედ, ლიტერატურულ სფეროში, მისი ნათლიაც გახდა: სწორედ კუბუჯაკის წყალობით ავსტრიის პროვინციაში მცხოვრები ქრისტელ ტონჰაუზერი მკითხველს ქრისტინე ლავანტის ფსევდონიმით მოევლინა. გამომცემლისთვის რომ მის ალღოს არ უღა-

ლატნია, ამის მტკიცება დღეს უკვე საჭირო აღარ არის. თუმცა ლავანტის შემოქმედების მნიშვნელობას ბოლომდე ალბათ მხოლოდ მას მერე ჩავწვდებით, რაც მას მთლიანად გავეცნობით: დღემდე გამოქვეყნებული მისი ლირიკა და პროზა დაწერილის ერთ მესამედზე ნაკლებს შეადგენს.

მართლაც ვინ იყო იგი: გენიალური ინვალიდი, შარლატანი, გრძნეული, გიჟი...? იქნებ - ყველაფერი ეს ერთად, იქნებ - არც ერთი. რაც ალბათ ყველაზე თვალშისაცემია, - ეს იყო ღრმად უბედური ქალი, თანაც ისეთი ფაქიზი სულის პატრონი, თავისდასაუბედუროდ, ნებისმიერ წვრილმანს გაასმაგებული სიმძაფრით რომ განიცდიდა. წარმოვიდგინოთ მდაბიო პროვინციულ გარემოცვაში, სიღარიბეში დაბადებული და მცხოვრები ადამიანი, რომლის შინაგანი სამყარო, აბსოლუტურად ამოვარდნილია მისი გარეგნული, ყოველდღიური ცხოვრების რიტმიდან. ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შორის ეულ განდეგილად დაიარება და, ამავე დროს, ფიზიკურად არასოდეს არის მარტო. ტრადიციული მორალის გადასახედიდან უთავბოლო და უღირსი ცხოვრება განვლო: ეკლესიას ზურგი შეაქცია, მუშაობა არ უნდა, - მართალია, ბეჩავი და უდღეური, მძიმე საქმეს ხელს მაინც ვერ ჰკიდებს, მაგრამ მის მდგომარეობაშიც ხომ შეიძლება პატიოსნად იშრომოს კაცმა, ამ მეტიჩარას კი მშობლების გვარზე ხელი აუღია, მდინარის სახელი მიუსაკუთრებია, ჯღაბნის რაღაც მკრეხელურ და ტუტუცურ ლექსებს. ამან რა უნდა დაწეროს, ორი კლასი არ გაუვლია!..

პარადოქსია: ის გარემო, რომელმაც ვერ გაუგო და გარიყა, ქრისტინე ლავანტისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე მაინც მშობლიურ გარემოდ რჩებოდა. ბევრ ლიტერატორს თუ ხელოვანს, ბევრ განათლებულ ადამიანს დაუახლოვდა, - ზოგიერთი არც უნახავს, მაგრამ წლების მანძილზე წერილებით ესაუბრებოდა, - დიდ სიხარულს ანიჭებდა მათთან მიმოწერა თუ სტუმრობა, მაგრამ შემდეგ, მფრთხალი ცხოველივით, ისევ საკუთარ სოროში შეძვრებოდა ხოლმე. ვერ შორდებოდა სითბოსა და სიახლოვის იმ ერთადერთ ნასახს, რომელსაც პროვინციულ-კლანური არსებობა ანიჭებდა. ამის გარეშე თავს სულმთლად მარტოდ და დაუცველად იგრძნობდა, მაგრამ, გარდა ამისა, ძალზე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა თავისი მრავალრიცხოვანი და-ძმების წინაშე, რომელთაც ყველას თავ-თავიანთი ოჯახები და პრობლემები ჰქონდათ და რომელთაც, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა; ავადმყოფი, მოხუცი ქმრის წინაშე, რომელსაც უვლიდა და რომლის გაუთავებელ საყვედურებს ისმენდა.

მრავალ სხვა სატანჯველთან ერთად ესეც მისჯილი ჰქონდა: ყოველდღიურად თვალწინ ჰქონოდა ის გარემო, რომელსაც შეუქცევადად დაშორდა ანუ უღალატა; ყოველდღიურად ევლო ამ გლეხებს, მთის მუშებს, მწყემსებსა და შინამოსამსახურეებს შორის - უცხოს, მახინჯს, პოეტს. ასე თავადაც თვლიდა, რადგან ვერც შინაგანად მოწყდა მშობლიურ ნიადაგს. მისი მსოფლმხედველობა წინააღმდეგობათა გამაოგნებელ ნაზავს წარმოადგენდა: ამ თვითასწავლმა ერუდიტმა არამხოლოდ გაითავისა თანამედროვე ევროპული ფილოსოფიური, ზოგადად ჰუმანიტარული აზროვნება, არამედ აბსოლუტურად გახსნილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიური კონფესიისათვის. და ამავე დროს, მისმა აზროვნებამ რაღაც პარადოქსულად შეინარჩუნა ის კათოლიკური შტამპები და ცრურწმენები, რომლითაც თავად გაიზარდა და რომლითაც მისი გარემოცვა თანამედროვე მსოფლიოს ხილული თუ უხილავი კატაკლიზმებისაგან მოწყვეტილად ისევე აგრძელებდა არსებობას, როგორც საუკუნეების წინათ.

ლავანტი არაფრად აგდებდა თავის პოეტურ ნიჭს და ეს - ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე. თავის გამორჩეულობას ღვთისა და ხალხის წინაშე ამპარტავნულ ცოდვად თვლიდა, თავის ნაკლულოვანებას - უაღრესად სუსტ ჯანმრთელობას - სასჯელად, და ქვეყნად ამაზე მეტად არაფერს ნატრობდა: ყოფილიყო თავისი საზოგადოების სრულყოფილი რიგითი წევრი.

ქრისტინე ლავანტის პიროვნება - და, აქედან გამომდინარე, მისი შემოქმედება, - მეგონი, ამის გამოა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და უნიკალურიც კი: მან თითქოს საკუთარ თავზე იტვირთა თანამედროვე დასავლური აზროვნების მძიმე, კრიზისული, კატასტროფული მდგომარეობა, თუკი ამ მდგომარეობას ფილოსოფიის, რელიგიის, ფსიქოლოგიის, ანუ სულიერების ძალიან დიდი გადასახედიდან შევხედავთ. XX საუკუნის ევროპა ერთი მხრივ აღმონნდა ძველი მსოფლმხედველობის რღვევისა და ახალი ფასეულობების, ახალი დასაყრდენის აუცილებლობის წინაშე, მეორე მხრივ

კი, მისი პატრიარქალური სიმშვიდე ორმა მსოფლიო ომმა და ურიცხვმა გადატრიალებებმა გაფატრეს. ადამიანმა დაკარგა რწმენა, განიცადა ჯერ ნიცშეს ისტერიული ამბოხი, შემდეგ ფროიდის მიერ სულის ულმობელი და ამაზრზენი ანატომირება. თუკი რელიგია ადამიანს გონის, სულისა და ხორცის მყარ ტრიადად ხედავდა, ფსიქოანალიზმა ადამიანში დაბუდებული ვნებების, ინსტინქტების, შიშების მთელი ლეგიონი გამოაღვიძა და მეტიც: მისი ლეგიტიმაცია მოახდინა, რითაც სამუდამოდ დაუფრთხო კაცობრიობას მშვიდი ძილი.

ამ კატასტროფას ქრისტინე ლავანტი რაღაც გრანდიოზული სინატიფით ისე განიცდის, თითქოს ის პირადად მას და მხოლოდ მას დაატყდა თავს. ამ ქალის ფიგურამ ჩვენთვის შეიძლება ვეებერთელა, ეპოქალურ-სიმბოლური მასშტაბი მიიღოს, ის შეიძლება რომელიღაც ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟად დავინახოთ, - ნაწარმოებისა, რომლის ავტორსაც სურდა ეჩვენებინა ზოგადად თანამედროვე ადამიანი თავისი გაფაქიზებული, რწმენასა და სიყვარულს მოწყურებული სულით, ულმობლად საღი, დამცინავი გონებით, რომელიც არ აძლევს უფლებას სულს, თავი დაიმშვიდოს ილუზიებით, და სხეულით, რომელიც სულთან ერთად გაუსაძლისი ტკივილით იტანჯება, - თანამედროვე ადამიანი, როგორც გადაშენების ზღვარზე მდგარი, უკვე დაკნინებული ტიპი. ის ნატრობს თავდავიწყებას, მაგრამ მეტისმეტად ცივი გონება აქვს. საკუთარ თავს გულდასმით აკვირდება და უცვლელ დიაგნოზსაც თავად სვამს: მწვავე ნევროზი და დეპრესიის შეტევები, რასაც ის ნარკოტიკულ თრობაში აფარებს თავს, - ისიც მხოლოდ წუთით, რადგან იცის, რომ ესეც მისჯილი აქვს და ვერსად გაექცევა.

თუკი განვავრცობთ ჩვენს ფანტაზიას და ლავანტს ლიტერატურულ პერსონაჟად წარმოვიდგენთ, მის ავტორად პირველ რიგში წარმოგვიდგება რ. მ. რილკე: რილკეს შემოქმედების ყოფიერებითი პრობლემატიკით შეიძლება ბევრი რამ ავხსნათ ლავანტთან, მეტიც: ლავანტის მსოფლმხედველობა გამომდინარეობს რილკეს მსოფლმხედველობიდან და ეყრდნობა მას. ლავანტის ფიგურა ფაქტიურად რილკესეული ქალი-მეტრფის მხატვრული სახის ცოცხალი განსახიერებაა. რილკემ მართლაც გარკვეულწილად შექმნა ლავანტი, როგორც ამას თავად პოეტი ქალი ამტკიცებდა: თავიდან იყო მიბაძვა, გავლენა, შემდეგ დარჩა მხოლოდ ღრმა და არსებითი: რილკე და ლავანტი ერთი კულტურული, სულიერი, გრძნობითი სიღრმიდან აღმოცენდნენ.

რისთვის არგუნა ბედმა ამ ერთ ქალს მთელი ეპოქის, მთელი კაცობრიობის სიმძიმე და საფიქრალი, მაშინ, როცა მის გვერდით, დედამიწის ნებისმიერ წერტილში ცხოვრობდნენ, ახლაც ცხოვრობენ და იცხოვრებენ მხოლოდ პირადი საზრუნავით დაკავებული ადამიანები, რომელთაც სწამთ ღმერთის, ანდა სწამთ, რომ ის არ არსებობს და არც ეს მიაჩნიათ დიდ უბედურებად?.. ლავანტს პირადი გასაჭირიც ერთი ადამიანისათვის საკმარისზე მეტი ერგო: უწყვეტი მძიმე ავადმყოფობა, გაჭირვება, უიღბლო სიყვარული, უშვილო, მარტოსული, გაუხარელი ყოფა. ან იქნებ სწორედ საკუთარი ტკივილის ხარჯზე გაიხსნა მასში რაღაც სულიერი, ფსიქოლოგიური თუ პარაფსიქოლოგიური სადინარები და რაღაც ძალამ მედიუმივით მიუერთა იგი არამარტო კაცობრიობის, არამედ მთელი კოსმიური სამყაროს ხდომილებას: მისი პიროვნება ყველაფერს ისრუტავდა, საკუთარ თავში ატარებდა, გადასცემდა ცას, მიწას, მეგობრებს, მცენარეებსა და მთვარეს. თუმცა აქ უკვე პიროვნებაზეც კი ზედმეტია ლაპარაკი: მისი "მე", ტკივილითა და სიმარტოვით დაზაფრული, ხშირად თითქოს იკარგებოდა, ქრებოდა, გადადიოდა სხვა არსებებსა თუ საგნებში. მაგრამ ჩნდება კითხვა: თუკი ასეა, მაშინ მას აღარ უნდა ეგრძნო სიმარტოვე და ტრაგიკულობა: მისი ხსნაც სწორედ სამყაროსთან პირველყოფილ განზავებაში იქნებოდა. არ ვიცი, რამდენად შეიძლება ამაზე სერიოზულად ლაპარაკი, მაგრამ თავად მას და მის მეგობრებს თუ დავუჯერებთ, მას უნდა ჰქონოდა გარკვეული ექსტრასენსორული მონაცემები. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ, ეს მხოლოდ წამით თუ მოხდებოდა: ქრისტინე ლავანტი არ იყო მედიუმი. მისი გონება, - სხეულის საკანში გამომწყვდეული წყეული თანამედროვე რაციო, - მხოლოდ ცოტა ხნით თუ მიიძინებდა. "ფხიზელ" მდგომარეობაში ლავანტი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეძებდა ისეთ ადამიანს, რომელთანაც მთლიან სულიერ ურთიერთგანზავებას შეძლებდა, და რომლისგანაც ის სულიერ საარსებო ძალებს მიიღებდა, მაგრამ ასეთი რამ (ხანგრძლივად მაინც) ამ მეორე ადამიანისათვის გაუსაძლისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი თანა-ადამიანთან ურთიერთობა პრობლემურია, რაოდენ რთული უნდა იყოს ურთიერთობა უზენაეს საწყისთან, რომლის ტრადიციულ ხედვას, - თუკი ადამიანი ოდნავ მაინც გულწრფელია, მან ეს უნდა აღიაროს, - წინ იმდენი გადაუჭრელი დილემა გადაეღობა, რომ ეს ხედვა უბრალოდ "აღარ მუშაობს". სამყაროში ქაოსი შემოიჭრა, მის წონასწორობაში, სამართლიანობაში, მის ლოგიკაში ერთხელ დაეჭვებული, ადამიანი თავს ვეღარ იტყუებს, მით უმეტეს, რომ ამ ლოგიკის პოვნა მისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სანატრელია. მე მგონი, ლავანტს ყველაზე მეტად არ ასვენებდა ეს ამოუხსნელი შეკითხვა: თუკი ქრისტიანობა გლახაკთა, ტანჯულთა, დევნილთა რელიგიაა, თუკი ხელთუქმნელი საუნჯე ტკივილითა და ცრემლით უნდა "იყიდო", მაშ, რატომ ვერ აღწევს ის სანატრელ შინაგან წონასწორობასა და სიმშვიდეს, ის ხომ ამდენს ეწამა?! ტკივილის განელებასა და შვებას კი არ ითხოვს, არამედ შინაგან საყრდენს, გრძნობას იმისა, რომ მართალია, რომ მართალ გზას ადგას. უნდა ითქვას, რომ ამას წუთით პოულობდა კიდეც და ალბათ სწორედ ეს აძლებინებდა. მაგრამ მეორე წუთში ეჩვენებოდა, რომ უფალმა მიატოვა თავისი გლახაკნი, ზუგრი აქცია მათ, უმტყუნა, თორემ სხვანაირად ამ ქვეყანაზე ვერ იარსებებდა ამდენი აზრსმოკლებული, უმიზნო ტკივილი. ხშირად გაუელვებს გონებაში გნოსტიკოსთა მსოფლმხედველობასთან მიახლოებული ეჭვი, რომ სამყაროს შემოქმედი განერიდა თავის ქმნილებას, მისი ადგილი კი სხვა, ბოროტმა ძალამ დაიკავა და სინამდვილეში ის წარმართავს ქვეყნიერებას. ამას უკავშირდება ლავანტის მრავალფეროვანი სიტყვათშემოქმედების ერთი მომენტი, გერმანულ ნაწილაკს "aber-" რომ უკავშირდება. თანამედროვე ენაში ის მხოლოდ ერთ სიტყვაში იხმარება: ემატება სიტყვას "Glauben" - "რწმენა", რითაც ვღებულობთ სიტყვას "Aberglauben" - "ცრურწმენა", თუმცა ეს ნაწილაკი არ ნიშნავს "ცრუს", - უფრო მეტად: "გაუკუღმართებულს", "საპირისპირო მნიშვნელობის მქონეს". ცნებების წყვილი "რწმენა" - "ცრურწმენა" ძალზე მნიშვნელოვანია ლავანტის მსოფლმხედველობისათვის, იგი ანალოგიურად ქმნის სხვა ასეთ წყვილებს სიტყვებისაგან "Gott" – "Abergott", ("ღმერთი" - "ანტიღმერთი") "Welt" - "Aberwelt" ("სამყარო" - "ანტისამყარო"), რითაც თავისი შემოქმედების შიდასივრცეს მკვეთრი დუალიზმის კანონს უმორჩილებს. ლირიკაში ის თითქმის არ მოიხსენიებს ღმერთს ტრადიციული გაგებით - თუკი ეს მაინც ხდება, ამას ირონია და ანტიპათია ახლავს თან (პოზიტიური "ნაპერწკალი" მხოლოდ ქრისტეს ხსენებისას გამოსჭვივის), ხოლო პირად წერილებში ის სიტყვა "ღმერთს" ბრჭყალებში სვამს, - იგი მისთვის გაუკუღმართდა, იქცა "ანტი-ღმერთად", უკეთურ ძალად, ამ გაუკუღმართებული სამყაროს მმართველ უზენაეს არქონტად, რომელსაც ძველაღთქმისეული ღვთის მრისხანე დამსჯელ ხასიათსაც კი ვეღარ მიაწერ, - ეს ძალა უაზროდ და ბოროტად დასცინის სამყაროს. აქედან გამომდინარე ლავანტის ლირიკულ სამყაროში ყველაფერი ამოტრიალებული და გაუკუღმართებულია". ვაშლის ხე გახმა, წყარო დამშრალია, მფარველი ანგელოზის ნაცვლად საშველად მოდიან სრულიად მოულოდნელი, აბსურდული არსებები, მაგალითად "ანგელოზი-აქლემი", გარდაცვლილი დედა (ლექსებში), შავი კატა (მოთხრობაში "ყაყაჩოსკაბიანი მზეთუნახავი"); თეთრი შავია, შავი კი - თეთრი; სამყაროს, როგორც მთვარეს, მეორე, პირიქითი, ბნელი მხარე ჰქონია და მხოლოდ ეს მხარეღაა რეალური და ხელშესახები ამ ტექსტების ავტორისათვის.

ბევრი რამ ლავანტთან უახლოვდება ფ. დოსტოევსკის რომანების პრობლემატიკას. ლავანტი თავისი ლირიკით გვეუბნება იმავეს, რასაც ამბობს რომან "ეშმაკის" პერსონაჟი კირილოვი: "...Вся планета есть ложь и стоит на лжи и глупой насмешке. Стало быть, самые законы планеты ложь и дьяволов водевиль". ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც დოსტოევსკისთვის, ისე ლავანტისთვისაც, ეს რადიკალური პოზიცია ერთადერთი არ იყო: ორივე ავტორი სრულად გაივლის თანამედროვე ადამიანის სულიერ მდგომარეობათა ყველა სტადიას. არსებითია ლავანტისთვის თავად მიშკინისეული ტრაგიზმიც: აღტაცება ბუნების მოზეიმე ჰარმონიით და, ამავე დროს, მწარე შეგრძნება იმისა, რომ თავად ამ ლხინზე დაუპატიჟებელი სტუმარი ხარ, ერთხელ და სამუდამოდ ამოვარდნილი ხარ ამ სრულყოფილებიდან, რაშიც სწორედ შენი ყოვლისმომწამვლელი გონებაა დამნაშავე, ყოველივეს ეჭვქვეშ რომ აყენებს, ყოველ წესრიგს უჯანყდება. საკუთარი ბრალეულობისა და უღირსობის შეგრძნება ან-

ადგურებს ადამიანს, თუმცა თავადაც რიგიანად არ იცის, რა დააშავა. ლავანტს ზუსტად შეეფერება ის რუსული ფორმულა, რომლითაც ხშირად განსაზღვრავენ დოსტოევსკის პერსონაჟების მდგომარეობას: без вины виноватая. ის ეპაექრება შემოქმედს, ვერ ურიგდება უსამართლობას, მოითხოვს "თავის წილ ნათელს", უწესრიგოდ მოძრაობს იობისეული მოთქმა-ჩივილისა და ლუციფერისეული პროტესტის დიდ ვერტიკალურ რეგისტრზე, რაც ასევე ძალზე ახლოსაა დოსტოევსკისთან. საინტერესოა, რომ მამა ალექსანდრე მენი ძველი აღთქმის იობის წიგნის განხილვისას წერს: "იობის წიგნი მთლიანად მოიცავს ღვთისა და სამყაროს წინააღმდეგ კარამაზოვისეულ ამბოხს". ეს წმინდა ტექსტი ასევე შეიცავს ლავანტის მთელ ამბოხსაც და მთელ მის თვინიერებასაც. რაც ლავანტს ამოძრავებდა, ეს ხომ ღვთის სიძულვილი არ იყო: ეს იყო უდიდესი სწრაფვა რწმენისა და სიყვარულისკენ, უდიდესი ნება, მოეპოვა რწმენა მიუხედავად ყველაფრისა, ის იბრძოდა ამ რწმენისათვის. ამით ის, დოსტოევსკის მსგავსად, შესაძლოა, ახალი დროის უკანასკნელ ჭეშმარიტ მორწმუნედ წარმოგვიდგება.

ლავანტის ლირიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო მხატვრულ-ესთეტიური თავისებურება ალბათ სწორედ ისაა, რასაც მკვლევარი ი. შტრუცი "დანაწევრებული მე-ს პოეტიკას" უწოდებს. თუკი ტრადიციულ ლირიკაში გვაქვს მკვეთრად გამოხატული ლირიკული "მე", რომლის შინაგანი მდგომარეობაც ბუნების გარეგნულ სურათებში ირეკლება, ლავანტთან "მე" საერთოდ შეიძლება გაქრეს ტექსტიდან, ან გადაინაცვლოს გარეგნული სამყაროს ხშირად მოულოდნელ არსებებში, მაგალითად, "ფილაში, რომელიც მთვარეს უყეფს", ანდა დაბეჩავებულ "უპატრონო ძაღლში". ხშირად "მე" მხოლოდ ქვეტექსტურად იგულისხმება, ტექსტის შინაარსობრივ დონეზე კი დაშლილი "მე"-ს ნაწილებად მრავალი სუბიექტი თუ პერსონაჟი გვევლინება. აი, მაგალითად, ლექსი "ენდე ეკიპაჟს შენი ხომალდის...", სადაც ხომალდი სხეულია, კაპიტანი - სული (ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით დანახული და ამიტომაც მწარედ ირონიზირებული); აჯანყებული, მთვრალი მეკობრეებისაგან შემდგარი ეკიპაჟი - ის გრძნობები, ვნებები და სწრაფვებია, დაუმორჩილებლობას რომ უცხადებენ "სულს", მის გარეშეც უსწავლიათ ხომალდის მართვა, ოღონდაც ცხადია, რომ ამგვარად მართული ხომალდი მხოლოდ ჯოჯოხეთში თუ ჩაალწევს. კაპიტანს სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდეს "გემის გამქირავებელს", ანუ "ღმერთს" ტრადიციული გაგებით. მაშ, სად არის აქ ლირიკული "მე"? რომელ ერთ თავაშვებულ მეზღვაურთან აიგივებს თავს პოეტი?..

სხვა ლექსებში პიროვნული "მე" წარმოდგენილია ისეთი განმეორებადი ხატებით, როგორიცაა მონასტერი, რომლის წინამძღოლიც შეიშალა, ბოშათა ბანაკი ანდა კრაზანების - უსარგებლო, მოუსვენარი, მწარედ მკბენარი არსებების - ბუდე, რომელიც ზოგიერთ ლექსში დანგრეულია, კრაზანები შეშფოთებულნი ირევიან ერთმანეთში.

მოყვანილი მაგალითებიდან უკვე ჩანს, რომ ლავანტის ლირიკა მუდამ სიუჟეტურია: ლექსში მუდამ გვაქვს დაწვრილებით აღწერილი სურათი და, თითქმის მუდამ, ეს სურათი რაღაც ხდომილების სცენად იქცევა. ლავანტისეული სიუჟეტურობა სიზმრისეული, ვიზიონარული ხასიათისაა: აღწერილი სიტუაცია თითქმის ყოველთვის აბსურდულია, ხშირად შემზარავია, ხშირად, როგორც სიზმარში მოგვდის ხოლმე, აქცენტი რომელიღაც უცნაურ, მოულოდნელ, უაზრო დეტალზე კეთდება. ამასთანავე, როგორც რეალური სიზმრები, ლავანტის ლექსებიც დაშიფრულ სიმბოლიკას შეიცავს. თანამედროვე ლავანტოლოგიაში დღესდღეობით გაბატონებული ტენდენცია სწორედ ამ სიმბოლიკის ამოსსნითაა დაკავებული, რისთვისაც ფროიდის ფსიქოანალიტიკურ მეთოდს იყენებს. ბედის ირონიაა ნამდვილად: ლავანტი ხომ გამუდმებით გატანჯულად ებრძოდა ფროიდის მიერ სულში ჩასხმულ შხამს, - მართალია, იმიტომაც იყო ეს ბრძოლა ასე მძიმე, რომ ფროიდიზმს ხელის ერთი წამოკვრით ვერ გააცამტვერებდა (იმხანად მაინც!), მაგრამ დღეს, ჩემთვის, ყოველ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში, ცხადზე ცხადია, რომ არც ლავანტს და არც ზოგადად ადამიანს არ უნდა მივუდგეთ ისე ზედაპირულად, როგორც ამას ფსიქოანალიზი სჩადის. (მახსენდება რილკე, რომელმაც უარი თქვა, მიემართა ფსიქოანალიზისათვის, მიუხედავად მძიმე ფსიქოლიგიური მდგომარეობისა. მან თქვა, ფსიქოანალიზმა შეიძლება მიშველოს კიდეც, მაგრამ ეშმაკებთან ერთად ანგელოზებსაც დამიფრთხობსო). ბევრად უფრო საინტერესოდ მეჩვენება ლავანტის კვლევისას კ. გ. იუნგის მოძღვრებაზე დაყრდნობა: იუნგი ადამიანში მთელ იმ "კოლექტიურ", ტრადიციულ-მითოსურ სიღრმეს ხედავს, რომელიც შეუძლებელია გამოგრჩეს ქრისტინე ლავანტის შემოქმედების გაცნობისას.

როდესაც ლავანტთან პიროვნება საკუთარ თავში ბუნების მთლიან სურათს იტევს, - უფრო სწორად, იფანტება მასში, რადგან პიროვნულ მთლიანზე აქ ლაპარაკი შეუძლებელია, - ეს მხოლოდდამხოლოდ ღამეულ ლანდშაფტში ხდება, დღის სურათებში - არასოდეს. ღამე გაჟღენთილია შიშით, მაგრამ მისი სიღრმე, იდუმალება, სამყაროსთან შესახვედრად გახსნილობა ავტორისთვის მაინც ახლობელია, ის მასში ავად, არა კარგად, მაგრამ მაინც გაშინაურებულია. მთვარე მასთან მუდამ, თუმცა უარყოფითი დატვირთვით, პიროვნების უზენაეს ნაწილთან იგივდება; ვარსკვლავები - ისეთ სუბიექტებთან, "სულებთან", ანგელოზებთანაც კი, რომლებსაც ზოგჯერ მაინც შეიძლება ენდო. ღამე სავსეა ხიფათით, მუქარით, სიკვდილით, მაგრამ ამითაა სწორედ მისაღები: ის არ გატყუებს. მზე ამის საპირისპიროდ მუდამ შორ, მტრულ, უცხო ხატად რჩება, პიროვნების ნაწილის სიმბოლოდ იგი არასოდეს გამოდის. ლირიკული სუბიექტი დაუფარავი სიძულვილით სდებს მას ბრალს ყალბი, მოჩვენებითი ჰარმონიის შექმნაში. გარდა ამისა, მას შურით აღავსებს მზის სინათლე - როგორც ნათელი და როგორც თვალისჩინი.

მზის მაგალითზე საუკეთესოდ ჩანს ლავანტის ლირიკის კიდევ ერთი პარადოქსი: მას ასაზრდოებს ერთმანეთთან დაპირისპირებული თანაბრად ძლიერი მითოლოგიური პლასტები, - ერთი მხრივ, უძველესი ჩრდილოური წარმართული ტრადიცია (ევროპულ ფოლკლორში, ზღაპრებში, თქმულებებში, შელოცვებში გამოხატული), მეორე მხრივ კი, ბიბლიურ მითოლოგიაზე დამყარებული კათოლიციზმი. ამ ორი სამყაროს გზაგასაყარზე ლავანტისთვის - იდუმალად, მაგრამ მაინც უტყუარად - არსებითია სლავური ფოლკლორული ტრადიციაც, მისი მნიშვნელობის გასააზრებლად აუცილებელია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზღვარზე მდებარე ავსტრიის ეთნო-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებაც (სხვათა შორის, გვიანლა ჩავწვდი იმას, თუ რატომ ამაღლავა პირველად ასე ძლიერ ლავანტის სურათმა: მის ნაკვთებსა და გამომეტყველებაში აშკარად იკითხება რაღაც სლავური, - რაღაც ახლობელი და ძალიან სევდიანი...). ლავანტის აზროვნებასა და მის ესთეტიკაში საპირისპირო საწყისები მუდმივ ჭიდილში თანაარსებობენ. ამის გამო ყოველი საგანი და მოვლენა წარმოადგენს სიმბოლოს, რომელიც ორი ურთიერთსაპირისპირო ტრადიციის შინაარსით იტვირთება, ან ერთ-ერთი შინაარსობრივი პლასტი "განდევნის" მეორეს და, ქმნის უსასრულო, მოულოდნელ კომბინაციებს.

უძველეს ჩრდილო-ევროპულ ტრადიციაში მზე, წარმოდგენილი ბორბლის სახით (იგივე სვასტიკა), გამოხატავს უზენაეს აბსოლუტს, გამთლიანებული სამყაროს წრეებრუნვას, მარადისობას. ლავანტთანაც მზე მუდამ ბორბალია, ოღონდაც ხსენებული შინაარსის მაგიერ მას ენიჭება უფრო კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი (ქრისტიანული მითოლოგია ხომ სხვა მითოლოგიებთან შედარებით ყველაზე ისტორიულია): მზე ის ბორბალია, რომელზედაც პირველ საუკუნეებში ქრისტიან წმინდანებს აწამებდნენ. მაგრამ მან, ამავე დროს, ევროპული ტრადიციიდან შეინარჩუნა უზენაეს აბსოლუტთან კავშირი, ის ღვთის ბორბალია, ე. ი. ის ულმობელი მსაჯული, ან იქნებ ის მრისხანე მწვალებელი, ლირიკულ "მე"-ს, - განდგომილ, ბრალეულ, გრძნეულ თუ ბორგნეულ ქალს რომ აწამებს, - თავად ღმერთია.

ასეთსავე წინააღმდეგობრივ შინაარსს იძენს ხის სიმბოლოც: სიცოცხლის ხეს - ევროპულ ტრადიციაში კოსმიური მთლიანის ხატს - გადაფარავს ედემის ბაღის ცნობადის ხე, კოსმიური ჰარმონია ცოდვისა და ამბოხის ტრაგედიით იხლიჩება, ლირიკული "მე"-ს სხეული, რომელიც სამყაროს ხესთან იგივდება, ასევე ნაწევრდება, იმტვრევა: ხის ღერობზე - ხერხემალზე - ძრწოლა და ტკივილი ადი-ჩამოდის, თვალის კაკლები ბუდეებიდან ცვივა, იფანტება, მათ იტაცებენ და ა. შ. სამყაროს გველი, სიცოცხლის

ხის ფესვებს შემოხვეული, ამავე დროს, შესაქმისეული მაცდური გველიცაა, საიმედო მფარველობისა და სიბრძნის ნაცვლად მისგან მოდის უზენაესის წინააღმდეგ ამბოხი და თვითგანდიდება, ხოლო ისტერიის უკანასკნელ სტადიაზე იგი საერთოდ იცლება მითოსური შინაარსისაგან, იქცევა უბრალო, ტრივიალურ, მაგრამ ამის გამო არანაკლებ საშიშ გველგესლად, რომელიც ალბათ ლავანტის მშობლიური სოფლის ლანდშაფტის ჩვეულ ნაწილს შეადგენდა, და მაშინ მისგან მოდის მხოლოდ გესლი და ბოღმა.

შეიძლება ვთქვათ, რომ ლავანტი მთელი სიცოცხლე ეთამაშებოდა სიგიჟეს, თუკი თამაშს აქ სერიოზულ და საბედისწერო აზრს მივანიჭებთ. ახალგაზრდობაში, პირველი დიდი განცდისა და თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ საკუთარი ინიციატივით (მე მგონი, მსგავსი შემთხვევა კაცობრიობას არ ახსოვს) "ჩაბარდა" ფსიქიატრიულ კლინიკას, ახლოდან შეისწავლა სიგიჟე საკუთარ თავშიც და სხვებშიც - დიახ, სწორედ შეისწავლა, რადგან მისი გონება იქაც ფხიზლობდა - და, თუმცა დაადგინა, რომ თავად გიჟი არ არის, მაინც მთელი სიცოცხლე სიგიჟის ზღვარზე გაიარა: პანიკურად ეშინოდა გაგიჟების და თან მიელტვოდა სიგიჟეს, როგორც თავდავიწყებასა და საზარელ ხსნას. ლირიკა მისთვის უთუოდ თვითგანკურნების საშუალება იყო: ლირიკულ მე-ზე ახდენდა თავისი ფობიებისა და მანიების პროეცირებას. ერთ-ერთი ასეთი განმეორებადი მანია და ლირიკული სახეა მასთან ბავშვის სახე: ბავშვისა, რომლის არყოლასაც ძალზე მტკივნეულად განიცდიდა. როგორც აკვიატებულ, განმეორებად სიზმრებში, ლექსებშიც ასე ჩნდება ბავშვი, რომელსაც ლირიკული "მე" უსათუოესად ევლება თავს, რომელსაც აღმერთებს; ის ყრმა იესოს სახეს იღებს (კათოლიკური სურათ-ხატები უცვლელი და მყარია ლავანტთან: სატრფოს სახეც გამუდმებით ღმერთის ან იესოს სახესთან იგივდება), მერე კი უცბად, კოშმარული სისწრაფით, ან იკარგება, ან ამაზრზენ უგვანო ჭინკად გადაიქცევა. ევროპულ ხალხურ ცრურწმენაში არსებული წარმოდგენის მიხედვით, ქაჯებმა, ჭინკებმა თუ მაჯლაჯუნებმა შეიძლება მოსტაცონ ადამიანს ბავშვი და მის სანაცვლოდ საკუთარი შვილი დაუტოვონ. მანამ ჩვილია, მშობლები ვერც ამჩნევენ ცვლილებას, რაც უფრო იზრდება, მით უფრო ავლენს დემონურ თვისებებს. ჩანაცვლებული მაჯლაჯუნას ფოლკლორული მოტივი ლავანტს გათამაშებული აქვს როგორც ლირიკაში, სადაც ის ბავშვის დაკარგვის, საზარელი იმედგაცრუების ტრაგიზმს გამოხატავს, ისე უაღრესად საინტერესო მოთხრობაში, რომლის სათაურიცაა "Das Wechselbalgchen", ეს შეიძლება ითარგმნოს როგორც "მაჯლაჯუნა" ან "ჭინკა", მაგრამ ქართულად ბოლომდე მაინც. ვერ ხერხდება ამ მითოსური პერსონაჟის სახელის სრულად გადმოტანა.

დასასრულს აღვნიშნავ, რომ დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს შეუძლია მიმართოს ჩვენს მიერ ქართულ ენაზე 2001 წელს გამოცემულ წიგნს, რომელშიც შევიდა ქრისტინე ლავანტის ორი ვრცელი მოთხრობა და რამდენიმე ლექსი (ქრ. ლავანტი, "ლექსები და მოთხრობები", გამომ. "კავკასიური სახლი", თბილისი, 2001).

ასევე აუცილებლად უნდა მოვიხსენიო გაზეთ "ჩვენი მწერლობის" 2002 წლის 15-22 მარტის ნომერში დაბეჭდილი ნანა ჭიღლაძის წერილი "დიდო ბატონო, ჩემი წილი შუქი სად არის?", სადაც არაჩვეულებრივად შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი ლავანტის პიროვნება და შემოქმედება.

მოცემული პუბლიკაცია ქრისტინე ლავანტის სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნების საფუძველზე მომზადდა. ლავანტის დისშვილისა და მემკვიდრის, არმინ ვიგორნიგისა და მისი ლირიკის პირველი მკვლევარის, იოჰან შტრუცის წერილები ითარგმნა 1978 წელს გამოსული, პოეტის სიკვდილის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნიდან, რომელიც მისი ლიტერატურული დანატოვარის შეჯამება-გააზრების პირველ მცდელობას წარმოადგენდა.

დღესდღეობით პოეტის სამშობლოში მიმდინარეობს მისი შემოქმედების სისტემური შესწავლა. ქ. კლაგენფურტის რ. მუზილის ლიტერატურულ ინსტიტუტში მზადდება ლავანტის ნაწარმოებების სრული კომენტირებული გამოცემა, ქ. ინსბრუკის ბრენერ-არქივის თანამშრომლები კი ამზადებენ მისი პირადი წერილების სრულ გამოცემასა და ვრცელ ბიოგრაფიას.

2005

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინე ლეონიძე

კრებულიდან "ვლახის ფიალა"

* * *

მთვარე, ქარი და ფრინველები ვერ შემეწივნენ
ცა კი თოვლით გამეპასუხა.
დალოცვილი არ იყო თოვლი,
ანგელოზთა და წმინდანთაგან ყველამ იცოდა,
მეტის გაძლება აღარ შემეძლო.
და მაინც ურღვევ მწყობრად იდგნენ,
როგორც ჯაჭვის ცივი რგოლები.
და აი, მაშინ დედაჩემი წამოიმართა,
სიკვდილიდან მეთორმეტე წელს.
თავსაფარი გულმოდგინედ შემოიბურა.
გეფიცებით, მართლა ვიხილე ის ამ თავსაფრით!
ჩემი წითელი, მკვდარი თვალებით:
თოვლი გაკვალა, გადალახა მთა-გორები,
წყალში გასტოპა.
(სახლი მთლიანად დაფარა თოვლმა).
და დედაჩემი, ო, დედაჩემი
ამ დიდთოვლობას გამოღწეული
ჩემს ფანჯარას მოუახლოვდა.
ძაღლს ერთხელაც არ შეუყეფავს.
ო, დედაჩემი!
სიცოცხლეში ჩემი გულისთვის
ნაბიჯსაც რომ არ გადადგამდა!
მხოლოდ თორმეტი წლის
მკვდრადყოფნამ გააგებინა
მრავალი რამე და მათ შორის
სიკვდილის არსი!
სიკვდილს ხომ მუდამ თავის
დრო აქვს, წესი და რიგი.
ჰოდა, იქამდე ჩემი თავი
რომ მიმეტანა
ამიტომაც მოვიდა დედა
და ფანჯარაზე მომიკაკუნა.
როგორ იდგა გაქვავებული,
დარცხვენილი, ღირსებით სავსე!
მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს!
ძილის ბურუსმა განმარიდა ჩემი ვაება
და ამდენი ხნის შემდეგ პირველად
შენი ღიმილი ვიხილე სიზმრად.

* * *

გამექცა ლურჯა ცხენის სადავე,
ო, ანგელოზო, აქლემო ჩემო,
გამოიღვიძე! აღარც კარავის,
არც საძოვრების არ ვარ მსურვები.

გადამატარე ზურგით ქვიშრობი,
სამოცდათორმეტ ღლეს მიმქროლავმა,
სამოცდათორმეტ სახელს ვეძახდი,
ცხენს, მე რომელიც ღმერთად შევიცან.

ღმერთის გარეშე გადავიარე
ახლა უდაბნო და უდაბნოში
ხალხი ვიხილე ცეცხლზე მლოცველი,
ო, ანგელოზო, აქლემო ჩემო!

ჩქარა, ო, ჩქარა! შენი ტყავისგან
მე დერვიშის დოლს ვაკეთებ ახლა
და ჩემი ცხენი ცეკვავს ვით ეშმა,
შენ რომ გულდაგულ არ უპატრონე.

მიდი, მიმყევი ლომის წყაროსთან,
სადაც მზე ჩადის ისხლით მოსვრილი,
ის ხვალ ისევე ამობრწყინდება,
ლომი კი ჩემს გულს ბოკვერს შეაჭმევს.

* * *

მომეცი ნება, რომ მოვიწყინო
შენი თვალების კამკამა შუქზე,
რომელიც ჩემს ჯავრს ველარც კი ამჩნევს,
მთვარის ნიჟარამ მაქცია ზურგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ბაასი არ ეყურება.
მზის ელვარე შუბლს მე ღამეული
არ ვენაღვლები და არ ვადარდებ.
მომეცი ნება, გადავიკარგო
ჩემი კაეშნის დაბურულ ტევრში.

* * *

გადამხმარ ვაშლის ხეების ჩრდილქვეშ
გლახაკთა სულებს უსაუბრიათ
პურზე, რომელიც დღემდე შემორჩათ
და მამისეულ აღთქმულ ბინაზე.

განუკურნელნი კვლავ ნეტარებენ
და უგალობენ მაღალ ყვავილებს,
ხოლო ყრუ-მუნჯი ბავშვები უხმოდ
სწავლობენ ფესვთა და ქვათა ენას.

უნაყოფონი ერთმანეთს ნაზად
ეხებიან და ადღეგრძელებენ,
დაილოცოსო ეგ შენი გული,
მიტოვებული და დროში მსრბოლი.

გადამხმარ ვაშლის ხეების ჩრდილქვეშ
ყველა გარიყულს სდევს თავის სევდა
და მონატრება განუკურნელი
და მიწა ამით პოხიერდება.

* * *

ენდე ეკიპაჟს შენი ხომალდის,
მთვრალები ფეხზე წამოდგებიან,
წამოდგებიან დაუყოვნებლივ,
მთვრალიც რომ იყოს, რას არ იღონებს,
ამ ეკიპაჟის ყოველი წევრი.
იმ ვარსკვლავთ შორის, ეშმაკს რომ სდევენ,
თვით ბელზებელიც მოიძებნება,
და გამჯდარი გაქვს ძვალ-რბილში მწარედ
შენი წყეული საშინელება.
განა ქარი კი იქით წაგიყვანს,
საითაც გინდა? - ასე არ არის?
ყველა ქარი ხომ ძმაა სატანის!
შენ მისთვის მხოლოდ ჯიბის დანა ხარ,
თან წაგიღებს და ვერც კი შეგამჩნევს,
და თუნდაც იყო ძალიან ფრთხილი,
მაინც ვერავის დაიმორჩილებ,
თხილის ნაჭუჭის ნავს გიმზადებენ:
ამაზეც მაღლი უძღვენი ხროვას!

ეს გემი გონს ხომ არასდროს მოვა,
უთხარი მაღლა გამქირავებელს,
გმინვით ჩავკიდებთ თავს ჯოჯოხეთში
და ყველა ვარსკვლავს ბრძოლით დავიხსნით.

* * *

ო, მიწავ, მიწავ, მითხარი, გვედრებ,
შენ რომ გქონოდა ჩემსავით ბაგე,
ენა მეტყველი და ზნე კეთილი,
მოისურვებდი ჩემთან საუბარს?
ჭკუა-გონება სულ ერთი ციდა
მე ხომ ფიფქებქვეშ დავასამარე,
მიწაო, ნეტავ თუ გამიცინებ?
შენთან ყოფნით ხომ თავი მომქონდა,
შენს ფესვებს ვიყავი ჩაჭიდებული
და ვსაუბრობდი ქვების ენაზე.
ჰო, შემლოცველიც კი მე ვიყავი,
სიცრუეს ვეღარ ვურიგდებოდი -
ჟამიანობის წინ როგორც ხდება.
თვითონ მჯეროდა ყველა სიტყვისა.
ახლა ავად ვარ, შენ მიმკურნალებ,
და არ მოვკვდები, სანამ არ გეტყვი,
რაზე ვფიქრობ და რა მაღელვებს.
მიწავ, წარიღე ეს ჩემი ენა,
ჩემი ბაგენიც შენად იგულ[illegible]
და ფიფქებს მიღმა ნასაუბრები
ჩემს სიყვარულზე მეც მომაწვდინე.

* * *

იმ სიზმრად სიზმარს რომ არ წააგავს,
მე ვხედავ, უკან ვით ბრუნდებიან
წყალში დამხრჩვალნი,
და თითქოს წყალში სულ არ დამხრჩვალან,
დანებს ლესავენ.
შენ, ფრინველო, გარეთ რომ ფრენ,
შეგიძლია სამჯერ სცადო,
ეგებ ამოხსნა გამოცანა და თავს უშველო,
და შენ უცოდველ წითელ ყანყრატოს
აარიდო ვიწრო მარყუჟი.
საშველად არვის დაუძახო, არც გაიფიქრო!
მზის ბორბალი რჩევას ვერ მოგცემს,
მხოლოდ წამების იარაღია,
ღმერთი არ ისმენს არც ფრინველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეგულიდან "ჯარა მთვარეში"

და არც კაცთა ლოცვას,
და ეგ მარყუჟი კი არ არის,
საბრჩობელაა,
გამოცანა კი ბადესავით შემოხლართვია
ყველას, ვინც იცის მეთევზის ხვედრი.

* * *

დიან, უფალო, გამხმარი ხე ვარ
და ვეტოტები სივრცეს მგელივით.
და ჩემცივნული როცა ვინმე მიახლოვდება,
არ მსურს, ყველასთვის რომ დავიფერფლო!
არ ვიცი მკვდარი ფესვებიდან რომელი ერთი
იკვებება გველგესლას ბოღმით!
ან ვის ანიჭებს ამბოხი ძალას!
გამომიარე, აღარავის არ ვემტერები!
და მინდა შენი ნაპერწკლებიდან
ის მომხვდეს, ჩემსკენ რმ გამოტყორცნე.
უნდა იცოდე: არ მსურს, რომ ვინმეს
წუთიერად გავუთბო გული,
მეტად მწველია ცეცხლი ამისთვის!
და თუ გავუთბე, ეს გული მაშინ
ამ მზისქვეშეთში გაიჩრაღდნებს!
და თუკი ამ გულს კვლავაც შესცივდა,
თავსაც დავიწვავ, გველგესლასაც თან გავიყოლებ.

* * *

შენ, მზის ბორბალზე განაწამებო,
მთვარის ბორბალზე ნაგვემ-ნატანჯო,
და ვარსკვლავებში გადატყორცნილო,
რა აღსარება გსურს გამომძალო?
ჩემს საქმროს ფრენა არ შეძლებია,
ერთად არასდროს ფრთა არ შეგვსხმია,
დედამიწაზე, ამ ცრემლის ველზე
შენს გრიგალებთან არ გვიქროლია.
მე ის რომ შევძლო, რისთვისაც მტანჯავ,
ჩემს თავშესაფარს არ დავკარგავდი
და არც ოდესმე შენი მდევრების
მარწუხებში არ მოვექცეოდი.
შეაკოწიწე ჩემი ძვლები და
უფალო, ამ ჩემს გულსაც და ტვინსაც
კვლავ მიუჩინე თავის ადგილი,
და აღსარებას ჩემსას მოისმენ.

* * *

შენ მომიგონებ მტირალ მთვარეზე!
მთვარეს კვლავ შერჩა გული და ხსოვნა,
აქვს გალავნებიც, ეზო-ჭიშკარიც,
და გაკვირვებაცშეუძლია, თავგზაც ებნევა,
და მუდამ უნდა შინ დაბრუნება.
გინახავს ჩუმად მტირალი მთვარე?
ამის მიზეზი შენი ჩამქრალი სიზმრებია,
რადგან სიზმრებიცშეიძლება იყოს ჩამქრალი!
ისე ჩამქრალი,
რომ სატირლად აღარავინ დაუბრუნდება!
კედელს, რათა მოთქმით იტიროს.
მე და შენს შორის მთელი ქვეყანა
გადავჩხრიკე დაწყევლილთა ძიებაში
და მე დაწყევლილთ მივაგენი!
მივაგენი ერთხელ სულაც შენსავ თვალებში.
დაწყევლილები ტირიან ხოლმე,
როგორც ტირის ღამის ნათელი,
როცა წვიმა ჩამორეცხავს ქვაფენილებზე,
დაწყევლილები ტირიან ხოლმე
და ამბობენ: უფალო ჩვენო,
ეს ჩვენ არა ვართ,
მხოლოდ და მხოლოდ შუქურებია,
ვერასოდეს რომ ვერ შეცვლიან
შენს უქრობ ნათელს,
და უკვე ჩამქრალს
მე ვუგზავნი სარკის ნატეხებს
იდუმალი დასახლებიდან,
სამი თვითმკვლელის ბინას,
კიდევ ბზასაც და ჯვარსაც,
აწამუტუნებულ ძაღლებსა
და მოწყალე სულებს ჩემი მშობლების.

* * *

ქვის ლოდო, მითხარ, შენ როდისღა ეზიარები?
შენს ირგვლივ ხომ უკვე ყველა განწმენდილია,
გაბრწყინებულნი საკუთარ თავს გადალახავენ,
ზეციურ ვარდის წმინდა ზეთი რომ მოიპოვონ.
მითხარი, ლოდო, ნუთუ არვის შეუმჩნევიხარ?
ალბათ გაგრიყეს ქვადქცეული სამარადისოდ.
ფეხს გადგამენ და ხმას არ გამოსცემ.
შენ არც ვარდი ხარ და არც ზარი.
შენს ზედაპირზე ბურცობია და იმ ბურცობზე
მკრთალი სინათლე დალივლივებს.
ვისთვის ან რისთვის? ვის აძლევს ნიშანს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ მალულად გაეშურე ზიარებაზე?
ან ვინმემ მაინც გაგწმინდა და განგასპეტაკა?
ნეტავ რა დრტვინავს შენში ანდა
რამ დაგამძიმა?
ო, ლოდო, მხარზე უნდა შეგიდგა და
მე უნდა გზიდო.
ნამდვილად ვიცი: არასოდეს მეცხება ზეთი
ამ ფხიზელ შუბლზე.

* * *

შენი გულისთვის დამაზრო ყინვამ,
შენი გულისთვის დამფერფლა ალმა,
განსაწმენდელში გამოვლილი ხორცი ხარ ჩემი,
მკვდრეთით აღმდგარი შენ დამშალე და დამანგრიე,
შენ უნდა აღდგე, ჩემთვის უნდა აღდგე უთუოდ!
გესმის, იესო?!

მე დავიჩივლებ მწუხრის ვარსკვლავთან,
მე დავიჩივლებ ცისკრის ნათელთან,
მზე ვერასოდეს ვერ დამინახავს,
სარეველა ვარ, მთვარეზე ვხარობ,
როგორც სინდისის ქენჯნის ბალახი.

გლახაკის პური რასა იქმს შენში
ან ჩემი ღვინო იოანესი,
ანდა ვისა აქვს უფლება ახლა
შენთვის დაიწვას ან გაიყინოს?
ვინ გამოივლის ჩემს მაგიერ შენს განსაწმენდელს?

შენით ვცოცხლობდი,
ჩემი პურიც იყავ და ღვინოც,
ჩემი ძვლებიდან რაღაც მაინც დარჩება წმინდა,
შენს აღმდგარ ხორცსაც ის იხილავს, ვიცი, უთუოდ.

* კრეჯულიდან "ფარშევანგის ყივილი"*

* * *

მთვარევ, ვეფხვივით ტანმოხატულო!
ზოლებიანო ჭრელო მგელ-კატავ!
გაბედე და ძირს ჩამოდგი ფეხი,
იქეც ნაგაზად და უდარაჯე,
იმ ყრმას, რომელიც კალთაში მიწევს.

და როცა ჩავალ ჩემს ფარშევანგთან
მე ხომ შვიდ ფერს ვარ შეპირებული,
ვიციმციმებ და ვიბზინებ მაშინ,
ვიდრე კარავი მელოგინისა,
მზად არ იქნება იმ ქალისათვის,
რომლის კალთაც სულ უნუგეშოა.

ქარო, ქორივით ფრთაშემართულო,
შე გატყორცნილო ბასრო ისარო,
აბა, გაბედე, აფრინდი მაღლა,
და ჩამოაგდე მზის თვალისჩინი,
ჩემი პატარა ბიჭუნასათვის.

ვნახავ ჯადოსნურ ადგილსამყოფელს
მაჯლაჯუნების მუდმივ სამკვიდროს,
და იქ დავთესავ კვერცხის ნაჭუჭებს,
პირჯვარს გადავწერ ერთ მაჯლაჯუნას
იმ უბედური ერთი ქალისთვის.

მთვარევ, გამცემო და მოღალატევ,
ისარო, ფრთაშესხმულო იუდავ,
სად გადამალეთ ჩემი ბიჭუნა?
ვეძებ თვალებით და ვერ ვპოულობ.

სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული ლექსებიდან

* * *

მე შენ მოგართვი, მაცხოვარო, ვარდი მიწისა,
შესაქმის ბუჩქზე ის კაშკაშებდა! -
ფარვანა ჩემი ძილგატეხილ ღამეებისა.
ხელში გიჭირავს მზის მწველი მორგვი,
და ღირსება იმათი, ვინც ნათელში ჩაქრა,
კამკამებს შენი ნათელი შუბლი.
შენს საფეთქლებთან თვლემს ნეტარება.
დახარე სახე ვარდისკენ და სიცხიან ფარვანასაკენ,
შენი სახელი მის მშვენიერ ფრთებზე ელვარებს,
და სცხია ფერი მეწამული სიყვარულისა,
და შიშის ფონზე სიკვდილიც უთრთის,
მაცხოვარო, შენს დიად და ჭეშმარიტ სახელს
მხოლოდ ცოცხალი მზე თუ გაუძლებს,
მაგ შენს თვინიერ თვალებს ვავედრებ ვარდს და ფარვანას.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინე ლაკანბი

სიმშვიდე სულის სამკვიდროს კარია

საით მივდივართ?
მუდამ შინისკენ.
ნოვალისი.

ჩვენი არსების ყოველ ზეასვლას - სულ ერთია, როგორ ვაღწევთ მას, ჩვენში შემოსულ მადლს მივიღებთ თუ შეგნებულად გადავლახავთ ორ პოლუსს (სიჩლუნგესა და სიფხიზლეს) შორის არსებულ ზღვარს - ჩვენს ყოველ ზეასვლას ჩარაზულ კარად წინ აღუდგება სამკვიდრო სიმშვიდისა. როგორ შევაღწიოთ მასში? იქნებ ძველი დროის ადამიანებს მათი ანგელოზები საჭირო დროს აკითხავდნენ და - ზოგს მსუბუქად ეხებოდნენ, ზოგს მკლავში ხელს ავლებდნენ, ზოგს კი სულაც ქეჩოთი აიყვანდნენ და იმ ადგილას გადასვამდნენ, საიდანაც უკვე ჩვეულებრივი ნაბიჯით შეიძლებოდა იქამდე მიღწევა, - ეს იმისდამიხედვით, თუ სმენის როგორი უნარით იყო დაჯილდოებული თითოეული ამ ადამიანთაგანი. ჩვენ ხომ შუალედური არსებები ვართ, განუზომლობის უფსკრულში დანთქმულნი, - არც უშუალობის ძალა შეგვწევს და არც სიბრძნისა. სიმშვიდე იოლად როდი გვხვდება წილად. გაბედულთათვის ის თან ყველგანაა, თან არსად. იგი ჩვენ არ განგვერიდა, არა - ის ხომ ყოველგვარი ასრულების დედა-სამშობლოა. ზოგჯერ ის სამოთხის თვალებით შემოგვყურებს. ჩვენ მისი უძღები შვილები ვართ, სინამდვილე გვეცლება ხელიდან. ცოტაა ისეთი დღეები, როცა ეს ვიცით. მერე კვლავაც მოგვეძალება შემობრუნების საშინელი სწრაფვა. შინ დავბრუნდეთ! შინ! - მაგრამ გრძნობები არ გვეხმარებიან ამ გზაზე. ყურთასმენა, თვალის სინათლე, ყნოსვა - ყველაფერი წინ გვეღობება, ხარბად გადაგვიდგება ხოლმე წინ და სამყაროს ჩაგვტყორცნის გონებაში, ანუ ჩვენს მარად მწყურვალ, მარად გაუმაძღარ არსში.

იქ, სადაც მიწა ვართ და წყალი, სადაც მშვიდობის ნაყოფი უნდა მწიფდეს, სადაც შინ დაბრუნების ვარსკვლავები უნდა აირეკლოს გუნდგუნდად, - სწორედ იქ შემოგვეჭრება ხოლმე სამყარო. ეს იმიტომ როდი ხდება, გრძნობები რომ გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ გრძნობათა ფესვებში შიში ბორგავს, აქეთ-იქით მიმართული ორი ხახა დაუფჩენია და შემოგვბღავის: წყურვილით ვკვდები! წყალში ვიხრჩობი! - ვინც ერთხელ ჩასწვდება იმას, რომ სასოწარკვეთილება მუდამ სიხარბისა და შიშისაგან მოდის, ის შეძლებს იმაში ღრმად ჩახედვას, რაც დაკარგული გვაქვს. ასეთი ადამიანი თუკი გრძნობებს დაიოკებს და შეძლებს, გრძნობათა კუთვნილ ადგილას გული დააყენოს, - ო, ის თავისი გულით ძლიერ შორს წავა, მთელ ქვეყანას შემოივლის, თუ მოისურვა. ეს ადამიანი მოცეკვავესავით ჩაებმება მბრუნავ არსთა - მზის, მთვარის, ვარსკვლავთა - ფერხულში, თავადაც კოსმოსის ნაწილაკად იქცევა, თითქოს ვიღაცამ უბრალოდ, ლაღად ჩატყორცნაო საერთო წესრიგში. მისთვის კი, ვინც მცდარ საზომთა უდაბნოში დაეხეტება გულგაქვავებული, აი, მისთვის ეს წესრიგი მიუწვდომელია. ასეთი ადამიანი გვალვისა და წარღვნის ზმანებებით ისჯება. მას სიმამაცე უმტყუნებს, მეტიც: იგი თავადაც აცლის სიმამაცეს იმ ძალებს, რომლებიც ყოველივეს გაწონასწორებას ცდილობენ. შინაგანმა წონასწორობამ კი კარგად უწყის, როგორ იცხოვროს შიშთან ერთ ჭერ ქვეშ ისე, რომ გარეთ არ გამოუშვას შიშის მოძრაობები და გამომეტყველებანი. ცხადია, სიმშვიდის მისეული წრე სრულებით შეუღწევადია: ეს ჩარაზული სიმაგრეა.

ამ ყოველივეს ემატება ნაღველიც - ეს ჩვენი სულის სიმხდალეა. ნაღველი ჩვენს სულში ჩაბუდებული დაკნინებული მაცხოვარია. ნაღველის მატებას ცდუნების დაღი ადევს. მასში შეიძლება დაივანო, როგორც სახლში, მასში შეიძლება ჭამო, იოცნებო და იძინო. მასში აღწევს განსაცდელი, სიბრძნის მოლურჯო მოსასხამში შებურული. ტანჯვა იკავებს აქ თავის კუთვნილ ადგილს, როგორც სალხინო სუფრაზე: მოდი, მე ვარ შენი ნატვრის ასრულება! - ვინც ამ ხმას შეეწინააღმდეგება, დიდ რისკზე მიდის: ის თავის სულს გადაუშლის ყოველგვარ საფრთხეს. მისი გრძნობები შეიძლება დაფრთხნენ და ისე შორს გაიფანტონ, რომ შინ ვეღარასოდეს მოაგნონ. სულის ბზარში შემოიჭრება ცეცხლი ან წყალი: ახალი შიში გაიდგამს ფესვს. - მაგრამ შესაძლებელია სულ სხვა რამეც: უეცრად, წინააღმდეგობით აატაცებულმა, შენს მღვიმეში გაშინაურებულმა შეიძლება სულ სხვაგვარად ამოისუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქო, რაღაც უცხო სიხარულის სურნელი და მარადიული სიცოცხლის გემო შეიგრძნო. და შენი ხელი სრულიად უნებლიეთ წამოიწევა, რათა ჯერაც გაბრუებულ-დაბუჟებულ შუბლსა და ბაგეზე მორჩილებისა და მადლიერების ნიშანი გამოსახოს. მან, ვინც ამგვარად გადაურჩება ჯოჯოხეთს, ერთხელ და სამუდამოდ იცის, რომ მსხვერპლშეწირვა ჯერაც ძალაში რჩება ამ ცისქვეშეთში; რომ ყოველწუთს ისმის მოხმობა, ყოველწუთს ირჩევენ ღირსეულს, ირჩევენ და გარდასახავენ ტყვიას ოქროდ, თიხას - სულთქმად. და ეს ყოველივე - განრიდებულად, ყოველი ყოფიერის დედასამშობლოში, სიმშვიდეში.

თვინიერებაც იქ პოულობს თავის სავანეს. თვინიერთ არაფერი სცხიათ სრულყოფილებისა, სისავსისა, სხივოსნობისა. მათი სიმშვიდეც, კაცმა რომ თქვას, სასოობაა, მზადყოფნაა და სხვა არაფერი. ისინი ხის ქვეშ სხედან ფეხმძიმე ქალებივით. უშფოთველად, აუჩქარებლად აგზავნიან თავიანთ გრძნობებს ხმაურისა და დუმილის, ღამისა და დღის გადაღმა; ასევე ძალდაუტანებლად, მახარობლებად უბრუნდებიან მათივე გრძნობები, რომელთაც მოლოდინის ტვირთი არ ამძიმებთ. გაოცებს ეს? - სიმშვიდე ისეთი საუნჯეა, შემთხვევით რომ ვერ გადააწყდები, - ვერც შინ და ვერც გარეთ. იგი უნდა მოიპოვო. მიუღწეველი არავისთვის არ არის. ყველაზე შფოთიან, ყველაზე ჩლუნგ სულსაც კი დროდადრო ეწევვა წუთი მკაცრი შეწყალებისა და ელვისებრი შუქით გაუნათებს განსაცდელისა და მოვალეობის წვდომას. მაშინ სწორ არჩევანს უწინდებურზე ოდნავ უფრო უახლოვდება. ზოგი ჩვენგანი თვინიერებას მოუხმობს, ზოგიც გამბედაობას, გაფაციცებული მზადყოფნის მდგომარეობის მისაღწევად. ასე გადაიდგმება პირველი ნაბიჯი სიმშვიდისაკენ. მთელი ძალ-ღონე თუ მოვიკრიბეთ, უდრეკი სიმტკიცით დავჯილდოვდებით. ასეთნაირად შემზადებულთ გზაზე არაერთხელ შეეწევიან, არაერთი მინიშნება დაუხვდებათ. და აი, ასეთი ადამიანი თანდათან სულ უფრო რწმუნდება, ეს გზა ვიღაცას უკვე გამოუვლია, თანაც ძილ-ბურანში კი არა - ცხადშიო! გრძნობს, რომ ამ გზაზე უკვე არაერთი მორკინალი განკურნებულა სულის იმ სენისაგან, რომელსაც გაფანტულობა ჰქვია; რომ წინამორბედნი უსასრულო ძალით შეიმოსნენ, - მეტიც - პირთამდე აივსნენ და უხვად გადასცეს ეს ძალა მათ, ვინც კვალში მიჰყვებათ. გულდასმით მაძიებელი ყველა ხელოვნებაში ამოიკითხავს სასიხარულო ცნობას, ამბავს, ფერებითა და ხაზებით, წმინდანთა ფიგურების მოხაზულობით ანდა მათი თითების მდგომარეობით გულდაგულ მონათხრობს; ან სულაც ფარდაგების ფერთა გრადაციით გვესაუბრება: ხმადაბლა, მშვიდად მოგვითითებს, რას ვუსმინოთ და რას ვუმზიროთ. ხელოვნების გარდა ამასვე გვიჩვენებს ხშირად პირველქმნილი უბრალოება, ხელოსნის აუჩქარებელ მოძრაობებთან შერწყმული, იგივე ცნობა ჩაგვესმის რომელიმე გლეხურ კარმიდამოზე ძველი, ღირსებით მოცული საბძლის, ანდა უბრალო ხელსაწყოთა მრავლისმთქმელი სისადავის დანახვისას. ეს საგნები საკუთარ თავს უწილადებენ მას, ვინც მოწიწებით მოეპყრობა. ისინი რაღაც მფარველ ჰარმონიასთან არიან წილნაყარნი. მავანზე ამგვარი გავლენის მოხდენა მხოლოდ მუსიკას თუ ძალუძს. ხოლო მას, ვინც მუსიკის ბობოქარ ვნებებს ვერ აჰყვა, ვისი ყურიც დახშულია დიდებული სიმფონიებისათვის, მას ალბათ მაინც რჩება მავრიტანული სტვირის უცნაურად ზეაღმავალი და დაღმავალი ჰანგები. ვინ იცის? იქნებ ასეთ ადამიანს ბევრი რამ შეასწავლოს მონოტონურმა შელოცვამ, თუ მოწიწებით არა, მოთმინებით მაინც რომ აღავსებს მსმენელს.

ყველაზე უიღბლო ის გახლავთ, ვინც საკუთარი ნატვრებისა და სწრაფვების ჭკუაზე დადის. სულ ერთია, შესაძლებელია თუ არა მათი ასრულება, ყოველი მათგანი მიზანს გვაშორებს და სამყაროზე მცდარ შთაბეჭდილებას გვიქმნის. ყველა სწრაფვაზე უარის თქმით კი გზას ვითავისუფლებთ. საგზაო ნიშნებად სიყვარული და მოწყალება მოგვევლინება. მათზე საიმედო ქვეყნად არაფერია. ამ ნიშნებით უსინათლონიც კი გაიკვლევენ გზას, რადგანაც გეზი, რომელსაც გვაძლევენ, ჩვენს ხილულ წვდომას აღემატება: მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი! - ვინც დაჟინებით, მთელი არსებით აღავლენს ვედრებას პირველისათვის და ასრულებს მეორეს, იმას სიმშვიდე თავად გადაეფარება გუმბათად. ჩვენი ურყევი სავანე და, ამავე დროს, ზღურბლიც, გადასავლელიც, იგი არც ვინმეს უკუაგდებს და არც ატყვევებს. მასში დაყოვნებას ავყავართ ერთი სინამდვილიდან მეორეში, ყოველი საფეხური სულ უფრო მაღალია, სულ უფრო მეტადაა გაცისკროვნებული სულის სამკვიდროს ნათელით. იქცა იწყება ჭეშმარიტი სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინე ლეონიძე

ჩანაწერები საგიჟეთიდან

მეორე განყოფილებაში მომათავსეს. ეს "მსუბუქებზე" დაკვირვების ადგილია და წესით აქ მხოლოდ ის ხვდება, ვინც მესამე განყოფილება უკვე გამოიარა. მე არ გამომივლია და ამის გამო ბევრი მემდურის. გუშინ მოვკარი ყური, დედოფალი როგორ ეუბნებოდა რენატას: "სათვალით და საქაღალდით შემოგვიბრძანდა, ჯანდაბა მაგას! რა ესაქმება აქ? ჯაშუშია და გვითვალთვალებს ალბათ, სხვა რა უნდა იყოს?!" ... რენატამ ეს თქვა მხოლოდ: "ისევ თავიდან დაიწყეთ. არა!" მაგრამ საღამოს მაინც მოვიდა და მითხრა, ჩემი თმასამაგრი ახლა მე თვითონ მჭირდებაო. გული დამწყდა! ცხადია, თმასამაგრის კი არა, რენატას გამო, მეგონა, რამენაირად დავმეგობრდებოდით. მისკენ პირველსავე დღეს მიმივიდა გული, იმიტომ, რომ ასე თვინიერი, ჯავრიანი თვალები და საცოდავი, წაშლილი ღიმილი აქვს, ცოტათი მტკივნეული, მაგრამ ისეთი საშინელი მაინც არა, როგორც სხვების სიცილი. სხვათა შორის, ამათ უცნაურ სახეებსა და საუბრის მანერას მოულოდნელად სწრაფად ეჩვევი კაცი. "ოჰ, არ შეხედოთ, ეს სათქვენო სანახავი არ არის!" - მითხრა კაკალამ, როცა ის მაღალი, ხმელი ქალი - მგონი, ბაუმერლი ჰქვია, - ძირს დავარდა. სქელკანიანი რომ არ ვგონებოდი, თავი ისე დავიჭირე, თითქოს ამ ყველაფერმა მართლაც ამაღელვა, სინამდვილეში კი მერჩივნა, ყველაფერი კარგად დამეთვალიერებინა. სასწრაფოდ სააბაზანოში ჩამკეტეს, სადაც სხვა გზა არ მქონდა, უბრალოდ ვალდებული ვიყავი ისტერიკა მომსვლოდა. ის ძირსდაცემული არაფერ შუაში იყო, თუმცა მისი ყვირილი აქ კიდევ უფრო საზარლად ისმოდა, უბრალოდ აბაზანის ნაპირზე ჩამომჯდარმა აღარ ვიცოდი, რა მეკეთებინა. იმავე წარმატებით შემეძლო მემღერა, ანდა მესტვინა, ანდა ფლოსტებით სველ კედელზე მეტყაპუნა, მაგრამ ბოლოს მაინც ტირილი ვარჩიე. ასეთ მასშტაბებში თუ გადაიზრდებოდა, ნამდვილად არ მეგონა და ცოტა მეუხერხულა კიდეც, მაგრამ რაღას ვიზამდი. ექთნები, ცხადია, მამშვიდებდნენ და ყველანაირ კითხვებს მისვამდნენ. ჰო, ესეც თანდათან ჩაივლის, ერთი რვა დღეც და აღარც ერთი შემომხედავს, გინდ ვიტირო და გინდ

კედელს ვახალო თავი. მაშინ ალბათ მხოლოდ რენატა თუ მომიახლოვდება, ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი წაშლილი ღიმილით შემომღიმოს. მაგრამ, მე მგონი, მასაც ეშინია დედოფლის. ეს უკანასკნელი ისევე ვერ მიტანს, როგორც ბაუმერლი, ასე რომ, ორივე კლასის უმაღლესი და დამაკანონებელი ინსტანციის მიერ უგულებელყოფილი ვარ.

მშვენივრად ვიცი, რომ შემიძლია ეს ერთ წუთში შევცვალო, საკმარისი იქნება სადილის განაწილებისას ერთადერთხელ შევიკავო ზიზღი და თუნუქის ჯაბი კედელს მივანარცხო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩემთვის ჯერაც მნიშვნელოვანია ის, რომ ექთნები "თქვენობით" და "ქალბატონოთი" მომმართავენ, ექიმებს კი დილის შემოვლის ჩვეული ღიმილი ოდნავ ადამიანურში გადაჰყავთ, როცა ჩემთან მოდიან. ვიდრე აქაურებისთვის მხოლოდ სტუმარი ვარ და ვიდრე ჩემი საქციელით ვადასტურებ ამ სტატუსს, ბოლო ზღვარი ჯერაც გადაულახავი რჩება.

წელან ბერტამ იცეკვა. მიკვირს, ამჯერად არც ერთ ექთანს, თვით კაკალასაც აზრად არ მოსვლია ჩემი გარეთ გაყვანა. ეტყობა იშვიათად ცეკვავს, რადგან ამ სანახაობამ მთელი დარბაზის ყურადღება მიიპყრო, ექთანმა მინამაც კი ორიოდ წუთით შეწყვიტა ბავშვის ჟაკეტის ქსოვა და მისი შავი მრგვალი თვალები კეთილად და თითქმის კმაყოფილებით იღიმოდნენ. რა მოხდებოდა, ახლა ბერტასთან რომ მივსულიყავი და მანამ მენჯღრია, ვიდრე ცეკვას არ შეწყვეტდა? ალბათ თვალებს ამომკორტნიდა. შეიძლება ბედნიერიც კი იყო ამ დროს, ყოველ შემთხვევაში, სრულებით მორჩილი იარაღი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რის ან ვის ხელში? ვინ იყო მასში? ვინ აიძულებდა, საავადმყოფოს ზოლიანი ხალათის კალთა აეწია და შიშველი გამხდარი მუხლები გამოეჩინა, უფერული თმა შუბლზე ჩამოეშალა, რამაც მისი გამკრთალებული თვალები უსასრულოდ შეცვალა? ვინ ჩაუნერგა ეს უჩვეულო რიტმი, რომლითაც ყავისფერ ფილებზე დააბიჯებდა? და ეს მაღალი, მომღერალი ხერხის მსგავსი ხმა, რომელიც მისი უკბილო პირიდან ისე უცხოდ ამოდიოდა, უნებლიეთ მოელოდი, რომ იქიდან საცაა პატარა თეთრი ცხოველი გამოჩნდებაო. მაგრამ ის არ გამოჩენილა, მხოლოდ მაღალი, თავდავიწყებული ხმით უმღეროდა ვიღაც უჩინარს, ვინც, შესაძლოა, ჩვენს შორის იყო. მაგრამ, თუკი არსებობს ჩვენს შორის უჩინარი ვიღაცები თუ რაღაცები, მაშინ ალბათ ისეთი რამეებიც არსებობს, ჩვენს შემდეგ რომ რჩება, - მაშინ, როცა ჩვენ აღარ ვართ. ჰოდა, ესე იგი, თუნდაც ამ მოსაზრებიდან გამომდინარე მტყუანი ვყოფილვარ. რა აზრი აქვს სიცოცხლის შეწყვეტას, თუკი ამის შემდეგაც რაღაც გაგრძელება იქნება? მაგრამ, ღმერთო ჩემო, ვაი თუ უკვე ზღვარს იქით ვარ და კარგა ხანია აღარა ვარ აქ სტუმარი, ვაი თუ სინამდვილეში უკვე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც ჯერაც ეჭვით შემომყურებს როგორც უცხოს? ... რა მოხდა? არც არაფერი, უბრალოდ ვიღაც გიჟი მღეროდა სისულელეებს: "ა ე ი ო უ, რა ვიქნები ხვალ? ჯერ მიწა ვიყავი, მერე - ქვა, მერე - ხე და ყვავილი... მაგრამ უცებ ფანჯარა გაიღო: დიდი, საოცარი. ა ე ი ო უ, ყოველი მხრიდან შემოვიდა ჩემში და ტყეში ავშრიალდი ქარივით და ქარზე მეტიც ვიყავი... მაგრამ იმათ ჩამირაზეს ფანჯარა, შავი, მძიმე ფრთებით ჩამირაზეს. ა ე ი ო უ, მიწა, ქვა და ხე, და არავის ესმის სიტყვა მდუმარე ფრთების ქვეშ..."

მეტი არაფერი მომხდარა. ახლაც ყველანი იცინიან, იმ ფეხმძიმე ექთნის, და მინას ჩათვლით. მაინცდამაინც დედოფალი რატომ ჩაერია? არა მგონია, ეს უბრალოდ ბოღმის გამო გაეკეთებინოს, ანდა საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირების მიზნით. არა, ამ კუზიანი მოხუცის იერში წუთით რაღაც გრძნეულმა შიშმა გაიელვა, როცა მოცეკვავეს მიუახლოვდა და ლურჯი წინდები, რომელსაც კემსავდა, კისერზე მათრახივით გადაუჭირა. "გაჩერდი, შე გადარეულო ალქაჯო!" - ბოროტად დაუყვირა და, როცა და მინა დამაწყნარებელი პერანგით დაემუქრა, ყურიც არ შეიბერტყა. მისი შიში რაღაც სხვანაირი იყო, ის შეიძლება რაღაცით ჩემს შიშს ჰგავდა. არა, ნამდვილად კარგა ხანია აქ აღარა ვარ მხოლოდ სტუმარი და კაცმა არ იცის, როდემდე მომმართავენ კიდევ დები "თქვენობითა" და "ქალბატონოთი".

წელან ექიმები იყვნენ შემოვლაზე. მთავარმა ექიმმა მკითხა, რას წერთო, მაგრამ ძალიანაც არ ჩამძიებია, ეტყობა იფიქრა, რომ მისმა შეკითხვამ შემაშინა ასე. ახლაც კი მიკან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალებს მუხლები და, ერთმანეთს მაგრად თუ არ მივატყუპე, შეიძლება სკამიდან გადმოვვარდე. მაგრამ ის არ ყოფილა, სხვა იყო, ვიღაც უცხო, უბრალოდ ჭაღარა თმამ შემიყვანა გულისშემძვრელ შეცდომაში. მთავარმა ექიმმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოუდგინა ჩემი თავი და თქვა: "საქმე იმაშია, კოლეგავ, რომ ეს ჩემს პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევაა, როცა პაციენტი თავისი ფეხით მოვიდა და დახმარება გვთხოვა. ეს ქალბატონი, რა თქმა უნდა, წესით აქ არ უნდა იყოს, მაგრამ ისიც გასაგებია, რომ სოფლის გამგებლობა ვერ დააფინანსებს სანატორიუმს დიეტითა და წოლითი რეჟიმით, ამიტომ აქ ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად ვუშველოთ ცოტაოდენი დარიშხანის შეშხაპუნებით." ... ამ დროს, ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, რომ უცნობი ექიმი მის სიტყვებში აშკარად დაეჭვდა, იმიტომ, რომ სახეზე ძალზე ორაზროვანი ღიმილი ჰქონდა. უფროსმა ექთანმაც უცნაურად შემომხედა და უწინდებურზე უფრო მეტად დაემსგავსა აფორიაქებულ, ადგილზე მხტუნავ პატარა ჩიტს. მხოლოდ მთავარმა ექიმმა არ შეიმჩნია ეს ყველაფერი და გამამხნევებლად დამიკრა თავი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ძალიანაც კარგად შეამჩნია და, თუ რამენაირად არ მოვახერხებ მის იმაში დარწმუნებას, რომ სწორედ მისმა შეკითხვამ შემაშინა, მაშინ შემდეგ დღეებში ძალიან ფრთხილად მომიწევს ყოფნა. ალბათ ხვალვე გამომიძახებს თავის კაბინეტში "პატარა საუბრისათვის".

ერთი წუთის წინ დედოფალმა აღშფოთებით განაცხადა, სადაური წესია, მესამე კლასის პაციენტებს თავი არისტოკრატებად რომ მოაქვთო. ექთნები, მართალია, კეთილად შემომცინიან, კაკალა მეუბნება კიდეც: "ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ბატონმა ექიმმა ყველაფრის ნება დაგრთოთ, რაც კი მოგესურვებათ. ეს ურჩხული მალე დამშვიდდება". მაგრამ ურჩხული არ ცხრება. ბრაზისაგან კუზი სულ უფრო ებერება, გაფხორილ კატას ემსგავსება და, როცა რომელიმე იმათგანი, ვინც წინდების შეკეთებითაა დაკავებული, მაკრატლის გამოსართმევად მიდის მასთან, ისე წამოფრინდება ხოლმე, გეგონება, ვიღაცას დაფლეთსო. "შე, ქაჯო, ახლავე თუ არ დაშოშმინდები, ჯანიან როზას დავუძახებ, მეტს აღარ მოვითმენ!", მკაცრი გამოხედვით უთხრა და მინამ. რა წყალში ჩავვარდე?! სულ არ მინდა, ჩემი გულისთვის დაისაჯოს. ბოლოს და ბოლოს მომიწევს შიშისა და ზიზღის შეკავება, მივალ კუზიანთან და ერთ-ორ წინდას მეც გამოვართმევ, ეგებ მაშინ მაინც მოლბეს ცოტათი.

აი, უკვე მესამე სრულიად უძილო ღამე მოვიტოვე უკან და ისე ძალაგამოცლილი ვარ, რომ იმ საშინელ ქალს ალბათ ვეღარ დავუპირისპირდები. მხოლოდ იმას ვნანობ, რომ რენატეს ჩემდამი გამოღვიძებული სიმპათია ალბათ ისევ მალე მიიძინებს. არადა, რაღაც გულისმომწურავად იცის თვალის გაყოლება, როცა მაკრატლის გამოსართმევად მივდივარ კუზიანთან, ღიმილით მამხნევებს და, თუმცა თვითონაც ძალიან ეშინია, მაინც სულ მთავაზობს, შენს მაგიერ მივალო. მაგრამ ასე ხომ საბოლოოდ დავკარგავდი აქაურების პატივისცემას. საკვირველია, რომ ჩვენს ყოველ შეტაკებაში მთელი დარბაზი იღებს მონაწილეობას, მეორე კლასის პაციენტებიც კი, რომლებიც საერთოდ აბსოლუტურად ჩაკეტილ წრეს შეადგენენ. ქალბატონმა ბაუმერლმა ისე დამცინავად იცის სათვალესზემოდან გამოხედვა, რომ ამ დროს მთელი გულით რაც შეიძლება მძიმე შეტევას ვუსურვებ ხოლმე. არაფერია ისე გადამდები, როგორც მტრული განწყობა. ხანდახან უკვე მეჩვენება, რომ მხოლოდ სიძულვილისგანღა შევდგები. მაგალითად, როცა ამ ქაჯმა ბოლმით შემომხედა და გადაიპრანჭა: "კეთილშობილი ქალბატონი ხომ არ შევაწუხე?...", მაშინ მივხვდი, რომ ექთნები ზოგჯერ უდიდეს ნეტარებას განიცდიან, როცა ზოგ-ზოგიერთებს დამაწყნარებელი პერანგის ზონრებს ზურგზე მაგრად უკრავენ. ღამ-ღამობით რომ ძილი შემეძლოს, კიდევ ერთ-ორ დღეს ავიტანდი და, ვინ იცის, დედოფალსაც ვაჯობებდი, მაგრამ ჩემი საწოლი ხომ უნიტაზის გვერდით დგას. სულ ცოტა თხუთმეტ წუთში ერთხელ ვიღაც ფათურით ეპოტინება ჩემი საწოლის გისოსებს, მოელვარე თვალები მომაშტერდებიან და რაღაც გაუგებარი ბუტბუტი ჩამესმის, რომელშიც ზოგჯერ ბოდიშის სიტყვებსაც ვარჩევ. მაშინ კრიჭაშეკრული ბალიშს სახეზე ვიფარებ ხოლმე, მაგრამ ღამის ექთანი რომ მიახლოვდება, მაშინვე, დანიშნულებისამებრ, კვლავ თავქვეშ ვიდებ. ღამის ექთანი ვერ მიტანს. პირველ ღამეს გულწრფელად მყვებოდა თან, ეტყობოდა, მართლა ვეცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდი. მაგრამ შეკითხვებით ამავსო. უიმედოდ შეყვარებული ხართო? ...აუცილებლად შეყვარებული რატომ უნდა ვიყო-მეთქი, გადამეტებული ცინიზმით ვკითხე. ეს არ უნდა მექნა. "მაშ საფეთქელში ტყვიას რაღატომ იხლიდით?", მკითხა უკვე ოდნავი წყენით და, როცა სიცილით მივუგე: "რას ბრძანებთ, ჩემო კარგო, მე მხოლოდ ძილის წამალი დავლიე", უკვე აშკარად გულნატკენი გავარდა გარეთ. დასანანია! მიმზიდველი, ნათელი სახე აქვს და თავიდან მართლა კარგად იყო ჩემდამი განწყობილი. მაგრამ, რა ვქნა, ვერ ვიტან ამ შეკითხვებს! ის მაინც გამაგებინა დანამდვილებით, მთავარი ექიმისგან მოდის ეს თუ ექთნების პირადი ინიციატივაა. ექიმს ასეთი რამ, მგონი, არ სჩვევია, რომ სდომოდა, თავად მკითხავდა და რომ არ მეკითხება, ეს უკვე საეჭვოა. ანდა, ვინ იცის, ეგებ ფიქრობს, ქალი ქალს უფრო იოლად გაენდობაო. რომ იცოდეს, ვინ არის ამაში ჩარეული, მაშინ ცხადია, უფრო ტაქტიანად იმოქმედებდა. არა, არ ვიფიქრებ, ამაზე არ ვიფიქრებ!! ამას ჯობია მაიორის ცოლზე ვიფიქრო, ანდა ჰანზიზე, ან ყველაზე, ყველაზე ვინც აქ არის და იტანჯება, იტანჯება. არა, სიძულვილს არ დავნებდები, ყველანაირად გავუმკლავდები და იმასაც მივაღწევ, რომ ყველანი მეყვარებიან, - ეს კუზიანი დედაბერიც, ბაუმერლიც, ღამის ექთანიცა და მინაც, ჰო, მინას ბოროტი სიხარულით აღვსილი ის სახეც მეყვარება, რომლითაც დამაწყნარებელი პერანგის სახელოებს უკვანძავს ამ საცოდავებს. როგორი უნდა გაჩნდეს ბავშვი, ასეთი სახით რომ ატარებენ მუცლით? საერთოდ უნდა აიკრძალოს ფეხმძიმე ქალების მუშაობა საგიჟეთში. რა ბედი ეწევა იმ არსებას, გამუდმებით ამ სიძულვილისა და უბედურების გამოსხივებას რომ ღებულობს? მარტო მაიორის ქვრივი რადა ღირს... ყოველ საათს, დღისითაც და ღამითაც, მართლაც საათივით წამოვარდება ხოლმე თავის საწოლში. "წყეულიმც იყოს ავსტრია! წყეულიმც იყოს რუსეთის მეფე! სამგზის წყეული და დამთხვეულია მთელი სამყარო! ამათ მომიკლეს ქმარი, ჩემი ვაჟკაცი, დიდებული ქმარი. წყეულიმც იყოს! წყეული! წყეული! ეშმაკს ნაუღია ყველაფერი, რაც კიდევ ცოცხლობს!" თვალები მუგუზლებივით უელავს, თეთრი, აწეწილი თმა ყალყზე უდგას, ხელები ფრინველის დაგრძელებულ კლანჭებს მიუგავს. ასე მეორდება ყოველ საათს და თვით წვერიანი მომღერალი ქალის ხვრინვაც, სხვა დროს მთელ დარბაზს რომ აყრუებს, მისი შეძახილების ფონზე არც კი ისმის. მაგრამ ხანდახან ამ ამოფრქვევასაც როგორც ხსნას, ისე ველოდები, იმიტომ, რომ მაშინ ორიოდ წუთით მაინც აღარ ისმის ჰანზის წკმუტუნი. ჰანზი მხოლოდ ოცი წლისაა, უკვე ერთი წელია აქ წევს და დღეში სამჯერ ხელოვნურად კვებავენ ცხვირიდან. ეტყობა გადაწყვეტილი აქვს, შიმშილით ამოიხადოს სული. ჩონჩხსა ჰგავს, არადა ეტყობა, ოდესღაც სრულყოფილი სილამაზის პატრონი იყო. ყორნის ფრთასავით თმა მეტწილად საწოლიდან იატაკამდე აქვს ჩამოშლილი. ნაშუადღევს მოდის დედამისი, რაღაც სიწმინდესავით ფაქიზად კრეფს ამ თმას და საწოლზე უფენს. როცა ის აქ არის, მაიორის ქვრივსაც კი ზოგჯერ ხმა უწყდება შუა წყევლაში, რაც სხვა დროს მხოლოდ მისი ვაჟიშვილის სტუმრობისას ხდება. ამ დედის წინაშე ექთნები ცხვრებივით უმწეონი ხდებიან, თვით მუდამ მომღერალი ფრიდელიც კი განზე დგება. ყოველ მეორე დღეს ჰანზის მეუღლე აკითხავს. მაიორის ქვრივის ვაჟიშვილივით ისიც მაღალჩინოსანი ოფიცერია და, როცა ეს ორი მამაკაცი ერთმანეთს პირისპირ შეეჩეხება, დარდისა და სირცხვილისაგან ორივე წითლდება. აქ დღითიდღე იზრდება ტანჯვის მთები, ლოდები, მაგრამ მწვერვალებს მაინც ისინი შეადგენენ, ყოველდღე სიყვარულით სავსენი რომ მოდიან და სასოწარკვეთილნი უკან ბრუნდებიან. ამათ უბრალოდ თვალს ვერ გაუსწორებ, მათ მზერას ვერ გაუძლებ. ამის მომსწრე რომ ხდები, ესეც უკვე უსირცხვილობაა, და მაინც, ყოველ შუადღეს მხოლოდ იმისთვის მივწვები ხოლმე ორიოდ საათით, რომ მნახველების დარბაზში შემოსვლას შევესწრო. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი უკვე ზეპირად ვიცი, შესწავლილი მაქვს. მოხუცი ქალის გამხდარი, მოხრილი ზურგიც, როცა ის ქალიშვილის თმას იატაკიდან საწოლზე სწევს, მამაკაცის ფართო, მაგრამ კიდევ უფრო უმწეო მხრებიც, რომლითაც ის მუდამ ცდილობს, რაც შეიძლება მეტად მოაფაროს სხვების თვალს ვარდები და მიხაკები, ცოლს სახესთან ახლოს რომ ულაგებს ზეწარზე. ო, რა დაჟინებით მოელიან ამ სახისგან რაიმეს მაინც! რას? იქნებ აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ოდნავ გაელვებას, უმცირეს ნიშანს იმისას, რომ იცნო, ან იქნებ ღიმილს, უწინდელი ღიმილის მკრთალ ანარეკლს, ან თუნდაც ოდნავ ცვლილებას ხმაში. მაგრამ არც არაფერი ხდება, არც არაფერი იცვლება. ერთსა და იმავე ჩუმ მაღალ ნოტაზე ამოსკდება ხოლმე ეს წკმუტუნი დროის ზუსტ შუალედებში და როცა ის ისმის, თვალწინ ნარ-ეკალში ჩავარდნილი კნუტი წარმომიდგება. რამდენჯერ გაიარა უკვე მახვილმა ამ დედის გული? არა, მის სახეს არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე. მისი ზურგი და მკრთალი ხელის მოხაზულობა, დროდადრო ცახცახით რომ ჩერდება მწოლიარეს შუბლზე, - უკვე სრულებით საკმარისია. დარბაზიდან გასვლისას ზოგჯერ სულ ერთი წამით გახედავს ხოლმე მაიორის ქვრივის საწოლს. ორი დედა, კეთილშობილი საზოგადოების ორი ხნიერი ქალბატონი, ორი უსასრულოდ გატანჯული. მათ გარშემო ჰაერი თხელდება და თითქოს მინისა ხდება და ხშირად სწორედ ამ დროს შემოდის ვაჟიშვილიც. ჰანზის დედას ლამის როგორც წმინდანს, ისე ესალმება, სხვას არავის ესალმება და საერთოდ არავის ამჩნევს. ორიოდე დიდი ნაბიჯით აღწევს დედის საწოლს და ხელზე ეამბორება. ეს ხელი კი ამ დროს ფრინველის კლანჭი აღარ არის: მასზე კეთილშობილურსა და თავშეკავებულს ქვეყნად ვერაფერს წარმოიდგენთ. მუდამ ისე ხდება, თითქოს ამ ორს ვიღაც ფარდას ჩამოაფარებს ხოლმე, და მხოლოდ დახუჭული თვალებით თუ წარმოიდგენ, სინამდვილეში რა ხდება მათ შორის. რადგანაც ის, რომ ვაჟი გაზეთს შლის და იქიდან დედას ჩუმად უკითხავს, ანდა ის რამდენიმე წინადადება, რასაც ერთურთს ფრანგულად გადაულაპარაკებენ, ანდა საწოლის ხანმოკლე ჭრიალი, რომელიმე ძლიერი ჟესტის დროს რომ ისმის, - ეს ყველაფერი არ არის ნამდვილი. ეს მხოლოდ გარედან ხდება, გარს ერტყმის ჭეშმარიტს, როგორც შუშის ყუთი ძვირფას სამკაულს. ამის შიგნით თავდავიწყებული ექსტაზია. მე ეს ვიცი, დახუჭული თვალებით ვგრძნობ ამას ჩემი საწოლიდან. აქ ისეთი გარდასახვები ხდება, არცერთ სასწაულს რომ არ ჩამოუვარდება. სადღაა ის გიჟი, ბორგნეული, წყევლა-კრულვით რომ აზანზარებდა დარბაზს?! სიძულვილის ნასახიც კი აღარ ცოცხლობს ამ დროს ხნიერი ბანოვანის არსებაში. როგორც ქრისტე წყალზე, ისე დადის ეს დედა შვილის თანდასწრებით თავისი სიგიჟის ზედაპირზე. და შვილსაც სწამს მისი. ერთი წამითაც არ ეშინია, რომ ფეხი ზღვაში ჩაუვარდება. და არც უვარდება. არასოდეს მანამ არ ვარდება, სანამ ვაჟიშვილი საგიჟეთის უკანასკნელ კარს არ გაიხურავს. აი, მაშინ კი მართლაც საზარელი რამ იწყება. გეგონება, მთელ ჯოჯოხეთს წყურია შურისძიება ერთი საათით წართმეული ძალაუფლებისათვის. ამას სიტყვებით ვეღარც კი აღვწერ, ეს თითქმის ჯვარცმულ ქალზე უარესიც კია. ნუთუ აქ გატარებული კვირების შემდეგ კიდევ მოვინდომებ და გავბედავ სიცილს? იქნებ ძალიანაც მოვინდომო და მშვენივრადაც გავბედო, ვინ იცის? ეგებ სწორედ ასეთ ადგილებში უნდა ისწავლო კაცმა სიცილი, რათა უკვე სამუდამოდ, განუყრელად გაითავისო. ერთი წუთის წინ იმ ქაჯმა ჩამიარა და ჩუმად მითხრა, ნაცარტუტად გაქცევო. მე გადავიხარხარე. არადა მეშინია. მასწავლებლების მაგიდასთან ხომ არ ვცადო მოხვედრა? მათ ყველას ისეთი ზრდილობით უჭირავთ თავი, რომ მიკვირს კიდეც, საერთოდ აქ რა ესაქმებათ. მაგრამ, როგორც მესამე კლასის პაციენტსა და გაუნათლებელს, მათ წრეში მოხვედრა ძალიან გამიჭირდება. უბრალოდ გვერდით რომ ჩავუვლი, უკვე ამრეზით მიყურებენ, მხოლოდ ის მსუქანი გოეთეს სპეციალისტი, რომელსაც იმავე დარბაზში სძინავს, სადაც მე, ხანდახან პატარა ღიმილს თუ მაღირსებს ხოლმე. ხომ არ მივიდე და "ვილჰელმ მაისტერი" ხომ არ ვთხოვო? მაგრამ არა: მერე რომანის შესახებ კითხვების დასმას დამიწყებს, მე კი სინამდვილეში სულაც არა მაქვს განზრახული მისი წაკითხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი წერილები

1.

ქრისტინე ლავანტი თობიას რიუბნერს[1]

[წარწერა კონვერტზე]
ბატონ თობიას რიუბნერს
კიბუცი
მევხარია
ისრაელი

ადრესანტი: ქრისტინე ლავანტი
სანკტ-შტეფანი ლავანტის ხეობაში
კარინტია, ავსტრია

სანკტ-შტეფანი, 8. 9. 56.

თობიას რიუბნერ!

გთხოვთ, ნუ შეგაშფოთებთ ეს მომართვა-მოძახილი, ზოგჯერ ძალზე მიჭირს საკუთარი თავისთვის ძალის დატანება და ყოვლად უაზრო წესების დაცვა. თქვენ ისეთი კარგი წერილი მომწერეთ, რომ ის ნამდვილად კიდევ არაერთხელ მიშველის, როცა ნაღველი შემომაწვება. ლექსებს რომ მიქებთ, ეს ისე არ მახარებს, როგორც თქვენი თანაგრძნობა. დიახ, უკვე რამდენიმე წელია, უძილობა მაწუხებს და მხოლოდ ძილის წამლების ხარჯზე შემიძლია მოვისვენო, ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ამგვარი საშუალებების მიღება სულის წინაშე საშინელ ცოდვად მიმაჩნია, რადგან ეს წამლები ცნობიერების თანდათანობით დეგრადაციას იწვევს. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ "ღმერთი" ერთად აჯამებს იმათ სულებს, ვინც თანამიგრძნობს და, საჭირო რიცხვს რომ მიიღებს, მათი წყალობით მეც მომიტევებს. მიტევება, ჩემი აზრით, ძალზე ზუსტ ანგარიშს მოითხოვს. მაგრამ ახლა თქვენს შესახებ: მითხარით, ვიდრე გაემგზავრებოდეთ, რა გარემოში იყავით გაშინაურებული? თქვენი ლექსი მშვენიერ და ნატიფ სურათებს შეიცავს და მისი რიტმი მომაგონებს სლოვენიურ ან ხორვატულ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც ძალიან მიყვარს. როგორ შეიგრძნობთ "წმინდა მიწას" - განიჭებთ ძალას? ცოცხლობთ მასში თუ პირიქით - ის ცოცხლობს თქვენში? რას წარმოადგენს იგი თქვენთვის: ასრულების ალაგს თუ უბრალოდ თავშესაფარს? მინდა ხშირად ვიფიქრო თქვენზე, ეგებ თქვენც დაგეხმაროთ ჩემი ფიქრი, ამიტომ მინდა თქვენი გარემოებები ზუსტად ვიცოდე.

მთელ "გლახის ფიალას" ჯერჯერობით ვერ მოგაწვდით (მხოლოდ ხუთი საავტორო ეგზემპლარი მომცეს), ნაწილს კი მაინც გიგზავნით. გთხოვთ, ამის გამო არ მიწყინოთ, ეგებ მოგვიანებით როგორმე მთლიანადაც გამოგიგზავნოთ.

მე ვცხოვრობ ერთ ციცქნა მანსარდის ოთახში, ინდუსტრიულ გარეუბანში, მაგრამ ჩემი ფანჯარა ისე პატარაა და ისე მაღლაა, რომ მასში მხოლოდ ცის ნაკუწი და ერთი ბებერი მსხლის ხის ფოთლები მოჩანს. ჩემი ოთახი ბერის სენაკს ჰგავს. მეზობლის სახურავიდან ამ წუთას უწყვეტად მოისმის მტრედის ხმა: მწყურია! მწყურია! როცა ეს გესმის, უნებურად ეშვები სამყაროს აკვანში და ის განანავებს. ეს მდგომარეობა ზოგჯერ სიარულის განსაკუთარებული მანერითაც მიიღწევა, როცა ღამით მიაბიჯებ მფარველი ვარსკვლავების ქვეშ. ისინი ხომ ყველანი გვიფარავენ, და ასევე იქცევა მიწაც, და მთვარეც, და მზეც: ერთურთს გადასცემენ ჩვენს თავს, როცა გვწყურია და გვშია, მაგრამ იმ პურს, ჩვენ რომ ყველაზე მეტად გვჭირდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთმანეთისგან ვღებულობთ. თქვენი წერილი ჩემთვის სწორედ ეს პური იყო. გმადლობთ ამისათვის!

მთელი გულით გიძღვნით მოკითხვას, თობიას რიუბნერ -

თქვენი ქრისტინე ლავანტი.

P. S. შეპირებულ ამონაბეჭდს "გლახის ფიალიდან" ორშაბათამდე ვერ გიგზავნით, რადგან ამხელა კონვერტი შინ არ მაქვს.

[ხელით მინაწერის გარჩევა არ ხერხდება. - მთარგმნ.]

2.

[1955 წ. ივლისი]

ღრმად პატივცემულო ბატონო ლუდვიგ ფონ ფიკერ!

თქვენმა წერილმა გული გამიხარა და მაშინვე მინდოდა პასუხის მოწერა; მაგრამ შემდეგ თავშეკავება ვარჩიე, სწორედ იმიტომ, რომ თქვენი მხრიდან დიდ სიკეთეს, გაგებასა და სათუთ მოპყრობას შევიგრძნობ. თანაც საკუთარი თავის გამოც გავაკეთე ეს: მინდოდა, რაც შეიძლება დიდ ხანს თვალწინ მქონოდა თქვენი წერილი და უბრალოდ დავმტკბარიყავი მისით.

ახლა კი ვგრძნობ, რომ ცოტა ხანში კვლავ გაუსაძლისი დღეები დაიწყება (ასეთი რამეები ხომ მუდამ წინასწარ ვიცით ხოლმე), ჰოდა მსურს, ჩემი წერილი თქვენთან ვიგულო და თქვენგან პასუხის იმედიც მქონდეს.

მინდა ძალზე სერიოზული რამ მოგწეროთ: მეჩვენება, რომ თქვენ შეგიძლიათ ძალიან დამეხმაროთ. ყველაზე მეტად ადამიანურ სინამდვილეში ისეთი ალაგი მესაჭიროება, ნდობა და მონიწება რომ აღმიძრას.

ჩემნაირი არსებებისათვის ღვთის გულამდე ძალზე შორი გზაა. ამიტომაც ჩემნაირებს ასე ძლიერ, - ალბათ ყველაზე მეტად - აკლიათ ეს სულიერი საზრდო: მოწიწება და ნდობა. ნორმალური ცხოვრების პირობებში ამ დანაკლისს სიყვარული და ადამიანური სითბო გადაფარავს, ზოგჯერ მთლიანად ცვლის კიდეც. ხოლო თუკი ეს მათთვის მიუწვდომელია, მაშინ ყოველგვარ დემონურ ძალებს ამ ადამიანებში წინ აღუდგება ყველაზე უფრო ტრაგიკული და გულუბრყვილო მდგომარეობა, რაშიც კი შეიძლება ჩავარდეს ადამიანის სული, - მდგომარეობა, როცა ყველა ძალა იღვწის, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეამციროს მანძილი ღმერთამდე, - და საამისოდ ხშირად ძალზე წამგებიან საშუალებებს მიმართავს.

არ არის აუცილებელი, აღმოსავლური სიბრძნის საიდუმლოებასთან იყო ნაზიარები: ყოველ ჩვენგანში დავანებული იდუმალი სიბრძნე მოგვითითებს იმ არსობის პურზე, ჩვენ რომ ყველაზე მეტად გვჭირდება. მე კი ბავშვობიდანვე ყველაზე მეტად მოწიწება და ნდობა მენატრებოდა. ყველა უშუალოდ ღვთისაგან როდი ღებულობს არსობის პურს. მე მგონი, მისი გადაწოდება მეტწილად საფეხურებრივად მიიღწევა ადამიანური განზომილების შიგნითვე.

ამ ყოველივეს რომ გწერთ, პატივცემულო ბატონო ფონ ფიკერ, ჩემში უკვე უწუმრად იღვიძებს ორივე ის შეგრძნება, რომელიც ასე მწყურია, რომელიც ჩემს "სულს" სწყურია ჩემთვის.

ეგებ ისურვოთ, გზის მცირე მონაკვეთზე მაინც გამიწიოთ შემწეობა? ცხადია, ეს შემწეობა თქვენში ნაძალადევად კი არა, სრულიად ბუნებრივად უნდა გაჩენილიყო. რადგან - მე ასე მგონია - ზემოდან ქვევით ჩამოწვდილი პური პირთამდე სავსე სიმდიდრიდან უნდა მოდიოდეს, პირიდან ამოცლილი ლუკმა კი არ უნდა იყოს. მაგრამ სიმდიდრე და სიუხვე შეიძლება წარმოშოს იმან, რომ ქვემოთ მყოფთა სიდუხჭირემ ზემოთ მყოფთა გულებში ამოხეთქოს და მათ გაუტოლდეს. ასეთი გაწონასწორება ზოგჯერ ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემწეობის წინაპირობაა, რაც ღმერთს ათავისუფლებს სასწაულის მოხდენის აუცილებლობისაგან (წინაალმდეგ შემთხვევაში იგი ერთ სულს დაკარგავდა).

კიდევ ერთხელ ვიტყვი გარკვევით: ჩემნაირი დაკრუნჩხული არსება ჯერ უნდა გაიშალოს და მოეშვას, რათა მას ისეთი შუაგული გაუჩნდეს, რომელიც აბურდული კვანძი არ იქნება. საამისოდ კი მას პირველ რიგში მოწიწებისა და ნდობის აღმძვრელი ადამიანი უნდა ეგულებოდეს, და მე მწამს, ბატონო ფონ ფიკერ, რომ ჩემს შემთხვევაში თქვენ ეს ხელგეწიფებათ.

ამ წერილის დაწერაში ჩემი გული და გონება იყო ჩართული, მაშასადამე - იმედი და ცოდნაც.

ვიდრე ღმერთამდე მივაღწევ, ადამიანი მესაჭიროება.

ქრისტინე ლავანტი.

პერსონა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

3.

[ქრისტინე ლავანტი ლუდვიგ ფონ ფიკერს]

25. 4. 1956

ძვირფასო, პატივცემულო პროფესორო!

მადლობას გიხდით მანუგეშებელი სტრიქონებისათვის! მართალია, მთლად მაინც ვერ მანუგეშეს, ვერც ჩემი თავის და ვერც თქვენს თაობაზე, მაგრამ ახლა ის მაინც ვიცი, რომ ყველაფერ უბედურებასთან ერთად ავადმყოფობა აღარ გემუქრებათ. ის, რაც თქვენ ბრძანეთ, ზოგჯერ უფრო მიღმიერში ვარ, ვიდრე ამქვეყნადო, მეტისმეტად ნაცნობია ჩემთვის: ეს ის სისუსტეა, გულისგულიდან გამოსული, შენს გარშემო ყველა მიმართულებას რომ მოედება ხოლმე. ასეთ დროს უკვე იმის თავიც კი აღარ გაქვს, მოკუნტული სადმე მიჯდე, ანდა ფინჯანი აიღო ხელში, უბრალოდ ძირს ეცემი და შენი არსების ორი მესამედი საათობით სადღაც სხვაგანაა. თუკი ჩემმა ლექსებმა მართლაც ცოტათი მაინც გამოგიყვანათ ამდაგვარი მდგომარეობიდან, ესე იგი ისინი ტყუილად არ ყოფილა დაწერილი. არა, ესენი "გლახის ფიალის" დროინდელი არაა: მაშინ დაიწერა, "ფიალა" რომ უკვე ისტამბებოდა. უცნაური ისაა, რომ ესენი ჩემს მიერ მანამდე დაწერილ ლექსებზე უფრო გიჟური სულაც არ მეჩვენება. მართალია, ისეთ მდგომარეობაში დაიწერა, რომლის გახსენებაზე ახლაც მაკანკალებს, მაგრამ ამით ჩემს შეშლილობას არ ვგულისხმობ: საერთოდ, მთელი მაშინდელი სიტუაცია მგვრის შიშს. მაგრამ სხვაგვარად ვერც იქნება, თუკი თქვენნაირი კაციც კი იძულებულია აღიაროს, რომ ზოგჯერ ეშინია, მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი მარცხი არ გამოდგეს. ეს ყველა ჩემს ლექსზე უფრო შემზარავია. ნეტავ არსებობს ჩვენში რამენაირი საშველი? რაიმე უნდა არსებობდეს, - თუნდაც უკანასკნელი შველა. მეტის იმედი არც მაქვს. და მაინც, ყოველმა ჩვენგანმა ყოველდღიურად მიწიდან ბალახის თითო ღერი მაინც უნდა ამოაძროს, რათა ის ვინმე წყალწაღებულს გაუწოდოს, მაშინაც კი, როცა წყალი თვითონაც უკვე პირამდე აქვს მომდგარი. თქვენ ამას ალბათ ისედაც მთელი სიცოცხლე სჩადიხართ და არავის ბრალი არ არის, რომ მუდამ მხოლოდ ერთი ღერი არსებობს: ყველას სამყოფი ხომ მაინც ვერ იქნება. ხშირად ყველაზე ძნელი სწორედ ესაა: გადაწყვიტო, ვის გაუწოდო ის ერთი გადამრჩენელი ბალახის ღერი. ალბათ "მოყვასს", უახლოესს, იმას, ვის სიახლოვესაც გაგვაჩინა "ბედმა". ეს კი ხშირად ყველაზე მძიმეა! არადა, როგორც ჩანს, ყველაფერი სწორედ ამაზეა დამოკიდებული. მაგრამ ეს საშინელებაა. ეს ზოგჯერ ძალების უკანასკნელ ნაპერწკალსაც გვიქრობს, სრულ უგრძნობლობამდე მივყავართ, როცა აღარაფერი შეგვიძლია. ნამდვილი, სრული ძალგამოცლილობა მადლიც კია, ის თითქმის ზეადამიანური მოწყალების ფასად გვეძლევა. თუკი ეს არ მოხდა, მაშინ შინაგანად იფიტები და კვდები, ან არა და ბოლოსწინა დონეზე აღმოჩნდები, - ნახტომის დონეზე: როცა შველის ამაო შეძახილებში აქეთ-იქეთ აწყდები და ყოველი წყალწაღებულისაგან ხსნას მოელი. სასოწარკვეთილება საშინელი ცოდვაა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მას, ვინც ზუსტად გარკვეულ დონემდე განიცადა სასოწარკვეთა, შესაძლოა, ყველაზე უკეთ შეეძლოს შველა: მას ხომ საკუთარი ტვირთი აღარ ექაჩება.

საშინელი წერილია? არ ვიცი, მე მხოლოდ ჩემი არსიდან გამომდინარე გესაუბრებით, წვდომისა და თანაგრძნობის თქვენეულ უნარს მინდობილი. მაგრამ გთხოვთ, ჩემზე არ იდარდოთ! ყოველ შემთხვევაში, ნუ გეშინიათ, რომ შევიშლები, ეს არ არის ყველაზე საშიში, რაც მემუქრება. ბევრად უფრო ძნელი იმ ნაპერწკლის შენარჩუნებაა, იმ მინიმალური სითბოსი, რომლის გარეშეც თანაგრძნობაც კი აღარ შეძლება.

თუკი ჩემზე დაფიქრდებით, სწორედ ეს მისურვეთ: არასოდეს გამიქრეს მოწყალების უნარი - სუფთა, შეუნიღბავი, უანგარო მოწყალებისა.

კიდევ ერთხელ მთელი გულით გმადლობთ წერილისათვის და, საერთოდ, თანაგრძნობისთვის.

გეთაყვა, მომიკითხეთ თქვენი ქალიშვილი და თქვენს მეუღლესაც, თუმცა არ ვიცნობ, ჩემი გულითადი სიმპათია გადაეცით.

თქვენი ქრისტინე ლავანტი.

4.

[ქრისტინე ლავანტი ერენტრაუდ მიულერს[3]]

27. 8. 57

[...] რაც დრო გადის, ამგვარი რამეების [=საჯარო ლიტერატურული ღონისძიებების] სულ უფრო დიდი და რაღაც იდუმალი შიში დამჩემ-

და. ისიც უკვე შიშის ზარსა მცემს და აღარ მესმის, საერთოდ რანაირად ამოვყავი თავი "შემოქმედთა" წრეში. ამაზე ფიქრს აზრი არა აქვს. ვცდილობ, არც ვიფიქრო. რა თქმა უნდა, "ის" რომ ხელმეორედ მომეძალოს, არ შევეწინააღმდეგები, ან კი რა აზრი აქვს საერთოდ ოდესმე წინააღმდეგობის გაწევას.

[...] დიახ, ჩემო გოგო, "შემოქმედებას", შესაძლოა, ყოველთვის თან ახლავს რაღაც გამანადგურებელი, ოღონდ განსხვავებული სახით და განსხვავებულ დონემდე. ზოგჯერ ეს გამანადგურებელი თავად "შემოქმედის" წინააღმდეგვეა მიმართული და მაშინ ის სხვებამდე შედარებით დაწმენდილი სახით აღწევს, ზოგჯერ კი თვითონ "შემოქმედს" არაფერი ემართება, სამაგიეროდ ემართებათ სხვებს. ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ არავის არაფერი ემართება, ეს მაშინ, როცა "შემოქმედებაში" არაფერი ყრია, ან მაშინ, როცა ეს უკვე "შემოქმედება" კი აღარაა, არამედ განატიფებული ბუნება.

სხვათა შორის, თეოსოფები და ანთროპოსოფები გარკვევით ამტკიცებენ, შემოქმედება "ლუციფერისეულიაო" (მართალია, "ლუციფერისეულის" ცნება მათ კათოლიკური ეკლესიისაგან სრულიად განსხვავებულად ესმით).

"შემოქმედების" წინაშე ჩემს მოზღვავებულ შიშს, რა თქმა უნდა, ლუციფერთან არაფერი აქვს საერთო, საქმე იმ უკიდეგანო გაორებაშია, რომელიც ლექსების წერისას მეუფლება. მხოლოდ ხანდახან ძალიან მენატრება ის დრო, როცა ვწერდი. მაგრამ ალბათ ის, რაც გითხარი, მხოლოდ ჩემს შემთხვევაშია მართალი. აუცილებლად უნდა არსებობდეს საღი და უვნებელი შემოქმედებაც. რასაც თქვენ მიამბობთ ბატონ ფონ ფიკერთან ერთად გატარებული საღამოს შესახებ, სწორედაც რომ საღი უნდა ყოფილიყო. უბრალოდ მე თვითონა ვარ ასეთი: ყველაფერი ტკივილს მანიჭებს, ხოლო როცა ვცდილობ თავი ხელში ავიყვანო (ამას ისედაც გამუდმებით ვცდილობ, სხვანაირად არა შეიძლება), მაშინ ვიძაბები და საკუთარ თავში ვიკეტები. შედარებით ყველაზე უკეთ მაშინ ვგრძნობ თავს, როცა ვკითხულობ ან ვქსოვ, მაშინ საათობით თავს იმით ვიბრუებ, თითქოს ყველაფერი ძველებურად იყოს, ან თითქოს ყველაფერი დანარჩენი უბრალოდ სიზმარი ყოფილიყოს, მერე კი, კვლავ გონს რომ მოვდივარ, ყველაფერი ისევ მახსენდება და ვხვდები, რომ რაც იყო, იმ ყველაფრის უარყოფა ლაჩრობა და უმადურობაც კია. ერთხანს "პოეტი" რომ არ ვყოფილიყავი, ახლა პრემიას ვერ მივიღებდი და არ მეცოდინებოდა, რითი მერჩინა თავი. და საერთოდ: მაშინდელი დრო ჩემთვის მძიმე იყო, მაგრამ ეს სიმძიმე რაღაცნაირად დამავიწყდა, ახლანდელი სიმძიმე კი მართლა სულსა და ხორცში მატანს.

[...]

5.

[ქრისტინე ლავანტი მაია და გერჰარდ ლამპერსბერგებს და თომას ბერნჰარდს[4]]

14. 11. 1957

მიცილი[5], გერჰარდ და თომას!

ჰანგების სასახლის ხარახურავ! თქვე ოხრებო!

"საზიზღრებო!"

ჰო, მიცილი, თქვენზე რომ ვფიქრობ, უწმაწურობები მადგება პირზე, თქვენ ხომ ისეთი "უნდიელები" ხართ, სიზმარშიც კი ბოღმა მახრჩობს. მაგრამ რა გაეწყობა! ფოსტა ისე კარგად არ მუშაობს, რომ თქვენი ამბები უცებ შევიტყო. ბოლოს და ბოლოს მაშინ გრიპს გადაურჩი თუ ვერა? მაინცდამაინც კარგად ვერ იყავი. მჭედელმა ვილანდმა რამდენ ხანს გამყოფათ ცეცხლში?6 ცოტათი მაინც თუ გამოიწრთეთ? გერჰარდი და თომასი ისევ ძველებურად ჩამოუშვებენ ხოლმე ცხვირებს ნებისმიერი წვრილმანის გამო, თუ როგორ არის საქმე? ხშირად გიშლიან ნერვებს?

არა, სერიოზულად: რაიმე ცუდი ხომ არ მომხდარა ამასობაში? გთხოვთ, ღია ბარათი მაინც გამომიგზავნეთ. კაცებს ალბათ არ სცალიათ. აჰ, არა! ნამდვილად სამოგზაუროდ იქნებიან წაბრძანებულები! თუ უკვე დაბრუნდნენ? მაგრამ როგორ იქნებოდა, გზიდან ერთი ბარათი მაინც არ მოეწერათ?! - ნუთუ რამეზე გამიბრაზდით? ვიცი, ძალიან სასაცილო ვარ და მადლობასაც კი იშვიათად ვიხდი, იმიტომ, რომ მერიდება, ისევე, როგორც ბოდიშის მოხდა, მაშინაც კი, როცა ვგრძნობ, რომ ეს აუცილებელია. იცი, მიცილი, ასეთ დროს ჩემში თითქოს რაღაც ქვავდება. ასე რომ: თუკი მაინც რაღაცაზე მებუტეტებით, მაშ, - "საუკუნო შურისძიება!!"

ჩემო ძვირფასო! შალის ჟაკეტი თავდაპირველ ჩანაფიქრზე ცოტათი უფრო თხელი და "კეთილშობილური" გამოვიდა, მაგრამ იქნებ ამის მიუხედავად მაინც მოგეწონოს. ჩემი

აზრით, უნდა მოგიხდეს. ეგებ რომელიმე მაღაზიაში ღირსეული ღილები შეურჩიო. ახლა რაც აკერია, ისეთებია, რომ ალბათ ფიქრობენ: "[illegible] რას მოვესწარიით!?"

მაგრამ თუ ჩემზე გაბრაზებულები ხართ, შეგიძლიათ საერთოდ არ მიპასუხოთ. ჰანგების სასახლეს მაინც ჩემი დღე და მოსწრება ვერ დავივიწყებ, და, ვიცი, ის არც არასოდეს გამიბრაზდება, მასში მცხოვრებ მწერებს რაც შეეხება, ასატანი არიან: ყოველ შემთხვევაში, ეგვიპტურ კალიებთან მაინც ვერ მოვლენ ახლოს.

ჰო, მართლა, აგათა! პასუხს ვერ მივწერ, გულითად მოკითხვას კი ვუთვლი. მისმა წერილმა გაუტყამა ბუდას საუბრები მომაგონა. რითი? არ გეტყვით! დაე, ცნობისმოყვარეობამ დაგხრათ!

ამ კეთილი სურვილით
და დიდი მოწიწებით
გემშვიდობებათ

ქრისტინე ლავანტი.

6.

[ქრისტინე ლავანტი გერჰარდ დეესენს]
სანკტ-შტეფანი, 10. 4. 1962

[...] მე ხომ სინამდვილეში ვერასოდეს გავიზრდები, თუმცა მრავალი გაგებით ზრდასრული კი არა, ძალიან-ძალიან მოხუციც კი ვარ. დახმარებისა და მფარველობის გარეშე ვერასოდეს გავძლებ. [...]

წერასა და საუბარს შორის ჩემთვის - ალბათ დიალექტის გამო - დიდი განსხვავებაა. წერისას სულ სხვა რამეები მბოჭავს, ვიდრე საუბრისას. [...]

ის, ვინც დიდი ტკივილი და ტანჯვა გადაიტანა, მხოლოდ ამის გამო წმინდანად ვერ ჩაითვლება, მაშინაც, თუკი მან ეს მოთმინებით აიტანა. ადამიანს ასეთ შემთხვევებში სხვა გამოსავალი არცა აქვს. გარდა ამისა, ტკივილს ყველანაირი კანონიერი და უკანონო საშუალებებით ვუმკლავდები. ჩემი ნებით ვერანაირ ტკივილზე ვერ დავთანხმდებოდი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამით ვინმე ბავშვს ავაცილებდი ტკივილს. [...]

ჩემი სისუსტე მკლავს. ღამღამობით ოდნავ ვცოცხლდები ხოლმე. ყველა ჩემი წერილი ღამითაა დაწერილი. დღისით როგორც კი ჩამოვჯდები, თვალები მეხუჭება, მტკივნეული ძალისხმევის ფასადღა ვახერხებ სხეულის ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერებას და მხოლოდ ეს ძალისხმევა მატყობინებს, რომ ცოცხალი ვარ. მაგრამ როდისმე ეს ქარიც ხომ უნდა ჩადგეს! [illegible]ინ გარეთ გასვლას შევძლებ ისე, რომ მრიგი ფლტვების ანთებისა აღარ შემეშინდეს. იქნებ მაისში, იქნებ ზაფხულში. მაშინ, შეიძლება, სხვა გუნებაზეც დავდგე, აღარ მქონდეს ასეთი მარტივი, შიშებს შორის დამწყვდეული ფიქრები.

[...] ამ წერილში წუწუნის მეტს არაფერს ვაკეთებ! [...] ეს მომაკვდინებელი დაღლილობა თითქმის ნებისმიერ ტკივილზე უფრო აუტანელია. ბატონმა ნოსაკმა ძალიან სასიამოვნო წერილი მომწერა, ვეცდები, დღესვე ვუპასუხო. სამწუხაროდ, პოეტი ჩემში უკვე მკვდარია.

---

1. თობიას (ტუვია) რიუბნერი - წარმოშობით ებრაელი მწერალი, რომელმაც 2000 წელს ქ. ინსბრუკის ბრენერ-არქივის თანამშრომლებს საჩუქრად გადასცა ქრისტინე ლავანტის 30-ზე მეტი წერილი. ლიტერატურის კვლევის ეს ცენტრი ამჟამად მუშაობს ლავანტის წერილების სრულ კომენტირებულ გამოცემაზე.
2. ლუდვიგ ფონ ფიკერი - ავსტრიელი ლიტერატორი, გამომცემელი, მრავალი ცნობილი ავტორის (მაგალითად, გეორგ თრაქლის) მეგობარი და მფარველი.
3. ერენტრაუდ მიულერი - გამომცემელი, ექიმი.
4. ავსტრიელი კომპოზიტორი გერჰარდ ლამპერსბერგი და მისი მომღერალი მეუღლე მაია 50-ან წლებში ცხოვრობდნენ კარინტიის მიწაზე მდებარე თავადთა ყოფილ რეზიდენციაში, რომელსაც "ჰანგების სასახლე" უწოდეს. ატმოსფერო აქ ხელოვნებითა და სიცოცხლის ხალისით იყო გაჟღენთილი: ცოლ-ქმარი სიამოვნებით და დიდი ხნით ღებულობდა თავისთან მუსიკოსებსა და ლიტერატორებს, მათ შორის ქრისტინე ლავანტსაც, რომელიც მათ ცნობილმა მწერალმა თომას ბერნჰარდმა გააცნო.
5. მაია ლამპერსბერგის შინაურულ-მეგობრული სახელი.
6. იგულისხმება გამომცემელი ვილანდ შმიტი, რომლის გვარსაც ლავანტი სიტყვათა თამაშისათვის იყენებს (Schmied გერმ. მჭედელს ნიშნავს) და მიანიშნებს ჩრდილოგერმანიკული მითოლოგიის პერსონაჟ მჭედელ ვილანდზე.

არჩილ ვიგოროვიანი

საუბრები ქრისტინე ლავანტთან

ქრისტინე ლავანტის შემოქმედებას, გარკვეული აღიარებისა და მნიშვნელოვანი სალიტერატურო პრემიების მიუხედავად, პოეტის სიცოცხლეში დამფასებელთა ძალზე ვიწრო წრე ჰყავდა. ის თავად ეწინააღმდეგებოდა თავისი ცხოვრების პირად სფეროში ნებისმიერ შემოჭრას და არავის უმხელდა საკუთარი შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებს. არადა, ეს იდუმალება გარკვეულწილად სწორედ ამ თავისებურებებიდან გამომდინარეობდა. მისი ლექსები მისტიკური ჩაღრმავების მდგომარეობაში ხილულისა და განცდილის სიტყვიერი ხატებია.

ადრეული ბავშვობიდანვე ქრისტინე ლავანტი ეზიარა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაშიც. მისი სოფლის ყოველდღიური ცხოვრება უმჭიდროესად იყო გადახლართული პირველადი ცოდვის, ხსნისა თუ წარწყმედის ცნებებთან. ნებისმიერი საქმიანობისას ადამიანს უცვლელად ახსოვდა, რომ მფარველებად და შემწეებად წმინდანთა და ანგელოზთა მთელი იერარქია ჰყავს.

აი, ასეთი მსოფლმხედველობით გაიზარდა ქრისტინე ლავანტი მდ. ლავანტის ხეობაში, ქ. სანკტ-შტეფანის მახლობლად მდებარე მიყრუებულ სოფელ გროს-ედლინგში, პირველი მსოფლიო ომის პერიოდის პოლიტიკური, სოციალური, სულიერი და რელიგიური კატაკლიზმებისაგან მოშორებით.

მშობლიური სოფლის გარემო ქირსტინე ლავანტისთვის ნიშნავდა გაყინულ ფორმულებად ქცეული რელიგიური რიტუალების შესრულებას, - ამას უმკაცრესად ითხოვდა მთელი მისი გარემოცვა, - ნიშნავდა ასეთსავე გაყინულ, თაობიდან თაობაში გადაცემულ შიშებსა და ცრურწმენას, ცხოველებისადმი სისასტიკეს, ოჯახის უკიდურეს სიდუხჭირეს: გოგონას, და შემდეგ ქალიშვილის სული და გონება ამ ძალებსა და ვნებებს შორის იხლიჩებოდა, მათ წინაშე უძლურად და უმწეოდ გრძნობდა თავს. მტრულ გარემოში მისთვის თბილ და საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა ოჯახი (იგი თავის რვა და-ძმასთან ერთად ერთადერთ ოთახში იზრდებოდა) და დედა, რომელიც მის ლექსებში წმინდანის მსგავს ფიგურად წარმოგვიდგება და რომელმაც შეძლო, სილატაკისა და შიმშილის მიუხედავად ბავშვობა ჯადოსნურ და ბედნიერ მოგონებად ჩაებეჭდა შვილების მეხსიერებაში. წლების შემდეგ, როდესაც ოჯახი დაიშალა, - და-ძმანი დაიფანტნენ, მშობლები კი გარდაიცვალნენ, - ქრისტინე ლავანტს დაცულობის ეს ერთადერთი ილუზიაც კი სამუდამოდ გაუქრა, სამუდამოდ დარჩა მონატრება იმ თითქმის ცხოველური სიმყუდროვისა, ბავშვობაში რომ განიცადა.

მახვილი გონება, ბავშვობაში გადატანილი მძიმე ავადმყოფობები, აუტანელი ფიზიკური ტკივილი, მუდმივი შიში, სიფრთხილე და გარემოს ავადმყოფურად მგრძნობიარე აღქმა, - ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ ლავანტი იმთავითვე ღრმად აანალიზებდა და განიცდიდა ყოველივეს, რასაც ცხოვრებისეულ გზაზე გადაეყრებოდა. პროვინციული მენტალიტეტის მოთხოვნებსა და აკრძალვებს, კეთილისა და ბოროტის ულმობელ, გაქვავებულ ცნებებს ის აღიქვამდა, როგორც საფრთხეს, რომელიც მის პიროვნებას განადგურებით ემუქრებოდა. მძიმე მატერიალურმა პირობებმა ადამიანები ერთმანეთის დარდისადმი გულგრილობას მიაჩვია: ერთადერთ მიზნად თვითგადარჩენა დაუსახა. ლავანტი კი, ფაქიზი სულის პატრონი, ხშირად ვერც კი იჯერებდა, რომ ბრძოლად ქცეული ეს სიცოცხლე, სადაც მხოლოდ ძლიერი იმარჯვებდა, მართლაც რეალობა იყო. საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი ავადმყოფობა (კანისა და ფილტვების ტუბერკულოზი, თვალისა და ყურის უმძიმესი დაავადებები), ფიზიკური სისუსტე და ტკივილები, ქალიშვილისათვის ძალზე მტკივნეული გარეგნული შეუხედაობა საკუთარი თავის რწმენას აღარ უტოვებდა: არც ადამიანური ურთიერთობებისგან მოელოდა რაიმე საიმედოს და არც რელიგიური ტრადიციისაგან, რომლის მანუგეშებელი ფორმულებისა აღარ სწამდა. ამან ქრისტინე ლავანტი პიროვნების ისეთ უმძიმეს კრიზისამდე მიიყვანა, ლამის კატასტროფით რომ დასრულდა.

საკუთარი ინიციატივით ქ. კლაგენფურტის ნერვულ დაავადებათა კლინიკაში გატარებულმა ექვსმა კვირამ ეს კრიზისი დააძლევინა. მას სურდა სულით დაავადებულ ადამიანთა მდგომარეობა შეესწავლა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თავად არ იყო სულიერად დაავადებული და რომ ეს სენი არც სამომავლოდ დემუქრებოდა. მას შემდეგ საკუთარ უმძიმეს დეპრესიებს ისე აღიქვამდა, როგორც თავის წილხვედრ ტვირთს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თვინიერად უნდა ეზიდა და ასეც იქცეოდა.

თანამედროვე ევროპულ აზროვნებაში რელიგიისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, რომელსაც პოზიტივისტურად განწყობილი ჩვენი საზოგადოება ახალ ყოფიერებით ფასეულობათა ძიებად აღიქვამს, ქრისტინე ლავანტი უყურებდა როგორც რელიგიურ და სულიერ ქაოსს, ამასთანავე მას მეოცე საუკუნის ყველაზე თვალშისაცემ ნიშნად თვლიდა. თანამედროვე ადამიანის ქცევაში პოეტი ამჩნევდა ღრმა სულიერი ცდომილების ნიშნებს, რომლებიც, მისი აზრით, ჩვენი შინაგანი ცხოვრების კატასტროფულ უმიზნობასა და უაზრობაზე მეტყველებს. სულის ამ მდგომარეობას იგი თავისი მხატვრული სურათებით, სიმბოლოებით გამოხატავდა.

ის გამუდმებით შინაგანი გაორებით ცხოვრობდა, მასში ორი საპირისპირო ძალა ეხლებოდა ერთიმეორეს: სულის ბავშვურ, დაუცველ და მფრთხალ ნაწილს სწყუროდა ის ნუგეში და შეწევნა, რომელსაც ადამიანს ტრადიციული რელიგია სთავაზობს, მისი ფხიზელი, საღი გონება კი ამ წყურვილს ცინიკური დაცინვით უმზერდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო განათლება ვერ მიიღო, დამოუკიდებლად შეისწავლიდა რელიგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურას, რის საფუძველზეც ძალზე თვითმყოფადი მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა. მისი აზრით, რელიგიური წარმოდგენა ადამიანის სულზე, როგორც ადამიანურ და ღვთიურ საწყისთა მაკავშირებელზე, მხოლოდ ამორფული სქემა იყო, რომლის მსხვრევისა და გაუფასურების მომსწრე, ყოველი თანამედროვე ადამიანის მსგავსად, თავადაც გახდა. მიუხედავად ამისა, მის მსოფლმხედველობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები დასავლურ ტრადიციულ სულიერებაში. ქრისტიანული მისტიკური ლიტერატურა, პირველ რიგში, ბიბლია, უღრმეს შთაბეჭდილებას ახდენდა ქრისტინე ლავანტზე. მისი შემოქმედების ადრეული პერიოდისათვის განმსაზღვრელი იყო ძველი აღთქმა: მკაცრი, შურისმაძიებელი, მაგრამ მიმტევებელი ღვთის ხატი; ყოფიერებითი ჭეშმარიტებანი, ადამიანს მის ზეასვლასა და დაცემაში რომ წარმოაჩენს. მეორე მხრივ, როგორც თავად ამბობდა, ახალი აღთქმის იოანეს სახარება მისთვის უცხო იყო, თითქმის უგემოვნოდაც კი მიაჩნდა: ახალაღთქმისეული მამა-ღვთის ფიგურა მასში რატომღაც მუდამ ეჭვს იწვევდა.

რაგინდ ეცადა, პოეტი მაინც ვერ გაემიჯნებოდა საზოგადოების სულიერ სფეროში მიმდინარე რეალურ პროცესებს. მის თვალწინ ხომ წარსულს ბარდებოდა სოფლის ცხოვრება თავისი ტრადიციებით, ქალაქში გადაბარგებული და-ძმების მაგალითზე ის თვალს ადევნებდა ახალ, უფრო თავისუფალ რელიგიურ თუ ზნეობრივ ნორმებს. უმძაფრესი განცდა საკუთარმა, მუდამ ღრმად მორწმუნე დედამ დაუტოვა, როცა სიკვდილის სარეცელზე მყოფმა უარი თქვა ოჯახის საერთო ლოცვაზე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ანუგეშებდა: დაღლილი ხელით ანიშნა შვილებს: "უჩემოდ ილოცეთო".

ღმერთი - ზეციური მამა, მბრძანებელი და მხსნელი; ეს ხატი სამუდამოდ დაკარგულია თანამედროვე ადამიანისათვის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღმოჩენების, პროგრესის ცნების, კოსმოსის შესახებ წარმოდგენის წყალობით, - იმ კოსმოსისა, რომელშიც ადამიანს ჯერაც ვერ განუსაზღვრავს საკუთარი ადგილი. ადამიანმა დაკარგა სულის მთლიანობისა და უკვდავების რწმენა და, აქედან გამომდინარე, დაკარგა კავშირი მარადიულთან. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარ თავს იგი აღიქვამს მსოფლიო უსასრულობაში ჩაკარგულ "მე"-დ, რომელიც სიკვდილის შემდეგ წყვეტს არსებობას. ამიტომ ის ამქვეყნიურ, ადამიანურ საზოგადოებაში ეძიებს ღვთის შემცვლელს, მოჩვენებით ღმერთს. ადამიანი მთლიანად ექცევა მატერიალურის დემონური გავლენის ქვეშ. ადამიანის სული ნაწევრდება ისეთ ცნებებად, როგორიცაა ინსტინქტები, გრძნობები, აგრესია, დეპრესიები, ტკივილები, და ბოლოს, - არაცნობიერის სფერო, რომელიც სულის უსასრულო და მოუხელთებელ მრავალშრიანობას ამტკიცებს.

მარტოსული სუბიექტი, "მე", ამ პირობებში უსასრულოდ იტანჯება, ეძებს დაკარგულ მეორე პირს, რომელთანაც დიალოგს შეძლებდა. სწორედ ეს ხდება ქრისტინე ლავანტის ლირიკაში: "მე" ეძებს "შენ"-ს, პირველი პირი ეძებს მეორეს, დიალოგის პარტნიორს, შემხვედრს, მიმართავს და მოუხმობს მას. ის შეიძლება აღმოაჩინოს ყველგან და ყველაფერში. ეს ძიება მისი შემოქმედების მთავარი შთაგონებითი ძალაა, ძიების წარუმატებლობა კი ლირიკული "მე"-ს უმძიმესი ტანჯვის მიზეზი ხდება. ადამიანი ლავანტისთვის სულისა და ხორცის წმინდა ერთობას წარმოადგენდა და ამ სიწმინდის შებღალვას ლავანტი ჩვენი დროის უდიდეს დანაშაულად და უდიდეს ტრაგედიად მიიჩნევდა, ამ ტრაგედიის გამომწვევ ბოროტ დემონად კი ფროიდი ესახებოდა. არაერთხელ უთქვამს, სულის მთლიანობის ხელყოფაში სწორედ ფროიდს ვადანაშაულებო.

ამ შინაგანი სიცარიელით ჩასახული ულრმესი შიშის განელებას ლავანტი თავის პოეზიაში კვლავაც ძველი ქრისტიანული და სხვა რელიგიებიდან გათავისებული სიმბოლოებით ცდილობს. მაგრამ ტრადიციული "მსსნელნი" და "მფარველნი" უკვე ისე დაშორდნენ თანამედროვე ადამიანს, რომ ვეღარ ანიჭებენ მას სანატრელ ნუგეშს.

ადამიანს თავად მიუძღვის ბრალი საკუთარ გარიყულობაში, მან შეგნებულად გაართულა თავისი მსოფლაღქმა და ქედმაღლობას, რწმენის დაკარგვასა და ეჭვს დაჰყვა. ერთ-ერთ წერილში ლავანტი წერს: "ჩემში რთული არაფერია - მიუხედავად იმისა, რომ ურიცხვი ვნება და სწრაფვა წარმმართავს, ან იქნებ, სწორედ ამიტომაც, - ამ ძალებს რომ თავი მისცე, საამისოდ მარტივი და სულელიც კი უნდა იყო". მიუხედავად იმისა, რომ თავი მარტივად და სულელად მიაჩნდა, მისი ფხიზელი გონება ყოველივეს ეჭვქვეშ აყენებდა. აი, რას ამბობს იგი ღვთის ძიების შესახებ: "ყველაფერი, რაც ღმერთსა და ღვთიურ სინამდვილეს ეხება, აბსოლუტურად მშრალი, ფხიზელი, მიუკერძოებელი სიტყვებით უნდა გამოიხატოს. სენტიმენტალობამ ამ სფეროში უკვე საკმაოზე მეტი ზიანი მოგვაყენა."

ამ უღვთო და ურწმუნო მდგომარეობას რომ გაუძლოს, ადამიანს თანამოსაუბრედ, შემხვედრად მხოლოდ მეორე ადამიანიღა რჩება, - ის, ვინც ამავე განსაცდელშია ჩავარდნილი: მხოლოდ თავისნაირი ბედკრულისგან თუ მიიღებს თანამედროვე ადამიანი ნუგეშსა და იმედის ნაპერწკალს: "ვიდრე ღმერთამდე მივაღწევ, ადამიანი მჭირდება," - სწერს ლავანტი ლუდვიგ ფონ ფიკერს. თავისი "მდაბიო" წარმოშობისა და სიღარიბის გამო, აგრეთვე თავისი ავადმყოფობისა და უსუსურობის გამო ადამიანებთან ურთიერთობაში მისი ჩვეული მდგომარეობა თავმდაბალი თხოვნა და შველის მოლოდინი იყო. მისი წინაპრების თაობებიც ხომ თხოვნას, თვინიერებასა და მოთმინებას იყვნენ მიჩვეულნი. ამიტომ მისი ლექსების დიდი ნაწილი ლოცვა-მუდარებს წარმოადგენს; ლუდვიგ ფონ ფიკერმა მათ "მკრეხელური ლოცვები" უწოდა.

კარგად იცნობდა პოეტი თავის მეორე - დემონურ სახესაც, გულდაგულ იცნობდა ახალ სულს, - "არაცნობიერს" თავისი ველური ინსტინქტებით, თავისი სულის ბნელ მხარეს, გამოუვალი, აუტანელი ტანჯვის უაზრობის წინააღმდეგ რომ ილაშქრებს: "ღმერთმა ყველა შედარებით მარტივი გამოსავალი ჩამირაზა. ხოლო იმ ორიდან, რომელიც კიდევ მრჩებოდა, მაშინ სწორედ დემონური ამოვირჩიე..." - წერს ის ლუდვიგ ფონ ფიკერს. სხეულებრივი სისუსტის მიუხედავად რაღაც გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებდა, სწორედ ის აძლევდა ძალას, უმძიმესი დეპრესიების დროს საკუთარი ბედი დაეწყევლა. უკანასკნელ ზღვრამდე მისული სასოწარკვეთილების წუთებში შეშლილი ხარხარით უპირისპირდებოდა ყოველივეს: ღმერთს, წმინდანებს, მთელ კოსმოსს. ამ ხარხარში იყო ამბოხი, თვითგანადგურების მაზოხისტური განცდა და მარადიული წარწყმედის აღიარება.

ვინც ახლოს იცნობდა ქრისტინე ლავანტს, უთუოდ იგრძნობდა მისი მრავალწახნაგოვანი პიროვნების თავისებურებებს. მას ჰქონდა მოზღვავებული აქტივობის პერიოდები, როცა თავის გარშემო იუმორითა და ენაწყლიანობით აოცებდა და აჯადოებდა ყველას. რამდენჯერმე ამის გამო შარლატანობაც კი დასწამეს. მაგრამ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ეს მწვერვალები, მისივე თქმით, წყვდიადში ელვის წამიერ გაკვესებას უდრიდა და იმდენ სასიცოცხლო ენერგიას ართმევდა, რასაც თავისი დღე და მოსწრება ვეღარ აღიდგენდა.

ლავანტის ლირიკის ანალიზი სხვა არაფერი უნდა იყოს, თუ არა ადამიანური წარმოსახვისა და შეგრძნებების ამომწურავი ენციკლოპედია, თავისი მწვერვალებითა და უფსკრულებით: ძაღლური ერთგულებიდან - ლუციფერულ ამბოხამდე, უმაღლესი ნეტარებიდან - აბსოლუტურ სასოწარკვეთილებამდე, სიძულვილიდან - თავდავიწყებულ სიყვარულამდე, მედიდურობიდან - თვითგანადგურებამდე. აი, რამხელა შკალა შეგვიქმნა ლავანტმა თავისი უკიდურესად განატიფებული მგრძნობიარებით, უმდიდრესი ფანტაზიით, ყველგან და ყველაში ტკივილის ამოკითხვისა და საკუთარ თავზე აღების მედიუმური უნარით. მარტოობა, როგორც შეგნებული არჩევანი, მისთვის ეგზისტენციის ერთადერთი შესაძლო სახე იყო.

ის უნიკალური სულიერი გზა, რომელიც ქრისტინე ლავანტმა გამოიარა, სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებებთან და ტრადიციებთან შეხვედრების ეტაპებს იტევს. პოეტი ამ მოძღვრებებს უშუალოდ, ტრადიციული მეცნიერული კვლევისაგან დამოუკიდებლად უღრმავდებოდა. ამგვარი ეტაპებიდან უმნიშვნელოვანესი იყო ძველი და ახალი აღთქმა, მისტიკოსთა თხზულებანი (მაისტერ ეკჰარტი), აღმოსავლური მოძღვრება რეინკარნაციის შესახებ, იოგა (თავად შინაც და საზოგადოებაშიც უყვარდა ლოტოსის პოზიციაში ჯდომა), ტიბეტური მკვდრების წიგნი, ოკულტური ლიტერატურა, მითები, ახალი დროის დასავლური მოძღვრებანი (თეოსოფია), ასევე თანამედროვე ფსიქოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენები ადამიანის სულის შესახებ.

ყოველ ახალ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხვედრას მუდამ თან ახლდა ტანჯვისა და ტკივილის ახლებური პირადი გამოცდილება, ყოველ ასეთ ეტაპს მოჰქონდა როგორც ტანჯვის, ისე ნუგეშისა და ხსნის ახალი მოაზრება. მაგრამ არც ერთ ამ მოძღვრებას არ ძალუძს თანამედროვე კრიტიკული აზროვნების მქონე ადამიანისათვის შვების მოტანა, თუკი ადამიანი საკუთარ თავში "ნაივური", გულუბრყვილო რწმენის უნარს არ აღმოაჩენს. ჩნდება კითხვა: გაგვაჩნია თუ არა კიდევ ამგვარი უნარი? შეგვიძლია კი ძველებური აზრი ჩავდოთ ხსნისა და ნუგეშის ცნებებში? სწორედ ეს კითხვა ისმის ლავანტის გვიანდელ ლექსებსა და ესეში "სიმშვიდე სულიერი სამყაროს კარია".

ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ჭეშმარიტებაა, რომ ლავანტს 1945 წლამდე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა თავის თანამედროვე, მეორე მსოფლიო ომამდელ ლიტერატურაზე. უკვე მოგვიანებით, რაინერ მარია რილკეს შემოქმედებამ შეუღო მას კარი ახალი მხატვრული ენის სამყაროში, რომლის არსებობა მანამდე ვერ წარმოედგინა. ამ აღმოჩენას პოეტმა დაუხარჯავი შემოქმედებითი ძალა დაახვედრა, რამაც საშუალება მისცა, მოქნილად და მრავალფეროვნად გამოეთქვა თავისი სატანჯველი. "რილკეს წაკითხვის შემდეგ ჩემში თითქოს ჭა ამოთხარესო: ვწერდი და ვწერდი," - იხსენებს იგი. საიდანღაც უცებ მოვიდა სრულყოფილი და ძალზე თვითმყოფადი ენა, რომლითაც იგი არამარტო შემაშფოთებელი პროდუქტიულობით, არამედ დახვეწილი პერფექციონიზმით გამოთქვამდა იმას, რასაც მანამდე მხატვრულ ფორმას ვერ ანიჭებდა. საკუთარი თავისადმი უაღრესად კრიტიკულად განწყობილმა პოეტმა არაერთხელ განაცხადა, ადრეულ პერიოდში ასობით ლექსი მაქვსო განადგურებული.

უმთავრესი, რაც ქრისტინე ლავანტს რილკესთან აახლოებს, ისაა, რომ მისი შემოქმედებაც ასევე წარმოადგენს მსოფლმხედველობას, ყოფიერების წარმოსახვას და მისი ლირიკული ფორმით გამოხატვას. მხოლოდ ასე შეიძლება იქნას გაგებული ლავანტის შემოქმედება. თითოეული ლექსის უღრმესი აზრი ბოლომდე მხოლოდ პწკარების საგულდაგულო ინტერპრეტაციის შემდეგ ხდება გასაგები, - მხოლოდ მას შემდეგ, რაც მკითხველი სხვადასხვა რელიგიიდან ნასესხები სიმბოლოების მნიშვნელობას ჩასწვდება. შესაბამისად, უმთავრესი განსხვავება რილკესა და ლავანტის პიროვნებებს შორის საკუთარი შემოქმედებისადმი მათივე დამოკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულებაა. რილკე თავს შეგნებულად აცხადებდა პოეტად, გარედან რომ ადევნებს თვალს ცხოვრებას და ხოტბას ასხამს მას, მიუხედავად მისი არასრულყოფილებისა. რილკე სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა წერას. სიკვდილი მისთვის სიცოცხლის მეორე მხარეა, ჩვენდამი ზურგშექცეული, პოეტის მისია კი სწორედ სიცოცხლისა და სიკვდილის ერთიანობის დანახვა და განდიდებაა. ორფევსის ლირიკული სახე რილკეს შემოქმედებაში ამგვარი შემოქმედებითი აქტის სრულყოფას გამოხატავს.

ქრისტინე ლავანტმა საკუთარ ლირიკაში ვერ ჰპოვა შემოქმედებითი სრულყოფა. სიცოცხლის ბოლოს იგი შორდება საკუთარ შემოქმედებას, შეგნებულად ამბობს უარს მასზე, როგორც თვითგადარჩენის საშუალებაზე. ამ მომენტის წვდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი მის შეგნებულ დუმილს წინამორბედი აქტიური შემოქმედების ორგანულ გაგრძელებად დავინახავთ. 1962 წელს იგი გერჰარგ დეესენს სწერს: "...საერთოდ, ბოლო დროს, მეუხერხულება კიდეც ლექსების წერა. უნამუსობად მიმაჩნია... აი, ჯანმრთელი რომ ვიყო, 6 შვილი მყავდეს და მათ გამოსაკვებად შრომა შემეძლოს - ცხოვრებაც ამას ერქმეოდა! ჩემი შემოქმედება კი სხვა არაფერია, თუ არა დასახიჩრებული ცხოვრება, - საზარელი ცოდვა სულის წინაშე."

საზოგადოების მიერ მისი შემოქმედების აღიარება არ აკმაყოფილებდა, არ მიაჩნდა საკუთარი მიწიერი არსებობის გამართლებად. ის სიკვდილამდე განიცდიდა საკუთარ თავში ჭიდილს, ჭიდილს გარე და შიდა ძალებთან, რომლებიც თვითგანადგურებისაკენ უბიძგებდნენ. ამ ბრძოლაში მეგობრებად, ძმებად და შემწეებად, იმედის თუ უსასოობის ნიშნებად ცხოველები, მცენარეები, ქვები, მთვარე, ვარსკვლავები ევლინებოდნენ, მათთან მითოსურ ერთიანობას განიცდიდა. ცოცხალ და მკვდარ ბუნებასთან ამგვარი დაძმობილება გამოძახილს პოულობს თანამედროვე მეცნიერებაში, რომელიც სიცოცხლის "წინარე მატერიიდან" წარმოშობაზე ლაპარაკობს. ბედისწერისაგან ნაბოძები ის მისტიური ალღო, რომლითაც ლავანტი ადამიანური ყოფიერების ძირეულ ფესვებს ჭვრეტდა, შეაგრძნობინებდა მას ტკივილის პოეზიად ქცევის ამაოებას, უძლიერებდა სწრაფვას იმ უბრალო, პრიმიტიული, "კრეატურული" არსებობისაკენ, რომელიც წარმომეული ჰქონდა: ეს იქნებოდა მარტივი, ქმედითუნარიანი ადამიანის არსებობა, - თითქმის თავდავიწყებული, ირაციონალური, უპიროვნო, კოსმოსთან ჰარმონიული შერწყმა, მარადისობის ნაწილად ყოფნა. ამგვარი არსებობის წარმოდგენა ლავანტში რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა შემოქმედებით პროცესს და მისი გაქრობის მიზეზიც კი გახდა.

უმძიმესი დეპრესიების დროს მისი ცნობიერება ალბათ ტანჯვის ისეთ ზღვარს აღწევდა, რომლის გამოსახატად შემოქმედება უძლური იყო; ბოლო წლებში დეპრესიებმა იმატა, რასაც ლავანტის სამი დის გარდაცვალებამ შეუწყო ხელი. ერთ-ერთი დის სიკვდილში ლავანტი ნაწილობრივ თავსაც იდანაშაულებდა, რადგან დროულად ვერ მოახერხა მატერიალური დახმარების გაწევა. სისტემატურ უძილობასა და მძიმე ტკივილებს მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების საშუალებით უმკლავდებოდა. რამდენჯერმე იმყოფებოდა კლინიკაში, რამაც ყოველ ჯერზე ძალიან ხანმოკლე შვება მიანიჭა. გარდაცვალებამდე ოთხი თვით ადრე ლავანტმა თავის მკურნალ ექიმსა და ახლო მეგობარს, ოტო სკრინცის მისწერა: "თავის მოკვლას არ ვაპირებ, - იმაზე მეტს რას დავუშავებ საკუთარ თავს, რაც კოსმიურმა ძალებმა მიქნეს და რაც ჩემში საათივით აწყობილად მოქმედებს. ტეიარ დე შარდენი "კოსმიური განაჩენის" ("kosmisches Ur-Teil") შესახებ საუბრობდა. ეს ძალზე უმოწყალო სიტყვაა. მაგრამ განა ყოველივე ბრძნული და სამართლიანი უმოწყალო არაა?.. და მაინც, ამ ყველაფერში ნუგეშის უწმინდესი ძაფია ჩაქსოვილი, სხვანაირად ხომ თქვენ ვერ გაგიცნობდით..."

1978 წ.

იოკან ზგრუბი

შემოქმედების პრობლემატიკა ქრისტინე ლავანტის გვიანდელ ლირიკაში

ქრისტინე ლავანტის ლირიკის კანონზომიერ და დამსახურებულ რეცეპციას (მკითხველი საზოგადოების მიერ ათვისებას) დღესდღეობით ორი სირთულე ახლავს თან: პირველი - ესაა თანამედროვე ლიტერატურას მიჩვეული მკითხველისათვის უცხო სტილი, რომელსაც "კონვენციურს" უწოდებენ: ის პირობითი ენა, რომლითაც კათოლიკური ტრადიცია მეტყველებს. არანაკლებ დაბრკოლებას წარმოადგენს მეორე მომენტიც: ის მძლავრი ლიტერატურული გავლენა, რომელიც ლავანტის პირველ ლირიკულ კრებულზე ("არშემდგარი სიყვარული" - "Die unfollendete Liebe", 1949 წ.) რ. მ. რილკეს ლირიკამ მოახდინა. ლიტერატურულმა კრიტიკამ ეს გავლენა მაშინვე შენიშნა და მისგან გამომდინარე მცდარად განიწყო პოეტის მომდევნო, უკვე სრულებით ორიგინალური კრებულებისადმი. მიუხედავად ამ მომენტებისა, ჩემი რწმენით, ლავანტის შთამბეჭდავი და თვითმყოფადი შემოქმედება დროთა განმავლობაში გადასძლევს ყოველგვარ გაუგებრობას და დამსახურებულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე ლიტერატურაში.

დღეისათვის უკვე ცხადია, რომ ლავანტის რთული და მრავალმხრივი მეტაფორიკისა და ხატოვანების წვდომას ფორმის ძალზე ნატიფი შეგრძნება და ალღო სჭირდება. თავისი ფორმითა და პრობლემატიკით ლავანტის მხატვრული სამყარო არამხოლოდ რილკეს, არამედ - რაც აქამდე ყურადღების გარეშე რჩებოდა - გეორგ თრაქლის ლირიკიდანაც გამომდინარეობს.

კვლევისას აუცილებელია გავმიჯნოთ ერთურთისაგან ლავანტის შემოქმედების "შუა" და გვიანი პერიოდები - ამ მოშენტის გააზრებაში დაგვეხმარება მკვლევარ გრეტე ლუბე-გროტუესის მოსაზრებები:

"ლავანტის ლირიკაში ვხვდებით საკმაოდ მარტივი სიტყვების შეზღუდულ მარაგს, მუდამ ახალ, არსებითად უსასრულო კომბინაციებში გამოყენებულს. განსხვავებულ გარემოცვაში ამა თუ იმ სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს კომპოზიტების, შედგენილი სიტყვების მაგალითზე ჩანს, მაგალითად: Hungersterne, Sternenbaum, Sonnenbaum, Sonnenspindel, Herzrad, Radgebet (შიმშილის ვარსკვლავები, ვარსკვლავთა ხე, მზის ხე, მზის ჯარა, გულის ბორბალი, ბორბლის ლოცვა/ბორბალზე წარმოთქმული ლოცვა) და სხვ. ასობით ამგვარი კომბინაცია-ნეოლოგიზმი ქმნის შთაბეჭდილებას იმისა, რომ ენობრივი საუნჯის თითოეული ელემენტი სხვებთან მიმართებაში სრულიად ახალ აზრსა და შინაარსს იძენს. ღრმა ანალიზის გარეშე ლექსიკონის შეზღუდულობა შეიძლება ვერც შეამჩნიო, იმდენად უსაზღვროა მისი გამოყენების ვარიაციები".

ციტირებული მოსაზრებანი სამართლიანია როგორც შუა პერიოდის კრებულისათვის "ჯარა მთვარეში" ("Spindel im Mond" 1959 წ.), ისე უფრო გვიანი კრებულისათვის "ფარშევანგის ყვირილი" ("Der Pfauenschrei", 1962 წ.). მაგრამ, თუკი შუა პერიოდის ლექსებში შემოქმედებითი პროცესი სპონტანური სურათხატებითაა თემატიზებული, გვიან პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია მისი დანანევრებისა სხვადასხვა, ერთმანეთთან ხშირად წინააღმდეგობაში მყოფ აზრობრივ ერთეულებად. შეინიშნება სწრაფვა ისეთი პოეტოლოგიური ლირიკისაკენ, რომლის ფარგლებშიც ლირიკული და რეალური "მე" ერთურთს უახლოვდება, ანდა ავტორი იძულებული ხდება, საერთოდ ამოიღოს ტექსტიდან ლირიკული "მე" მისი გადამეტებული ემპირიულობის გამო და მიმართოს ისეთ მოვლენას, რომელსაც ფსიქოლოგიაში პროექცია ჰქვია.

შემოქმედებითი აქტის თემატიზაცია და მიდრეკილება პოეტოლოგიური ხატოვანებისაკენ (თვით კრებულების სათაურები "ჯარა მთვარეში" და "ფარშევანგის ყივილი" პოეტოლოგიურ შინაარსს ატარებს) ასახავს, - ისევე, როგორც რილკესთან, - მიმართებას შემოქმედებით ხედვასა და ავტორის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციას შორის. ესაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცდელობა ზოგადად მხატვრული შემოქმედების ლეგიტიმაციისა. ამასთან, ეს მოვლენა ორივე პოეტთან ყოფიერებითი და შემოქმედებითი კრიზისის პერიოდებში იჩენს თავს.

ადრეული პერიოდიდან მოყოლებული "გლახის ფიალის" ("Die Bettlerschale", 1956 წ.) ჩათვლით ლავანტთან დომინირებს შემოქმედებითი პროცესის ის ხედვა, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ქრისტოლოგიურ-იდეალისტური. ამ პერიოდის ერთ-ერთ ლექსში ("Hinnfollig starre ich ins Rad der Zeit□", კრებული "გლახის ფიალა") პოეზია განსაზღვრულია როგორც "სურათთა დამწერლობა/პიქტოგრამა, რომელიც ყველაფერს უწყის" ("die Bilderschrift, die alles weiss"). ამ ლექსში პოეზია ჩაენაცვლება თვით ბუნებას. ის ესთეტიკური პრინციპი, ჯერ კიდევ სიმბოლიზმშიც რომ მოქმედებდა, კითხვის ქვეშ აყენებს სუბიექტ-ობიექტის იდეალისტურ ურთიერთმიმართებას, რადგანაც აქ სუბიექტურად აღქმული ისედაც იძლევა ობიექტურად, უფრო სწორად, ინტერსუბიექტურად აღქმულის ანუ ჭეშმარიტების გარანტიას.

ზიგფრიდ შმიტი თავის წერილში "ვიზიტი ქრისტინე ლავანტთან" ასე წერს: "სხვა ლირიკოსთა მსგავსად, მასაც უამრავი უვარგისი ლექსი აქვს დაწერილი, მაგრამ მისი წარმატებული ლექსები ერთ რამეს ცხადჰყოფს: რათა ნამდვილი ლექსი დაიბადოს, აუცილებელია უკიდურეს ზღვრამდე დაძაბული განცდა უშუალოდ გარდაისახოს მხატვრულ სიტყვად. ჩვენი საუბრისას ქრისტინე ლავანტმა მიამბო იმის შესახებ, თუ რა ძალისხმევა სჭირდება მას თავისი "ხილვების" ცხად სურათებად გარდასაქმნელად; თუ რა რთულია შეინარჩუნო ცნობიერსა და უცხო რიტმში მროკავ არაცნობიერს შორის ის ბალანსი, რომელიც განცდილის სიტყვად ქცევას შეგაძლებინებს; მითხრა, რომ წერის მომენტში გონება ერწყმის გულს; რომ მარტივი სიტყვები - ვთქვათ: ძაღლი, ხე, მთვარე, მამალი, მთა, ბაღი - განსხვავებულ გარემოცვაში იცვლიან შინაარსს."

ამ მონაკვეთის ციტირება იმიტომ დაგვჭირდა, რომ მასში ლავანტისეული შემოქმედებითი პროცესის არტისტულ-რაციონალურ კომპონენტებს ესმევა ხაზი. თავად პოეტის სიტყვებით, მისი ლექსების უმეტესობა ზმანებების, ვიზიონების გამოცდილებას ეყრდნობა. თეოდორ ადორნიოს თეზისისა არ იყოს, "თითოეულ პოეტურ ქმნილებაში ჭეშმარიტება ზუსტად იმდენია, რამდენადაც ობიექტურია იგი საკუთარი საიდუმლოს გამოაშკარავებისას". მოცემულ პრობლემატიკასთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული სინამდვილე სხვა არაფერია, თუ არა არაცნობიერის მანიფესტაცია, განცდა სოციალური გარემოსაგან ტრაგიკული გარიყულობისა, რომელსაც ლირიკული "მე" ვერ უმკლავდება. ამასთან ტრაგიკულობა ამძაფრებს აღქმის უნარს. ტექსტის ფორმალური ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გააზრება, რომ ამგვარი ლექსები ორშრიანია, ისევე, როგორც აუქტორიალური თხრობა, რომელიც ზოგჯერ გვაქვს პროზაულ ტექსტებში, ანდა თამაში თამაშში, რომელიც ზოგჯერ სცენაზე ხორციელდება. პოეტოლოგიური ლექსის სპეციფიკურ კომუნიკაციურ სიტუაციას ართულებს ისიც, რომ (როგორც ეს "განცდილი მეტყველების" დროს ხდება) "ობიექტურ-ენობრივი" დონე (ანუ სიმბოლიკა) ნაწილობრივ ფარავს "მეტაენობრივ", ანუ საკუთრივ პოეტოლოგიურ დონეს, რომელზედაც ხდება ლირიკული "მე"-ს დაკავშირება სიმბოლურ დონესთან. ამის მიზეზი მათი ლექსიკური მსგავსებაა.

შევეცადოთ "პოეტოლოგიური ლექსის" ცნების დაზუსტებას. ჩვეულებრივ ამ ცნებით განისაზღვრება ფიქციური, მხატვრული ტექსტი, რომელშიც ვხვდებით რეფლექსიას პოეტის შემოქმედებით პროცესზე ან, უფრო ზუსტად, ლიტერატურის ფუნქციებსა და შესაძლებლობებზე და სოციალურ გარემოცვასთან პოეტის მიმართებაზე. ამგვარი ლექსების აღსანიშნად ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა "იმანენტური პოეტიკის" ცნება. ასეთი ლექსია რ. მ. რილკეს "შემობრუნება" ("Wendung"), რომელშიც პოეტი თავისი შემოქმედების ახალ ეტაპს, ახალ კონცეფციას და, რაც მთავარია, ახალ მსოფლმხედველობას წარმოგვიდგენს.

ლავანტის ჩემს მიერ ნაგულისხმევ ლექსებში ხდება თვით ამ ლექსების თემატიზაცია, - მათი შესაძლებლობებისა და მათი "უუნარობისა", შექმნან მხატვრული სინამდვილე თავისი მეტაფორიკითა და ფილოსოფიით. "პოეტოლოგიური ლექსის" იმ ორი ტიპის გასამიჯნად, რილკესა და ლავანტის მაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითზე რომ წარმოვადგინეთ, ალბათ სწორი იქნება, პირველი განვსაზღვროთ ტერმინით "პროგრამული", მეორეს კი "ავტოპოეტოლოგიური" ვუწოდოთ. ორივე ტიპს საერთო ისა აქვს, რომ, - სულ ერთია, პოეტის მთელ შემოქმედებას ეხება მისი რეფლექსია თუ ცალკეულ ლექსს, - ტექსტი ნებისმიერ შემთხვევაში ორ დონედ, ორ შრედ იყოფა. რილკეს "შემობრუნებაში" ერთი დონიდან მეორეზე გადასვლას გრამატიკული დროების მონაცვლეობა ცხადჰყოფს. უკან მოტოვებული ეტაპი წარსულ დროშია გადმოცემული, ახალს კი ახლანდელი დრო შეესაბამება. მაგრამ, ლავანტისგან განსხვავებით, რილკესთან გვაქვს საკუთრივ ვერსიფიცირებული პოეტიკა. მიუხედავად ამისა, ორივე ავტორთან საქმე უეჭველად ფიქციასთან გვაქვს, თუმცა ლავანტთან ფიქცია რეალობასთან აბსოლუტურად ღია, გახსნილ მიმართებაშია. ამ ღიაობის გარანტიას იძლევა ლექსის შინაარსობრივ პლასტში ლირიკული "მე"-ს მუდმივი - ხან პასიური, ხანაც აქტიური - მონაწილეობა. ამასთანავე ლავანტთან "მე"-ს მონოლითურობა ხშირად იშლება, ქუცმაცდება, ისე, რომ დანაწევრებული "მე"-ს პოეტიკაზეც კი შეიძლება ლაპარაკი.

იმ დიალექტიკურ ჭიდილს, რომლის ასპარეზადაც ძალზე ხშირად იქცევა ლავანტის ლექსი, და რომელიც ეხმარება ლირიკულ "მე"-ს საკუთარი თავის პოვნაში, მოაზრებასა და დამკვიდრებაში, საუკეთესოდ გამოხატავს თვით ლავანტის გამონათქვამი: "ლექსმა შენში აუცილებლად რაღაც უნდა შეცვალოს, სხვანაირად მის დაწერას აზრი არა აქვს".

კრებულ "მზის ფრინველის" ("Sonnenvogel", 1960 წ.) ერთ-ერთ ლექსში ვხვდებით პოეტური და ყოფიერებითი მსოფლმხედველობის ურთიერთშეპირისპირებას. აი, ეს ლექსი:

შეუჩერებლად ისმის ხევიდან
გომბეშოს გაუსაძლისი ყვირილი.
გვიანი მთვარე და ჩემი გული
ოქტომბრის ამ ღამით ემსგავსებიან
კრაზანის ბუდეს, ორად გაპობილს.
ფანჯარაში უხმოდ მისრიალებენ
შავი ხომალდები აჩქარებულ ფრინველთა
და გვაფრთხობენ მე და ღამეულ ობობას.
შუბლსა და თვალებზე მაფარია
ძილის ბადე, სანახევროდ მოქსოვილი.
მალე დამამძიმებს ყველა ჩემი შიში,
რადგან მგონია, ვერ ავიტან ნიშანს
ორად გაპობილი კრაზანის ბუდისა,
რომელსაც ქარი ხვეტავს საბძლის
სახურავიდან.

ამ ლექსის ანალიზი სურათთა სიმბოლიკას უნდა დაეყრდნოს. "კრაზანის ბუდის" სურათხატი მეორდება არამარტო ამ ლექსში, არამედ ლავანტის მთელ ლირიკაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ავტორი მასში გრძნობათა სფეროზე აღმატებული გონების სფეროს აღმნიშვნელ შინაარსს დებს. ლექსის დასაწყისში ეს სურათი შედარებულია "მთვარესა" და "გულთან" და განსაზღვრავს მათ. ეს, თავის მხრივ, ის ორი მეტაფორაა, რომელიც ლავანტთან, უფრო ხშირად, შესაბამისად გონით და სულიერ სფეროებს გამოხატავს, ამასთან მთვარეს უარყოფითი დატვირთვა აქვს, იგი გულისხმობს, რომ გონებას რაღაც ხიფათი ემუქრება, ხოლო გული კი (როგორც "გულისმიერი" ან "შუალედური ცნობიერება") პოზიტიურ დატვირთვას ატარებს. გარდა ამისა, ამ კონტექსტიდან გამომდინარე, ორივეს პოეტოლოგიური ფუნქციაც ეკისრება. მოცემულ კონტექსტში ეს ფუნქცია "კრაზანის ბუდის" ხატთან წინააღმდეგობაში მოდის, რაც მეტაფორულად გვიხატავს პოეტურ შემოქმედებას, როგორც გონებისა და გრძნობის რთულ, წინააღმდეგობრივ ურთიერთმიმართებას. ორად გაპობილი, გადახსნილი კრაზანის ბუდე გამოხატავს არამხოლოდ მარცხს, - ინტელექტის მიერ გრძნობების წარმართვისა, რაც, ამავე დროს, შემოქმედების მარცხსაც ნიშნავს, არამედ, პირველ რიგში, გვიჩვენებს "მე"-ს შიზოფრენულ მდგომარეობას.

ლექსის ღია ფინალი პოეტის რეალურ ყოფიერებით კრიზისს გამოხატავს. ლექსში ასახული თითოეული ბუნებრივი მოვლენა გონით-სულიერ მდგომარეობას აღნიშნავს, მეტიც: თითოეული ეს მოვლენა საბედისწერო, ავბედითი ნიშნის როლს თამაშობს. ავტორი, მართალია, მხოლოდ "ორად გაპობილი კრაზანის ბუდის" ნიშანს ახსენებს, მაგრამ რეალობასთან კავშირის რღვევის ამ სიტუაციაში ყოველი საგანი და მოვლენა ნიშნის შინაარსით იტვირთება. ჯერ კიდევ კრებულ "არშემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგარი სიყვარულის“ ლექსში “მარტის საღამო“, ნიშნისეულობა, როგორც ავბედითი წინათგრძნობა, მთავარ სტილურ მახასიათებელს წარმოადგენდა. ამ ადრეულ ლექსში ეს მოვლენა ინდივიდის საზოგადოებასთან პრობლემური ურთიერთობის შედეგია. ჩვენს მიერ განხილულ ლექსში “გომბეშოს ყვირილი“ და “შავ ხომალდთა - აჩქარებულ ფრინველთა“ უხმო მოძრაობა რეალობის დაკარგვისა და ამით გამოწვეული შიშის დაშიფრული მანიფესტაციებია. ხდება “მე“-ს დისოციაცია, დაშლა ისეთ კომპონენტებად, როგორიცაა “კრაზანის ბუდე“, “მთვარე“ და “ღამეული ობობა“, - ესენი სხვა არაფერია, თუ არა ინტეგრალური პიროვნების ნამსხვრევები, ერთურთთან დაუკავშირებელ ცალკეულ ასპექტებს რომ მოიცავს. ეს სახეები როგორც ფიქტიური, ისე რეალური “მე“-ს პოეტოლოგიურ მეტაფორებად გვევლინება. კლასიციზმისა და რომანტიზმის ტრადიციისათვის დამახასიათებელი ტოტალურობის სიმბოლიკა უკან იხევს სამყაროსეული წესრიგის მეტაფორული ნგრევის წინაშე, პიროვნების იმ ანალიზის წინაშე, რომელიც ისტორიულმა განვითარებამ მოამზადა, მახმა და ფროიდმა კი პრაქტიკაში განახორციელეს.

“მე“-ს ქრობა, როგორც რწმენის კრიზისისა და ყოფიერებითი კრიზისის შედეგი, თავს იჩენს პოეტთან როგორც “მე“-ს სხვადასხვა ასპექტების პერსონიფიკაციის, ასევე გაუცხოების სახითაც. ლექსში “შენ, ჩემთვის ჩარაზული ბაგით...“ (“Du, mit, fßr mich, verriegeltem Mund□”, “ფარშევანგის ყივილი“) “მე“ შეიგრძნობს საკუთარ თავს “კარგა ხნის წინათ დაწყევლილ ძაღლად“, “გულის თათით რომ ფხაკუნობს“. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ლექსში (“როცა შენს საყვარელ თვალებში...“ - “Wenn sich in deinen so geliebten Augen□”) კი ვკითხულობთ: “მსურს, რომ ჩემმა გამშრალმა ბაგემ უცხო ხმით დაწყევლოს ჩემივე სხეული, და ამის შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს წკმუტუნს მდაბალი ქმნილებისა, რომელმაც იცის, რომ მიატოვეს, და მაინც იმედი აქვს რაღაცისა, “ქრისტეს“ მოუხმობს და კაცს გულისხმობს...“ ეს მომენტი საუკეთესოდ ასახავს ადამიანის ღმერთთან ტრადიციული მიმართების დაკარგვის თუ დამახინჯების ტრაგიზმს და თანამედროვე ლირიკის ერთ-ერთ მთავარ სტილურ მახასიათებლად გვევლინება. მას ვხვდებით, მაგალითად, პაულ ცელანთანაც: “შინდვრის თაგვის ხმით, წრიპინით მიმართავ ზეცას...“ (Paul Celan: Schneepart. Frankfurt a. M. 1971, S. 18).

როცა სიმბოლო და შიფრი რეალურად განცდილ და იდეალურ სამყაროებს შორის კავშირს უზრუნველყოფს, მაშინ რელიგიური კრიზისი კანონზომიერად გადაიზრდება რეალობის ტოტალურ ქრობაში და თვით ღვთაებრივი აბსოლუტიც კი ავბედითი ნიშნის სახეს იღებს.

“ორად გაპობილი კრაზანის ბუდე“ ავტორს ლექსში თავდაპირველად შედარების სახით შემოჰყავს, ლექსის ბოლოს კი ახდენს ამ ხატის ემფატიკურ რეალიზებას. ეს ტრადიციულად გაგებული მეტაფორიზაციის ინვერსიაა (ანუ შემობრუნება, “გაუკუღმართება“). გარდა ამისა, ხატის აქტუალიზაცია ანგრევს კატეგორიალურ სხვაობას რეალობასა და ფიქციას შორის. რეალობა იჭრება ფიქტიურ სინამდვილეში, რასაც “მე“ ვეღარ უმკლავდება.

თუმცა ლავანტის ლექსების უმრავლესობას შეიძლება ბიოგრაფიული ვუწოდოთ, მაინც მცდარი იქნება იმის მტკიცება, თითქოს ისინი რეალობის სტენოგრამებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფსიქოგრამებს წარმოადგენდეს. უფრო სწორი იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ამ ლექსებში კონფლიქტური ფსიქიკური სიტუაციების ასახვა და მათი ესთეტიკურ-შემოქმედებითი დაძლევა ხდება.

1978 წ.

ავადმყოფობა - თუ...?

ჰანს ჰაიდერის ინტერვიუ ქრისტინე ლავანტის ექიმთან და მეგობართან, ოტო სპრინცისთან

- რას იტყვით იმ 25 ლექსის თაობაზე, რომლებიც ქრისტინე ლავანტმა მოგიძღვნათ?

ო.ს.: - მე ისინი ლავანტის დისშვილმა და მემკვიდრემ, არმინ ვიგოჩნიგმა გადმომცა. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მის ხელნაწერებს შორის იპოვეს საქაღალდე, რომელსაც "ო.ს." ეწერა. ვიგოჩნიგმა მითხრა: "აი, ეს ვიოპვნეო. ლავანტი 10 წლის მანძილზე ჩემი პაციენტი იყო, ბოლო წლებში იგი ცდილობდა, დაევიწყა, რომ მე ექიმი ვარ და წინა პლანზე ადამიანური ურთიერთობა გამოეტანა. ამით, ვგონებ, იმ დისტანციის მოხსნა სურდა, რომელიც გარდუვალად არსებობს ექიმსა და პაციენტს შორის. ამ ლექსების მრავალი ადგილი თუმცა თავშეკავებულ და გაუბედავ, მაგრამ მაინც აშკარა სიყვარულის ახსნას შეიცავს. მას ექიმის კი არა, ადამიანის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, მაგრამ, ამავე დროს, გამუდმებით ეჭვობდა: "არა, ამ მანძილს ვერ გადვლახავ... მე მას მხოლოდ ვაწუხებ... რაში ვჭირდები?..."

ბოლო წლებში ისევ და ისევ ვარწმუნებდი, არ შეეწყვიტა წერა... ამას ფრთხილად ვაკეთებდი, რადგან შეგონება - გამხნევებას დეპრესიის დროს ხშირად საპირისპირო, ე.ი. უარყოფითი შედეგი მოსდევს. ის სასოწარკვეთილი მპასუხობდა: წერა არ შემიძლია, ეს მხარე ჩემში მოკვდაო. და თურმე მაინც წერდა. მე შევეცადე გამომერკვია, თუ როგორ მიმდინარეობდა მასთან საერთოდ წერის პროცესი. ლავანტმა მითხრა: თუკი ვწერ, ეს დაუფიქრებლად ხდება, ვწერ ერთბაშად და შემდეგ თითქმის არასოდეს ვაკეთებ ჩასწორებებსო.

- როდის და რა პირობებში მოგიხდათ ქრისტინე ლავანტის გაცნობა?

- ვიდრე პირადად გავიცნობდი, ხშირად დავსწრებივარ კულტურულ ღონისძიებებს, სადაც ის ლექსებს კითხულობდა. შემდეგ ერთი ჩემი პაციენტის რეკომენდაციით მომმართა როგორც ექიმს. ლავანტი დეპრესიით იყო დაავადებული. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რათა ის საავადმყოფოში მკურნალობაზე დამეთანხმებინა. ჩვენი ურთიერთობის მანძილზე ლავანტს არაერთხელ უკითხავს მუდარით: "საგიჟეთში ხომ არ მომთავსებთ? ხომ დამიცავთ ამისგან?" პანიკურად ეშინოდა საგიჟეთში მოხვედრისა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი თითქმის გამუდმებით იმყოფებოდა დეპრესიულ მდგომარეობაში, დროდადრო უკეთ იყო, მაგრამ მისი დაავადება, სამწუხაროდ, ქრონიკული დეპრესიის შედარებით იშვიათ შემთხვევებს ეკუთვნოდა.

საავადმყოფოში მე მისი ფსიქიატრი კი არა, მკურნალი ექიმი ვიყავი. კლინიკურ პირობებში მოთავსებით ჩვენ უფრო მისი საერთო ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გვსურდა: მას ძლიერ აკლდა წესიერი კვება, გარდა ამისა, თავისი დაავადების მთავარ სიმპტომებს - უძილობასა და უმადობას- იგი იმით ებრძოდა, რომ უზომო რაოდენობით ეწეოდა, საშინლად ბევრ ჩაის სვამდა და დასაძინებელ წამლებს იყო შეჩვეული, რამაც გამანადგურებლად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. ასე რომ, დეპრესიის საწინააღმდეგო თერაპიის გარდა ვცდილობდით, უბრალოდ ფეხზე დაგვეყენებინა. მართლაც, მნიშვნელოვნად დაისვენა და მოიკეთა იმ ხნის განმავლობაში.

იმ პერიოდში ლავანტი თავისი აღიარების მწვერვალზე იდგა, მაგრამ პოეტის სახელი მას უფრო თრგუნავდა, ვიდრე ახარებდა. მხატვარ ვერნერ ბერგთან დაცილების შემდეგ იგი თავს ძალზე მარტოსულად გრძნობდა. ჩემთან მიმართებაში მან პირველად შეძლო ამ სიმარტოვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკივნეული ზღვარის გადალახვა. მაგრამ ამან გარკვეულ მომენტში ხელი შეუშალა მკურნალობას. ლავანტი ცდილობდა ჩემთვის პაციენტი კი არა, ადამიანი ყოფილიყო. ექიმების მიმართ საერთოდ ოდნავ სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდა. ასევე ეჭვით შეჰყურებდა ნებისმიერ ადამიანს, ვინც ჯერ არ "გამოეცადა", ვისაც მისი ნდობა ჯერ არ დაებსახურებინა.

– თქვენ მას დაეხმარეთ 1964 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კლაგენფურტში, მრავალსართულიანი სახლის მეექვსე სართულზე კეთილმოწყობილ ბინაში გადასულიყო, მაგრამ იქ დიდხანს არ უცხოვრია.

– ეს ჩემთვის, როგორც ფსიქიატრისთვის, საინტერესო, მაგრამ წარუმატებელი ექსპერიმენტი აღმოჩნდა. ჩვენ, მის მეგობრებს, ყველას გვეგონა, რომ მდინარე ლავანტის ხეობაში, მიყრუებულ მანსარდაში ცხოვრების შემდეგ ხალხმრავალ გარემოში მოხვედრა მას გამოაცოცხლებდა; კლაგენფურტში მას მართლაც ბევრი ახლობელი ადამიანი ჰყავდა, მათ შორის ბევრი მზატვარი და ლიტერატორიც იყო. გვეგონა, მათ წრეში თავს უკეთ იგრძნობდა.

მრავალსართულიან სახლში მას საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდა. მაგრამ მეგობრებთან ნებისმიერი შეხება, თითოეული სატელეფონო ზარი მასზე შემზარავად მოქმედებდა. აქ ის თავს კიდევ უფრო უცხოდ და გარიყულად გრძნობდა, ვიდრე თავის შეჩვეულ სოფლურ გარემოში. მან ვერავისთან მოახერხა ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობის დამყარება. ასე რომ, კვლავ მშობლიურ სოფელში დაბრუნება არჩია. მე საშუალოდ თვეში ერთხელ ან ორჯერ ვნახულობდი მას სანკტ-შტეფანში, სადაც იგი ორ ოთახს ქირაობდა. ხშირად კუთხეში ტახტზე იჯდა ფეხმორთხმით, უცნაურ მოსახსხამში გახვეული, კაპიშონი თვალებზე ჰქონდა ჩამოფარებული: ძალიან სუსტი თვალები ჰქონდა და შუქს ვერ იტანდა. ვინ იცის, რამდენი ღამე გაუტარებია, აი, ასეთ პოზაში, უძილოდ, და სიგარეტით, ჩაითა და კეკსით შეუქცევია თავი. დიასახლისს რომ რეგულარულად არ შეეთავაზეინა მისთვის საჭმელი – "ჰა, ქრისტინე, შეჭამე რამე!" – ალბათ შიმშილით მოკვდებოდა.

მე მისი ერთადერთი სტუმარი არ ვყოფილვარ. მაგრამ ზოგიერთ ვიზიტს უარყოფთად ხვდებოდა. არაერთხელ უთქვამს, ესა და ეს იყო ჩემთანო, თან დაიჩივლებდა ხოლმე: "ვეღარ ვიტან ამ ჭკვიანურ საუბრებს, სულ ლიტერატურაზე მელაპარაკებიანო!" ზოგჯერ სთხოვდნენ რაიმე ახალი დაეწერა, რასაც ის გამაღიზიანებელ ძალდატანებად აღიქვამდა. მისი დავრდომილი სულისათვის ამგვარი ზეწოლა გამანადგურებელი იყო. მე კი უფრო მსმენელი ვიყავი, ჩემთვის შეეძლო გული გადაეხსნა. მე მისი მდგომარეობა მესმოდა: დეპრესიით დაავადებულთათვის ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა: "თავი ხელში აიყვანე!" და "რამე გააკეთე!" მხოლოდ ზიანის მომტანია. დეპრესია ხომ სნორედ ესაა – სრული უძრაობა და მოქმედების უუნარობა.

– 1978 წ. გამოცემულ ქრისტინე ლავანტზე მოგონებათა კრებულში ვოლფგანგ ეგერგის კაპელანი იოჰან პეტაუერი აღიარებს: "იძულებული ვიყავი, მისთვის პირში მეთქვა, რომ იგი აგრესიული და ურწმუნო ქალია და ოტო სკრინციის სახელს მხოლოდ გამორჩენის მიზნით იყენებს". ხოლო ქრონისტი ეგონ ვუხერერი მოიხსენიებს თქვენს მიერ ნაჩუქარ ჯვარს, რომელიც ქრისტინე ლავანტს უცვლელად ეკეთა.

– მის სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ქრისტინე ლავანტს ცნობილი ოქრომჭედლის, ზეპ შმოლცერის მიერ ხელით ნაკეთები ჯვარი ვაჩუქე, რომელიც მას შემდეგ, როგორც ვიცი, სულ ეკეთა. როცა 1973 წ. ზაფხულში საბედისწერო ცერებრალური დამბლის შედეგად ლავანტმა მეტყველების უნარი დაკარგა, ის დაინებით ანიშნებდა თავის დისშვილს ამ ჯვარზე. ვიგოინგმა იცოდა, რომ ჯვარი ჩემი ნაჩუქარი იყო და მიხვდა, რომ ლავანტი სთხოვდა, მისი ამბავი ჩემთვის შეეტყობინებინა. მე მაშინ საბერძნეთში ვიყავი, სასწრაფოდ ჩამოვფრინდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოცხალს ვეღარ მივუსწარი.

– რა ხახის დეპრესია ჰქონდა ლავანტს?

– ეს ორგანული და, როგორც ჩანს, თანდაყოლილი დეპრესია გახლდათ. თუმცა ამას ბიოგრაფიული გარემოებებიც დაერთო თან. მის ოჯახშიც იყო დეპრესიისა და თვითმკვლელობის შემთხვევები.

– როგორი თვალები ჰქონდა?

– მე ვიტყოდი, რომ მის თვალებს ბიზანტიური ხატის გამომეტყველება ჰქონდათ. ის ჩემთვის იყო ხატი პროფილში. ზოგიერთი მიმართულებით მზერა ბასრი, თითქოს გამყინავი უხდებოდა და ზოგჯერ მასში რაღაც რეპტილიისებრიც კი გამოკრთოდა. განსაკუთრებული შინაგანი დაძაბულობის წუთებში მზერა ღამის პასილისკისებრ გამყინავი ჰქონდა.

– განა მისი თვალების ეს თავისებურება წამლებისადმი ლტოლვაზე არ მოწმობს? მისი ნაცნობებიც ხომ იმავეს ადასტურებენ.

– ამგვარ გაყინულ მზერას ხშირად ვამჩნევთ უსინათლო ადამიანებთან, თუმცა, დარწ-

პარნასი ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნებული ვარ, ლავანტი მართლაც ჭარბად ღებულობდა როგორც დასაძინებელ, ისე ტკივილის გამაყუჩებელ პრეპარატებს, რამაც სხვა გარემოებებთან ერთად უთუოდ დაჩქარა მისი სიკვდილი. მაგრამ ლავანტი ამას, ბევრი სხვა ხელოვანისაგან განსხვავებით, შემოქმედებითი ფანტაზიის გასამძაფრებლად როდი სჩადიოდა. მას ეს უბრალოდ უძილობისა და შიშების დასაძლევად სჭირდებოდა.

– როცა არც თვალი გიჭრის და სმენაც შესუსტებული გაქვს, მაშინ ტვინში საოცარი სპექტაკლი თამაშდება. რას იტყვით ამის თაობაზე, როგორც ექიმი?

– ცნობილი ფაქტია, რომ ფიზიკურ გრძნობათაგან ერთ-ერთის შესუსტებისას რომელმე სხვა გრძნობის გამძაფრება ხდება. როცა ჩვენი გრძნობები – სამყაროსთან მაკავშირებელი ბჭენი – დახშულია, მაშინ ადამიანი საკუთარი თავის პირისპირ რჩება. ზოგი ადამიანი ამ გზით საკუთარი თავის ღრმა შეცნობასთან მიდის. ამის შედეგს ხშირად ვხედავთ უსინთლოთა მშვიდ და ხალისიან გამომეტყველებაში; აი, სმენის დაქვეითებამ კი ზოგჯერ შეიძლება პარანოიდული სიმპტომები განავითაროს. ნამდვილ პარანოიაზე ლავანტის შემთხვევაში ლაპარაკი არ შეგვიძლია, მაგრამ უეჭველი კია: ის ზედმეტად მგრძნობიარე იყო და ხშირად ადამიანზე სრულიად უსაფუძვლო დასკვნები გამოჰქონდა. მეორე მხრივ, მას თავისი ავადმყოფობის ეშმაკურად გამოყენებაც შეეძლო: არაერთხელ განგებ მოუყრუებია თავი, რათა არასასურველი საუბრისათვის ბოლო მოეღო. ამის გამო ბევრს ლავანტზე აბსოლუტურად მცდარი წარმოდგენა შეექმნა: ჩემთვის ნათელია, რომ ნამდვილად არ იყო ის გაუბედავი და ბნელი სოფლელი ქალი, თავისი ნიჭით მოპოვებულ აღიარებას თვალს რომ ვერ უსწორებს. მართალია, პრემიის მიღების საზეიმო ცერემონიები მუდამ აშინებდა, ხალხმრავლობას ვერ იტანდა და ამიტომაც ხშირად თან ვახლდი ასეთ შეკრებებზე, მაგალითად, 1961 წ. ზალცბურგში, სადაც მას მეორედ გადასცეს თრაქლის სახელობის პრემია და 1970 წ. ვენაში, სახელმწიფო პრემიის მიღებისას. იქ მომიხდა ქრისტინე ლავანტის ძალზე "მაღალ" საზოგადოებაში ნახვა. მან იქ არაჩვეულებრივად ბასრი, ენამოსწრებული და ულმობელი პასუხებით გამაკვირვა. მაგრამ საკუთარი გესლიანობით შეშფოთებული, მალევე კვლავ ნაჭუჭში ჩაიკეტა ლოკოკინასავით.

– რ.მ.რილკე წინააღმდეგი იყო ნებისმიერი ფსიქოთერაპიისა, ის თვლიდა, რომ პოეტს მხოლოდ მაშინ შეიძლება დაუფრთხო "ეშმაკები", როცა მათთან ერთად "ანგელოზებიც" გაიფანტებიან.

– ავადმყოფობის ამ აპოლოგიას წინა ეპოქების პოეზია განაპირობებს. ე.წ. "ტკბილი მელანქოლიის" წველა პოეტების მუდმივი საქმიანობა იყო. თანამედროვეობაში დეპრესიად სახეცვლილი მელანქოლია შემოქმედებითი ნაყოფიერების ფაქტორს ისეთი ნეგატიური განცდების ხარჯზე ინარჩუნებდა, როგორიცაა ცოდვის, დანაშაულის, წარწყმედის, ჯოჯოხეთის შიში. ლავანტს ეს ყოველივე, თავის თანამედროვეთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ შერჩენოდა. უბრალო მიზანტროპს თუ მელანქოლიკს საკუთარ თავში გამოკეტილობა ბოლოს მოუღებდა, ლავანტმა კი საკუთარი ტანჯვა მხატვრულ სურათებში ჩააქსოვა.

სიცოცხლის ბოლოს გამუდმებით რაღაც სტანჯავდა და შემოქმედებითი ძალაც წაერთვა. ამას სწორედ იმით ვხსნი, რომ მისი მელანქოლია შინაარსისაგან დაიცალა. ლავანტი სულიერად დაცარიელდა. ეს უკვე დეპრესია იყო, რომლის მთავარი ნიშანი ნეგატიურობაა. ამ უსიხარულო, უძილო, უმადო, უაზრო, უსურვილო ყოფაში შეუძლებელია შემოქმედების უნარი შეგრჩეს. ამ დროს ქრება ყველაფერი: არ არსებობს დაპირისპირება, ჭიდილი და აღარც სევდა არსებობს. ტიპიური დეპრესიის უმძიმეს წუთებში ავადმყოფი ამბობს: ნეტავ, ტირილი მაინც შემეძლოს! ლავანტსაც გარკვეულწილად ეს სჭირდა. იგი სევდამაც კი მიატოვა. შინაგანად ჩაიფერფლა და დაცარიელდა. მას აღარაფერი შერჩა, რისთვისაც ბრძოლა უღირდა.

– მისი მეგობრები ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში, მისი უდიდესი შემოქმედებითი აქტივობის პერიოდში, უკვე ამჩნევდნენ ქრისტინე ლავანტში ბუნების ცვალებადობას, შიშსა და ეიფორიას შორის რომ მერყეობდა, ანუ დეპრესიის კლასიკურ ნიშნებს.

– თუ გულდასმით ვადევნებთ თვალს მისი ლექსების ქრონოლოგიას, სწორედ ამგვარ მერყეობას შევამჩნევთ. მასში ხან სასოწარკვეთილება იკითხება, ხანაც შეუპოვარი ამბოხი ღვთის წინააღმდეგ, რომელმაც ამდენი სიხარული მოაკლო და ამდენი მძიმე დარტყმა მიაყენა. თუმცა საზოგადოება დაჟინებით თვლის ლავანტს ქრისტიან პოეტად, მას არაერთი ძალზე გამომწვევი ღვთისმგმობელი შინაარსის ლექსიც კი აქვს. ამის მიზეზი ისა, რომ იგი ბავშვობიდანვე მოკლებული იყო სიხარულს, სიყვარულს, მას არასოდეს ღირსებია უბრალო ქალური ბედნიერება.

– "შვილის" თემა ხშირად მეორდება მის ლექსებში კოშმარული სურათების ფონზე. ერთგან ის "პატარა სიკვდილს" ახსენებს,

სხვაგან წერს: "ო, რა ბედკრულ ჟამს მოვილოგინე... მე საუკუნო ცოდვა მაწევს/სხეული და სული ამომიქოლეს". ქრისტინე ლავანტს შვილი არ ჰყოლია. ოდესმე თუ უთქვამს თქვენთვის ამის მიზეზი?

- "შვილი" მისთვის ტაბუდადებულ თემად რჩებოდა, რომელსაც მე თვითონ არასოდეს შევხებივარ. ჩემი ვარაუდით, ეს ტაბუ რაღაც უმძიმესი შემთხვევის შედეგად გაჩნდა. მის პოეზიაში ამ თემას აშკარად ბიოგრაფიული ფესვები აქვს. ის ძლიერ წუხდა უშვილობას. შვილის ყოლა მისთვის საკუთარი არსებობის, ქალობის დასტური და გამართლება იქნებოდა.

- სამოციანი წლების დასაწყისში ლავანტი იმედოვნებდა, რომ თქვენი, როგორც ექიმის დახმარებით შემოქმედებით კრიზისს დაძლევდა.

- მის სიმარტოვეს, ალბათ ყველაზე მეტად ეს შემოქმედებითი უნაყოფობა ამძიმებდა. ბოლო წლებში, მგონი, უფრო თავის დასამშვიდებლად, იმეორებდა: წერა არც არასოდეს დამისახავსო მიზნად. ვფიქრობ, სიყმაწვილეში მაინც დაისახა ასეთი მიზანი, რადგან წერით თავის გარიყულობას ებრძოდა. ფიზიკური სისუსტე, სურავანდის შედეგად იარებით დაფარული სახე, დაქვეითებული სმენა და ახლომხედველობა - ამ ყველაფერმა შეუძლებელი გახადა თანატოლებთან მისი დაახლოება. სანაცვლოდ ძალიან ბევრს კითხულობდა და წერასაც ცდილობდა. მისი ადრეული ლექსები ჯერ კიდევ მიამიტი, მარტივი, მინაბაძია. მაგრამ ლავანტი ამბობდა: თუკი ვწერ, ესე იგი მეწერება. წერა, როგორც მოვალეობა, ჩემთვის წარმოუდგენელიაო.

- გაცნობიერებული თუ ჰქონდა თავისი ბოლო წლების კრიზისის მიზეზი?

- ზოგჯერ გაკვრით მიმანიშნებდა ხოლმე, რომ ამის მიზეზი ვერნერ ბერგთან დაშორება იყო, პირველ რიგში ის, თუ რანაირად მოეღო ბოლო ამ ურთიერთობას. თავად არასოდეს დამისვამს შეკითხვა ამასთან დაკავშირებით, რადგან ლავანტი ფაქიზი და მგრძნობიარე ადამიანი იყო. ყველაზე მეტად სხვათა მხრიდან ჩაძიებისა და გამოკითხვის მცდელობები აღიზიანებდა, მაშინვე იკეტებოდა საკუთარ თავში.

ლავანტს უნდოდა მთელი თავისი კორესპონდენცია ჩემთვის გადმოეცა. იგი თავის წერილებს ერთ დიდ სკივრში ინახავდა. ეს მასალები უთუოდ მისი პირადი ცხოვრების არაერთ დეტალს მოჰფენდა ნათელს, მაგრამ, თუმცა ვიცოდი, რომ ბოლომდე მენდობოდა, ისიც კარგად ვიცოდი, ნიადაგ შიშში რომ უნდა ყოფილიყო, ვაი თუ მისი წერილები უცხო თვალმა წაიკითხოს, ამიტომაც დავარწმუნე იმაში, რომ მის ბინაში ეს სკივრი ყველაზე საიმედო ადგილას იქნებოდა. ახლა ვნანობ ამას, თუმცა მშვიდად ვარ: არქივი მისი დისშვილის ხელთაა, რომელთანაც ლავანტს ნდობა და სითბო აკავშირებდა. ბერგის წერილები ლავანტმა ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უკან გაუგზავნა, საკუთარი წერილები კი სანაცვლოდ არ მიუღია, რაც საკუთარი თავის შეურაცხყოფად და არადჩაგდებად ჩათვალა. ყოველივე ეს მისთვის ძალზე მტკივნეული იყო.

- თუ იტყოდით რაიმეს მათი ურთიერთობის შესახებ?

- ამაზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლია, მაგრამ არ მსურს. ვიტყვი მოკლედ, რათა ყველას სწორი წარმოდგენა შეექმნას: ეს ლავანტის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, ცენტრალური მოვლენა იყო. მათი ხანმოკლე კავშირი ყველაფერ იმის კომპენსაცია იყო, რაც სიცოცხლეში მოაკლდა, ის ტკივილი და დამცირება, რაც კი წილად ხვდა, ამ განცდამ მთლიანად აუნაზღაურა. ეს ზუსტად ის იყო, რასაც აღნიშნავს ძველგერმანული სიტყვა "hochgezite" (თანამ. გერმ: "Hochzeit" - "ქორწილი", სიტყვასიტყვით: "უმაღლესი ჟამი"). ამ მწვერვალიდან დაცემამ საბოლოოდ მისი სიცოცხლეც შეიწირა.

- ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი მეგობრობისაკენ? ბერგმა თუ ლავანტმა?

- უეჭველად ბერგმა, მაგრამ ლავანტს ორმაგი დანაშაულის გრძნობა სტანჯავდა: ერთი მხრივ, თავისზე უფროსი ქალის, ბერგის მეუღლის წინაშე, რომელთანაც ამ კაცს ხუთი შვილი ჰყავდა და რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ მიუტოვებია, მეორე მხრივ კი თავისზე 30 წლით უფროსი ქმრის, იოზეფ ჰაბერნიგის წინაშე.

- ნათესავები არაერთგზის ადასტურებენ ლავანტის უცნაურ შიშებს, მაგალითად, მას ეშინოდა მინისქვეშიდან ამოსული ენერგიისა.

- ლავანტმა მრავალ წიგნში ამოიკითხა იმის დასტური, რაც მისი პროვინციული გარემოცვის ცრურწმენას შეადგენდა, მაგრამ მხოლოდ ამაში არ უნდა ყოფილიყო საქმე: მას საერთოდ ჰქონდა სწრაფვა მიღმიერისაკენ. ამგვარი შინაარსის ლიტერატურასაც ეცნობოდა, მაგალითად, კითხულობდა "მკვდართა ტიბეტურ წიგნს", რომელიც მერე მეც მაჩუქა. იგი უეჭველად ბევრ საერთოს მონახავდა და იმეგობრებდა ისეთ პიროვნებებთან, როგორიც სვედენბორგი და მესმერია.

ლავანტი გრძნობდა რაღაც წინარე ცოდნას, კავშირს იმ იდუმალ სამყაროსთან, მის პოეზიაშიც რომ აირეკლა. მთელი მისი შემოქმედება ანიმიზმის ნიშნებს ატარებს. მრავალ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსში შეხვდებით უძველეს კელტურ-გერმანიკულ რელიგიათა საკულტო საგნებს, როგორიცაა: მამალი, ჯარა, მთვარე... მას წაკითხული და მოსმენილი ჰქონდა ძველი ლეგენდები და გადმოცემები.

- ლავანტი ღარიბი მუშის ოჯახის მეცხრე შვილი იყო. იყო თუ არა, თქვენი აზრით, ლიტერატურული საქმიანობა ამ ადამიანის მოწოდება და დანიშნულება?

- ჩვენთვის ცნობილია არაერთი ელიტური ოჯახი, სადაც ნიჭი სიყრმიდანვე კულტივირებული და წაქეზებული იყო, მეორე მხრივ, არსებობს დაბალი ფენები, სადაც ნიჭი და გენიალურობა მოულოდნელად, თითქოს არაფრიდან ამოიზრდება ხოლმე. მაგრამ მისი ნიადაგი მხოლოდ იმიტომ გვეჩვენება "არაფრად", რომ ასეთ გარემოში გენიალურობა არამხოლოდ მოულოდნელი, არამედ ხშირად არასასურველიც კია.

ქრისტინე ლავანტი უთუოდ დიდი თვითმყოფადი ნიჭის პატრონი იყო. მისი მშობლები თურმე ამბის მოყოლის არაჩვეულებრივი უნარით გამოირჩეოდნენ. მის ოჯახში იყო ფსიქიკური დაავადებებისა და თვითმკვლელობის შემთხვევები. ცნობილია, რომ ავადმყოფობა ნიჭის ერთგვარ მააშკარავებლად, სტიმულატორად იქცევა. სიმარტოვემისჯილ ლავანტს ადრეული ასაკიდან მოუწია კითხვა და თვითგანათლება - ოჯახის დუხჭირ ყოფაში მას უბრალოდ თავისშექცევის სხვა საშუალება არ ჰქონია.

შემდგომში ბევრს აოცებდა თავისი ნაკითხობით. საკუთარი არსი და მრწამსი მან საუკეთესოდ გადმოგვცა 1961 წ. დაწერილ ესეში "სიმშვიდე სულიერების კარიბჭეა", რომელსაც მან ეპიგრაფად ნოვალისის სიტყვები წაუმძღვარა: საით მივდივართ? - მუდამ შინისკენ". ეს ტექსტი ლავანტმა შემდეგი გაფრთხილებით დაასრულა: "ვაი მას, ვისაც საკუთარი სურვილები ჰყავს მრჩევლებად, - სულ ერთია, უწერია მათ ასრულება თუ არა, ყოველი სურვილი ჩვენს მიზანს გვაშორებს და ხილულის აღქმას გვიყალიბებს. ყოველ სწრაფვაზე თუ ვიტყვით უარს, მხოლოდ მაშინ გვექნება გზა ხსნილი. საგზაო ნიშნების ნაცვლად აქ სიყვარული და გულმოწყალება გაგვიწევს მეგზურობას. ამაზე საიმედო ქვეყნად არაფერია... უსინათლონიც მიაკვლევენ ამ მიზანს, რამეთუ შევისმინეთ: მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი! ვინც თვინიერად, წრფელი სულით ლოცულობს პირველისათვის და ასრულებს მეორეს, - მას თავისთავად გადაეფარება სიმშვიდის გუმბათი. იგი სავანეცაა და ზღურბლიც, არავის განდევნის და არავის ამწყვდევს, მას ერთი ჭეშმარიტებიდან მეორეში, მუდამ უფრო მაღალ საფეხურზე ავყავართ. ამ ჩვენს ზეასვლას სულ უფრო ძლიერად გამსჭვალავს სულიერი ნათელი. ჭეშმარიტი სიცოცხლეც სწორედ მასში იწყება".

- თავისი ნაშრომი "სტრინბერგი და ვან გოგი. პათოგრაფიული ანალიზის ცდა სვედენბორგისა და ჰოლდერლინზე დაყრდნობით" კარლ იასპერსმა 1922 წ. ავადმყოფობისა და შემოქმედების ურთიერთმიმართებას მიუძღვნა. ამ პრობლემის ფონზე როგორ შეაჯამებდით ყოველივეს, რაც ქრისტინე ლავანტზე გვიამბეთ?

- ე.წ. "მდაბიო გარემოში" ნიჭი ხშირად მრავალი თაობის მანძილზე დაუხარჯავ და აუთვისებელ საუნჯედ რჩება, რათა მოულოდნელად ამოხეთქოს სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა ჯგუფირებიდან და გაგვაოცოს. ხოლო თუ როგორ განვითარდება ეს ნიჭი შემდგომ, ეს დიდადაა დამოკიდებული გარემოცვაზე.

გამოვყოფ სამ გარემოებას, რომელმაც, ჩემი აზრით, ლავანტის შემოქმედად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა:

1) ავადმყოფობა და მასთან დაკავშირებული მარტოობა, გარემოსთან გაუცხოება ადრეული ასაკიდანვე;

2) შემდგომში განვითარებული დეპრესია, რომელსაც სიკვდილის შიში და ამავე დროს, სიკვდილისკენ ლტოლვა ახლდა თან. ამ თვალსაზრისით, მისი შემოქმედება მხოლოდ დასახიჩრებული სიცოცხლე კი არ იყო, როგორც ამას თავად ამბობდა, - ეს მისთვის ხსნაც იყო, ერთგვარი თერაპია;

3) დაბოლოს, მასავით ნიჭიერ მხატვართან, ვერნერ ბერგთან შეხვედრა და ყოველივე იმის ასრულება, რისი იმედიც უკვე აღარც ჰქონდა ცხოვრებაში. მათი ურთიერთობის შეწყვეტით ლავანტის სიცოცხლეც დასრულდა. თანდათან დაიწრიტა შემოქმედების წყაროც.

გერმანულიდან თარგმნა
ოთამარ კოტრიკაძემ

P.S. წელს, სულ ცოტა ხნის წინ, გამოვიდა ქრისტინე ლავანტის ახალი წიგნი "ჩანაწერები საგიჟეთიდან". მასში შესული ტექსტი ბოლო დრომდე დაკარგულად ითვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არილი

http://www.opentext.ge/arili

წასვა HERE

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი 47/5

"არეზე"

- ზრადიცია
- სიახლე
- გემოვნება